

K 125958  
3

შემაჯობებელი

6

ახორი წურობი სუაროგელოს ჭესახე

წ ი გ ნ ი XVIII

გეორგიკა. ტ. VI

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Комиссия по публикации иностранных  
источников о Грузии

Институт  
Востоковедения

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

# СВЕДЕНИЯ ВИЗАНТИЙСКИХ ПИСАТЕЛЕЙ О ГРУЗИИ

ТОМ VI

Греческие тексты с грузинским переводом издад и приложением сьабда.  
С. Г. Каухчишвили

# GEORGICA SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA AD GEORGIAM PERTINENTIA

TOMUS VI

Textum graecum cum versione iberica edidit commentariisque instruxit  
Sim. Kauchtschischwili

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“  
ТБИЛИСИ — 1966

SUMPTIBUS „MECNIEREBA“  
TBILISIS, MCMCLXV

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული  
ეცნობრივი წყაროების კომისია

ალმოსაფლეთმცოდნეობის  
ინსტიტუტი

# გეორგიკა

## ბიზანგიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი მეექვსე

ტექსტები ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო  
ნიმონე შაუხჩიშვილმა

ბამონცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი—1966



მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთუჩიძე, ხ. შაუხრიანი,  
ბ. ჯიბუაძე (მთ. რედაქტორი), ხ. ჯიბუაძე

ბერძნულ-რომაული წყაროების  
სერიის რედაქტორი  
დ. ი. შ. ყაუხჩიშვილი

## შინაარსი

## VI ტომისა

წინასიტყვაობა . . . . . V

მიქელ სსელოსი . . . . . I

ცხოვრება და მოღვაწეობა 1. შესავალი 9. იბერთა ჯარი 10. — იბერიელთა საგანძურების დაცალიერება 13. — იბერიის თემი 13. — მარიამ დედოფალი და კონსტანტინე 16. — მიხეილ VII დეკა პარაპი-  
ჩაის მეთლღე 16. — მარიამის ვაჟი კონსტანტინე 17.

მიხეილ ატალიატე . . . . . 20

იბერიელთა წარმოშობა 21. — იბერიელთა მონაწილეობა ბიზანტიის  
ჯარში, ლიპარიტ ორბელიანი 23. — იბერიის სოფლები 26. — აბაზ-  
გების აჯანყება მეფის წინააღმდეგ 27. — იბერია, ხალდია, ანისი 31.

ანნა კომნენე . . . . . 32

ცხოვრება და მოღვაწეობა 33. მარიამი შვირთო ნიკიფორე ბო-  
ტანიატემ 37. — მიხეილ დეკა და მისი შვილი კონსტანტინე 38.  
მარიამის ვაჟი კონსტანტინე ალექსი კომნენოსის თანაგვისარია 43.  
დედოფალი მარიამი და ბოტანიატე 46. — დედოფალი მარიამი და  
ალექსი კომნენოსი 47. — ნიკიფორე ბოტანიატეს ჩამოგდება და დე-  
დოფალი მარიამი 61. მარიამ დედოფლის ვაჟი კონსტანტინე 70. —  
მარიამის ვაჟი კონსტანტინე და ანნა კომნენე 72. — იბერიელთა  
წარმოშობის სიაოში 73. — გრიგოლ ბაკურიანი, მისი ურთიერთო-  
ბა ალექსი კომნენოსთან 79. — გრიგოლ ბაკურიანი იგზავნება სევი-  
თების წინააღმდეგ საბერძნულად 85. — ალექსი კომნენოსი და  
მარიამის ვაჟი კონსტანტინე 88. — დედოფალ მარიამის მოხაწილეო-  
ბა ნიკიფორე დიოგენეს შეთქმულებაში 92. — იოანე იტალიოსი  
93. — პეტრიწონი 106. — ხალიბები 108. — იბერიელი მოღონებები  
110. — ხალდიის თემი, ტრაპეზუნტი 110. — ქალაქი ბაიბურთი  
111. — შენიშვნები: ანნა კომნენეს ცნობები მარიამ დედოფლის  
შესახებ 112. — ანნა კომნენეს ცნობები იოანე იტალიოსის შესახებ  
119.

ნიკეტა ბონიატე . . . . . 117

ბიზანტიელი წარჩიებულის ჩაცმულობა 123. — მუსამედს დაპურო-  
ბილი აქვს იბერია 126. — იბერიელები ბიზანტიის ჯარში ალექსი  
II კომნენოსის დროს 127. — იბერიელები ბიზანტიის ჯარში ისააკ  
კომნენოსის დროს 128. — ფაზისის სანაპიროებზე მცხოვრები იბერიე-  
ლები 130. — ფოთი სავაქრო ქალაქია 132. — ბიზანტიის კუისრის  
ტიტული 133. — იბერია ყვაროსანთა ომების დროს 137.

<b>იოანე კინამოსი</b> . . . . .	<b>110</b>
ცხოვრება და მოღვაწეობა 140. — შესავალიდან 142. — იბერიელები ბიზანტიის ქარში 143. — იბერიელთა და აზნაურთა ელჩება 144. — რიზე 145. — მიხეილ გაბრა 146.	
<b>გიორგი კოლინე</b> . . . . .	<b>154</b>
მარიამ დედოფალი 155. — ანთროპოლოგია 156.	
<b>იოველის ქრონოგრაფია</b> . . . . .	<b>159</b>
მიხეილ VII დეკა. მისი შეფუძნა: მარიამი და მათი კაცი კონსტანტინე 159.	
<b>იოანე სკილიცეს გამგრძელებელი</b> . . . . .	<b>161</b>
იბერია — მდიდარი ქვეყანა 162. — მწველუბლობა იბერიაში 162. — მარიამ მართალმოყვანილი 163. — მარიამის ეკუთვნის კონსტანტინე 165 მიხეილ VII, მარიამი და კონსტანტინე 165. — ფარგამანე იბერი 116.	
<b>კონსტანტინე მანასე</b> . . . . .	<b>169</b>
ბარდას აგაბეება და იბერიები 171. — მიხეილ VII მარიამისე და მისი შეფუძნა: მარიამი 172.	
<b>დამატებები</b> . . . . .	<b>175</b>
დამატება პირველი იოანე ზონარა (175—240). დამატება მეორე — მიხეილ სველოსის ორი ტრაქტატი (241—263).	
<b>საკუთარ სახელთა საძიებელი</b> . . . . .	<b>261</b>
<b>Addenda et corrigenda</b> . . . . .	<b>304</b>
<b>ილუსტრაციები</b> . . . . .	<b>305</b>

## წინასიტყვაობა

წინამდებარე VI ტომში „გეორგიკისა“ შევიდა, ისევე როგორც V, ტომში, XI—XII საუკუნეთა მასალა, სახელდობრ, მიქელ პსელოსის, მიხეილ ატალიატეს, ანნა კომნენეს, ნიკეტა ხონიატეს, იოანე კინამოსის, გიორგი კოდინეს და სხვათა ცნობები საქართველოს შესახებ. ამ მწერალთა შორის თავისი ცნობების სიუხვით გამოირჩევა ანნა კომნენე, რომლის „ალექსიადა“ XI—XII საუკუნეთა ბიზანტიის პოლიტიკური, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ ლარესად მნიშვნელოვან მატრიანეს წარმოადგენს.

ანნა კომნენე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მარიამ დედოფლის როლს ბიზანტიის სამეფო კარზე. საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ასული მართა, ბიზანტიაში გათხოვების შემდეგ „მარიამად“ წოდებული (ქართული წყაროების მიხედვით „მართა-ყოფილი“), XI საუკუნის სამოცდაათიანსა და ოთხმოციან წლებში ბიზანტიის სამეფო კარზე კარდინალურ სახელმწიფო საკითხებს წყვეტდა: მან სამეფო ტახტზე გამოიკვალა ორი ქმარი (მიხეილ VII დუკა, ნიკიფორე III ბოტანიატე), რომლებიც რიგობით ბერებად აღკვეცა, ხოლო მესამე ქმრად გათვალისწინებული ალექსი I კომნენოსი მხოლოდ მისი, მარიამის, წყალობით ავიდა სამეფო ტახტზე: თვითონ მარიამი კი იმის ცდაში იყო, რომ სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა თავისი ვაჟისათვის, კონსტანტინესაჲის, რომელიც ალექსის თანაჲეისრად დასვა.

მარიამ დედოფლის როლს სახელმწიფო ცხოვრებაში ის ფაქტიც აღასტურებს, რომ ანნა კომნენეს გარდა იმდროინდელი და შემდეგდროინდელი სხვა ბევრი მწერალიც ეხება მარიამს (მიქელ პსელოსი, გიორგი კოდინე, იოველი, სკილიცეს გამგრძელებელი, კონსტანტინე ძანასე).

მკითხველს ყურადღებას მივაქცევთ აგრეთვე მიქელ პსელოსზე, რომლის მოღვაწეობა დაკავშირებულია ბიზანტიის რენესანსულ მოძრაობასთან და, მაშასადამე, ქართულ რენესანსთანაც. მიქელ პსელოსის შესწავლასთან დაკავშირებით შევეხეთ პსელოსის კვალს ძველქართულ მწერლობაში და, რადგან ძველქართულ ტექსტებს

შორის აღმოჩნდა ორი ტრაქტატი, რომელთაც ქართული ხელნაწერები მიქელ ასელოსს მიაკუთვნებენ, ხოლო თვით ბიზანტიურ მწერლობაში ისინი ცნობილი არ არიან, ამიტომ დამატების სახით ეს ორივე ტრაქტატი დავებუდეთ (იხ. გვ. 241- 263).

დამატების სახით დავებუდეთ აგრეთვე განსვენებულ მ. კახაძის შრომა „იოანე ზონარა“. რის შესახებაც ეწერათ 176 გვერდზე.

ს. ყაუხჩიშვილი

თბილისი

1966 წლის 10 დეკემბერი

## მიქელ პსელოსი

მიქელ პსელოსი (1018—1077), ერისკაცობაში კონსტანტინე, XI საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და მწერალია. მისი ბიოგრაფია შეგვაძლავს აღვადგინოთ მისი თხზულებების მიხედვით და ავრთვეთ იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მოიპოვება XI საუკუნის მწერალთა (მაგ., ანნა კომნენეს) ნაწერებში.

1018 წელს ერთი ღარიბი კაცის ოჯახში, კონსტანტინეპოლში, დაიბადა ვაჟი კონსტანტინე. ხუთი წლისა იყო, რომ წერაკითხვის შესწავლას შეუდგა. ნათესავები მოითხოვდნენ და შამაცეთანხმებოდა მათ, რომ პატარა კონსტანტინეს ესწავლა რამე ხელობა და მალე შესდგომოდა ფულის შოვნას, ხოლო დედის, თეოდოტას, დაფინებით და ენერჯიით პსელოსმა მიიღო კარგი განათლება: შეისწავლა რიტორიკა, ფილოსოფია, სამართლის მეცნიერება; გაიწვრთნა ავრთვეთ ფილოლოგიაში, ლოგიკაში, მათემატიკასა და ასტრონომიაში. თავისი მეცნიერებით პსელოსმა იმას მიაღწია, რომ გახდა უნივერსიტეტის პროფესორი და მიიღო წოდება *μαθητῶν τῶν φιλοσοφῶν* („ფილოსოფოსთ-უხუცესისა“).

მეცნიერული კარიერის პარალელურად პსელოსი წარმატებით მიიწვედა წინ სახელმწიფო სამსახურშიც. ჯერ კიდევ 19 წლის იყო, რომ მდივნის (ასეკრატის) თანამდებობა მიიღო. მალე დაინიშნა მოსამართლედ მესოპოტამიის პროვინციაში. ოთხი წლის შემდეგ კონსტანტინეპოლში გადავიდა, და მსახურობდა კეისრის კანცელარიაში.

პსელოსმა მიიქცია კეისრის (კონსტანტინე მონომახოსის) ყურადღება. 25 წლის კაბუჯი იყო, რომ პსელოსმა თავისი სიტყვებით მოხიბლა წარჩინებული მოქალაქეები, რომლებმაც შერე უქეს იგი კეისარს და წარუდგინეს მას. კონსტანტინე მონომახოსს ძალიან მოეწონა მკვერპეტყველი პსელოსი.

მალე პსელოსი დაინიშნა კეისრის კანცელარიის უფროსად — *καρτατοαρχηγῆς*. როგორც ამ თანამდებობის პირი, იგი ხშირად

ხვდებოდა კეისარს: მისი სახელით უგზავნიდა წერილებს უცხოელ მეფეებს, ადგენდა სხვადასხვა დოკუმენტებს, რომლებსაც შემდეგ კეისარი აწერდა ხელს. ისედაც, პსელოსი ძალიან დაუახლოვდა მონომახოსს, რომელიც მას შინაურულად ექცეოდა, ოჯახში ჰყავდა როგორც „საკუთარი“. პსელოსიც არ იშურებდა სახოტბო სიტყვებს, მისთვის, მისი ცოლისთვის (ზოია) და მისი საყვარლისათვის (სკლირენა). გულში პსელოსს სძულდა კეისარი მისი უკუჯობისათვის, მისი გარყვნილობისა და მფლანგველობისათვის.

კეისრის წყალობით პსელოსმა დიდძალი ქონება შეიძინა. ჯამაგირით ის, რასაკვირველია, ვერ გამდიდრდებოდა, მაგრამ დიდ თანამდებობას თან სდევდა კეისრის წყალობა, რომ აღარაფერი ვთქვათ შესაძლებელ ქრთამებზე.

მომდევნო კეისრების დროსაც მიქელ პსელოსი ახერხებდა თავისთვის სასარგებლო მდგომარეობის შექმნას: თეოდორა (1054—1056), მცხეილ VI (1056—1057), ესააკ I კომნენოსი (1057—1059), კონსტანტინე X დუკა (1059—1067), რომანოზ IV დიოგენე (1067—1071), მიხეილ VII დუკა (1071—1078)—ყველანი სწყალობდნენ მიქელ პსელოსს.

მიქელ პსელოსის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საუნივერსიტეტო მუშაობა ფილოსოფიის დარგში. მისი მუშაობა ამ დარგში საფუძველი შეიქმნა იმ დიდი მოძრაობისა, რომელსაც „ფილოსოფიური რენესანსი“ ეწოდება. ბიზანტიაში გამეფებული სქოლასტიკა საშუალებას არ იძლეოდა ადამიანს გაეზალა თავისუფალი მსჯელობა იმ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების იმ ეტაპზე აწუხებდნენ ფილოსოფიურად განწყობილ წრეებს. და, აი, ჩნდება მიმდინარეობა, რომელიც ეძებს გზებს გამოიყვანოს აზრი სქოლასტიკური გონება-დახშულობისაგან. მიქელ პსელოსი და მთელი მისი სკოლა ამ გზას პოულობს, ანტიკური სამყაროდან იქ არსებული აზრის თავისუფლების მეთოდის მოწვევლიებაში. თავის ლექციებზე მიქელ პსელოსი ქრისტიანული ფილოსოფიის საკითხებს უდგება არა დოგმატიკების რწმენის პოზიციებიდან, არამედ ამ დოგმატიკური დებულებების საბუთიანობის თვალსაზრისით. პსელოსის შეხედულებით „არსებობს ორი სახე ფილოსოფიისა, ერთის საგანია მიღმა სამყარო, რომელიც შესაძლებელი ცდების საზღვრების გადაღმაა; მის წყაროს წარმოადგენს მისტიკა და ინტუიცია. ეს ფილოსოფია თავის დებულებებს კი არ ამტკიცებს, არამედ მოითხოვს, რომ იგი ირწმუნოს კაცმა. მეორე სახე ფილოსოფიისა მიზნად ისახავს

გამოიკლიოს ყველა არსის ბუნება და ცდილობს ყველა თავისი დებულება დაამტკიცოს, ე. ი. იქცევა ისე, როგორც მათემატიკა. პსელოსი სცნობს ფილოსოფიის მხოლოდ ამ მეორე სახეობას და უარყოფს ყოველგვარ ინტუიციასა და ნისტიკას, როგორც ფილოსოფიურ მეთოდს: ინტუიციასა და ნისტიკას ის უთმობს ადგილს მხოლოდ ღვთისმეტყველებაში, რელიგიური აზროვნების დარგში ამ თვალსაზრისს პსელოსი ერთგულად იცავს საკუთარ ფილოსოფიურ ნაწერებში: მათში არ არის არაერთარი ინტუიცია, ის ცდილობს თავისი მკითხველი დაარწმუნოს დამტკიცებათა შესწევობით და ძალიან ხშირად მიმართავს სილოგიზმს<sup>1</sup>.

ამგვარად, პსელოსი იმ აზრისაა, რომ ფილოსოფია, როგორც ყოველი სხვა მეცნიერება თავის მიზნად ნივთთა და საგანთა ბუნების გამოკვლევას უნდა ისახავდეს. ამიტომ ნისთიციაც ისევე სავალდებულოა ზუსტი დამტკიცებები, როგორც მათემატიკისათვის, კერძოდ ყველაზე მაღლა აყენებს ის გეომეტრიულ მეთოდს. სილოგიზმსაც პსელოსი სავალდებულოდ თვლიდა ფილოსოფიისათვის. იმავე თვალსაზრისით უდგება პსელოსი ღვთისმეტყველებასაც, ხოლო აღნიშნავს მის ორმაგ ხასიათს: ღვთისმეტყველება ერთი მხრივ დამტკიცებებს ენუარება, მეორე მხრივ — ზეშთავონებას. რამდენადაც იგი ცდილობს თავისი მოძღვრება დაამტკიცოს, ამდენად ის გვერდს ვერ აუხევებს სილოგიზმსაც. „მე — ამბობს პსელოსი — არ უვულებელვყოფდი სილოგიზმს, რადგან მინდოდა აშკარად ნეხილა უფალი და არა საიდუმლო გამონათქვამების საშუალებით. სილოგიზმების შესწევობით დისკვენების გაცემა არ ეწინააღმდეგება ეკლესიის მოძღვრებას, სილოგიზმები წარმოადგენენ ჭეშმარიტების იარაღს, საძიებელი საგნის მოპოების საშუალებას“<sup>1</sup>.

ფილოსოფიური მსჯელობის ასეთ გზას წინააღმდეგობას უწივენ კონსტრუქტიულად განწყობილი წრეები: უმაღლესი სამღვდელთა და კეისრის კარზე მოკალათებული რეაქციონერები.

მიქელ პსელოსი აიძულეს უკან დაეხია: მან აღიარა თავისი „შეცდომები“ და გადადგა (შემდეგ მის საქმეს განაგრძობს, როგორც ცნობილია, იოანე იტალოსი).

დიდი პოპულარობით სარგებლობდა მიქელ პსელოსის საისტორიო ნაშრომი *Χρονικήταια*, რომელიც შეიცავს 976 — 1077 წლებ-

<sup>1</sup> В. Вальденберг. Философские взгляды Михаила Псела: Византийский сборник, М.-Л. 1945, стр. 252—253; Мдр. П. Белобратова, Византийский писатель и государственный деятель М. Пселл. М. 1890, стр. 156.



ბის ისტორიას. პსელოსი იწყებს თავის ისტორიას იმით, რითაც ლეონ დიაკონი ათავებს, ესე იგი იოანე ჩიმისხის გარდაცვალებით (976 წ.). „ქრონოგრაფიის“ შესავალში სწერია:

ქრონოგრაფია, შედგენილი უალრესად ბრძენი (παισιότατος) მონაზონის ზემთა-პატივოსანი (ἐπισημοτάτος) მიქელის მიერ: [ეს ქრონოგრაფია] მოკვეთხრობს მეფეთა მოღვაწეობას: ბასილი და კონსტანტინე ბორფიროგენეტებისას, მათ შემდეგ რომანოზ არგიროპოლისას, ამის შემდეგ მიხეილ პატლაგონელისას, მის შემდეგ მისი ძმისწულის მიხეილისას. რომელსაც კესაროსის პატივი ქქონდა (ἀπὸ καίσαρος ἀπαύχου): ამათ მოსდევდნენ ორნი დანი ბორფიროგენეტნი, დედოფალი ზოე და დედოფალი თეოდორა, და მათთან ერთად კონსტანტინე მონომახოსი, შემდეგ იმ ორ დათავან ერთმართველი დედოფალი თეოდორა, [ხოლო ამის შემდეგ მიხეილ მოხუცი], ამის შემდეგ კი ისააკ კომნენოსი და [თხოობა მოტანილია] ვიდრე კონსტანტინე დუკას გამეფებამდე. ამ შესავალს მოსდევს საკუთრივ „ისტორია“.

მიქელ პსელოსის „ქრონოგრაფია“, რომლის ნეორე ნაწილი დაწერილია მიდგომით და არა პირუთენელად, მაინც მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. მისი ცნობებით უხვად სარგებლობენ ნიკიფორე ვრიენიოსი, ანნა კომნენე, იოანე ზონარა და სხვები.

„ქრონოგრაფიის“ გამოცემანი, პირველი გამოცემა გუთონსკ სათას (1874). ეს გამოცემა განმეორებულია 1899 წელს: The history of Psellus. Edited... by Constantine Sathas. London 1899. დაწერილებითი რეცენზია ამ გამოცემაზე დაბეჭდა Ed. Kurtz-მა (BZ IX [1900], 492—515) რეცენზენტი უარყოფითად აფასებს კ. სათას გამოცემას (das klägliche Machwerk von Sathas).

1926—1928 წლებში „ქრონოგრაფია“ გამოიცა ფრანგულ სერიაში Collection byzantine, ბერძნული ტექსტი ფრანგული თარგმანით და გამოკლევეთ: Michel Psellos, Chronographie ou Histoire d' un siècle de Byzance. Texte établi et traduit par Emile Renauld. Paris. „Les belles lettres“, Tome I—1926; Tome II—1928. თემცა ებილ რენომ თავისი ორი მონოგრაფიით (Étude sur la langue et le style de Michel Psellos და Lexique choisi de Michel Psellos), რომლებიც 1920 წელს გამოაქვეყნდა, ისევე როგორც 1905 წელს გამოაქვეყნებული შრომით Notes et observations critiques sur la Chronographie de Psellos (Revue des études grecques 18, 221—252) და სხვა შრომებით საბელი გაითქვა როგორც პსელოსის მკვლევ, მაგრამ „ქრონოგრაფიის“ გამოცემას სამეცნიერო პრესა უარყოფითად შეხვდა. ბერძენმა ფილოლოგმა იოანე სიკუთრისმა გამოაქვეყნა კრიტიკული რეცენზია (BZ 27 [1927], 99—105), რომელიც აქვე დაამთავრა; „ტექსტის გამოცემა სუსტია, თარგმანი არ არის სანდო. პსელოსს ბიზანტიელისათვის იშვიათი ბედნიერება ხვდა—50 წლის მანძილზე სანი გამოცემა; მით უმეტეს სამწუხაროა, რომ არც ერთი ამ გამოცემათაგანი მეცნიერულ მათ-

ლონებს არ შეეფერება. დიდიკანტს შედარების ატლენტს კ. სთას ჩვენ ამახადვილად ვაპატიებთ: რეწოსაგან კი ჩვენ სულ სხანარ გამოცემას მოველოდითო\*.

ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნდა „ქრონოგრაფიის“ ინგლისური თარგმანი: *The Chronographia of Michael Psellus. Translated from the greek by E.R. A. Sewter with an Introduction by J. N. Hussey, Leiden 1962*

მიქელ პსელოსი ქართულ მწერლობაში. მიქელ პსელოსის სახელით ძველ ქართულ ხელნაწერებში დაცულია ორი ძეგლი.

1. ერთი ნათვანი არის ტრაქტატი „დღესასწაულთა“ შესახებ: ძველ პანუპერტიმოსისა შინაზონისა ქსელოსისა თქუჟული განმარტებაჲ საჯგუშლოსა საუფლოსა წმიდათა დღესასწაულიანთა (ხელნ. A-67, გვ. 19a). ეს ტრაქტატი მოიპოვება ხელნაწერში A-67, გვ. გვ. 19a-29ს; ხელნაწერი XV საუკუნისად ითვლება. სიტყვა „ქსელოსისა“, ცხადია, პალეოგრაფიულ ნიადაგზე აღმოცენებული მცდარი დაწერილობაა სიტყვისა „ფსელოსისა“ (Φ → Ψ) და, მაშასადამე, ტრაქტატი მიეწერება მიქელ პსელოსს, რომელიც ატარებდა საპატიო სახელწოდებას *παπαρξαυσιος*<sup>1</sup>.

ეს ნაშრომი („დღესასწაულთა განმარტება“) მიქელ პსელოსის სახელით ცნობილ ნაშრომთა შორის არსად არ იხსენიება. მაგრამ რომ ის ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლია და რომ ბერძნულშიც მას მიქელ პსელოსს წიაკუთენებდნენ, ჩანს შემდეგიდან: ათონის ერთი ბერძნული ხელნაწერი (სპ. ლამბროსის კატალოგიით № 3599), შეიცავს პირველ ნაწილში „დავითს“, რომელსაც წინ უძღვის უსათაურო (*ἀνεπίγραφον*) თხზულება. კატალოგში მოყვანილია ამ ტრაქტატის დასაწყისი, რომელიც შალიანად ემოხვევა ქართული ხელნაწერის პსელოსის „განმარტების“ დასაწყისს:

*Σύμμετον μοι εἶπτε ἀπὸ τῶν κα-*      შებათი არს ბოროტთაგან ექნება  
*κῶν ἀρχαῖα καὶ ἀποχῆ. [Ν]εομυρία δὲ*      და განუწყება, ხოლო ახალთაზე გან-  
*τὸν ἀπὸ τῶν ἁγίων τοῖς ἀγαθοῖς ἐργαῖς.*      ლება კეთილთა საქმეთა შინა.

სპ. ლამბროსის Catalogue ში სხვა არაფერია მოყვანილი ამ ძეგლიდან; არც ის ჩანს, თუ რა მოცულობისაა ეს ძეგლი. მაგრამ დასაწყისის ნიხედვით ამ ორ ძეგლს შორის, ბერძნულსა და ქართულს შორის, არავითარი განსხვავება არ არის. სათაური, რომელიც ქართულ თარგმანს მოეპოვება, არ შეიძლება მთარგმნელის ან გადამწერის მიერ იყოს მოგონილი: გამოთქმა „პანუპერტიმოსისა“

\* ზღო. მისი ერთ-ერთი შრომის ხელაწერილი: *Μιχαὴλ παρ.περιήμον μονα-*  
*χοῦ τοῦ Φελλῶν.* სპ. ლამბროსის Catalogue... № 3816, გვ. 401, 48 (ფ. 110a).

არც ისე ხშირად იხმარებოდა ბერძნულში, რომ ქართველს მივაწეროთ იმის ხმარება საკუთარი დასკვნის მიხედვით; ჩანს ასეთი სათაური ჰქონდა თვით ბერძნულ ტექსტს.

ამგვარად, ქართული ტექსტი ტრაქტატისა „დღესასწაულთა“ შესახებ, რომელიც A—67 ხელნაწერშია დაცული, მიქელ პსელოსის ნაშრომად იყო ცნობილი და მისი ბერძნული დედანი მოცემული უნდა იყოს ათონის ბერძნულ ხელნაწერში № 3599.

2. მიქელ პსელოსის მეორე შრომის ქართულთა თარგმანი შემონახული უნდა იყოს გელათის ხელნაწერში (№ 23)<sup>1</sup> და თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციისაში (S—1463)<sup>2</sup>. ამ ძეგლს სათაურად უწერია:

„დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისაჲ მოწაფეთა თჳსთა მიმართ თარგმანებაჲ სიყუჯასა მას ღმრთი სმეტევშლისასა მეტეკეშლისა: „უკითრცა იქმნა ჰ. რმხო მრავალთა ძმათა შორის, ეგრეთვე პირმხო მკუდართაგან“ ღირს იჩინა, კოფაჲ“.

ძეგლი ასე იწყება: „თქვენ ვიდრემე მრავალთა ძმათა შორის პირმშოებაჲ, თუ რასა ცხად ჰყოფს სახელი ესე. გამომწულიველთა იკითხეთ...“<sup>3</sup>.

როგორც გელათის № 23 ხელნაწერი ისე S—1463, ხელნაწერთა აღწერლების მიერ დათარიღებულია XII—XIII საუკუნით, ხოლო მთელი ხელნაწერი S—1463 აღწერილობაში დასათაურებულია: „არსენ ვაჩეს ძე. დოღმატიკონი. XII—XIII“<sup>4</sup>. ასევე გელათის № 23-ს სათაურად უბის „დოღმატიკონი [XIII]“. ამგვარად, ორსავე ნუსხაში (გელათის № 23 და S—1463) ეს ძეგლი შეტანილია არსენი იყალთოელის „დოღმატიკონში“. აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „ეს ტრაქტატი შემდეგ შეუტანია ვილაცას არსენ იყალთოელის „დოღმატიკონის“ ერთ ერთ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია გელათის მონასტერში (№ 23, ფ. 361—364)“<sup>5</sup>. კ. კეკელიძეს არა

<sup>1</sup> ხელნაწერთა აღწერილობა (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა). ტომი I, შედგენილი ვ. ნიკოლაძის მიერ. თბ. 1953, გვ. 163 (ხელნ. № 23, გვ. გვ. 361 v — 364 r).

<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების S-კოლექციისა). ტომი II, თბ. 1961, გვ. 219, 38 (ხელნ. № 1463, გვ. 267 v — 288 r).

<sup>3</sup> გელათის № 23: მკუდართაგან.

<sup>4</sup> იხ. კ. კეკელიძე. უძველესი ავტორები ძველ ქართულ წყაროებში: ვტირუდები V (1957), გვ. 101.

<sup>5</sup> კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I (1960), გვ. 292.

აქვს გათვალისწინებული, რომ იგივე ტრაქტატი მოიპოვება სხვა ნუსხაშიც (S—1463)<sup>1</sup>. მართალია, არსაიდან ჩანს, რომ ეს ორი ნუსხა (XII—XIII საუკუნისა) ერთიმეორისაგან მომდინარეობდეს, მაგრამ შესაძლებელია ეს ორივე ნუსხა საერთო წყაროდან მომდინარეობდეს და რომ იმ წყაროში შემთხვევით მიაწერა კრებულის შემდგენელმა თუ ხელნაწერის გადამწერმა არსენ იყართოელს.

ამჟამად ჩვენთვის შემდეგი საკითხია გადასაწყვეტი: მართალია თუ არა, რომ ეს წრომა მიქელ პსელოსის ნაწარმოებს წარმოადგენს და რომ ის არსენი იყართოელის მიერ არის გადმოთარგმნილი? ამ საკითხის გარშემო შემდეგი მოსაზრებებია წამოყენებული:

ა) აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ტრაქტატი, რომელსაც სიმოკლისათვის შეიძლება ეუწოდოთ „პირმოქსათჳს“, შემთხვევით არის მიჩნეული მიქელ პსელოსის ნაწარმოებად და რომ „ასელოსის წრომათა შორის, რომელნიც ანგანად ცნობილია, ვერ ვპოულობთ“. ამავე დროს კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ტრაქტატი „იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაწარმი უნდა იყოს; ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იმაში განმეორებულია მრავალი ისეთივე აზრი და დებულება, რომელიც მოცემულია იოანე პეტრიწის საკუთარ კომენტარებში და ნემესიუს ემესელის [წრომის «ბუნებისათჳს კაცისა»] თარგმანში“<sup>2</sup>.

ბ) აკად. შ. ნუცუბიძის აზრით ტრაქტატი „პირმოქსათჳს“, პირიქით, მიმართულია იოანე პეტრიწის წინააღმდეგ და „თავისი შინაარსით და საპოლემიკო მიზანდასახულობით არსენი იყართოელის დაწერილი უნდა იყოს“<sup>3</sup>. „ხედწერის მიხედვით — ამბობს შ. ნუცუბიძე, ეს ტრაქტატი ვითომც მიქელ პსელოსს ეკუთვნოდა. საფიქრებელი იყო, რომ არსენ იყართოელმა ეს ტრაქტატი გადმოთარგმნა პსელოსის ნაწერებიდან და თავის «დოქმატიკონსა». ასეთივე ნათარგმნი ნაწარმოების კრებულს, დაუმატა. მაგრამ მალე გამოიარკვა, რომ ასეთი ნაწარმი მიქელ პსელოსის ნაწერთა ნუსხაშიაც კი არ აღმოჩნდა. ამან საბუთი მოგვცა გვეფიქრა, რომ აღნიშნული ნაწარმი ორიგინალურია და, ბუნებრივია, რამდენადაც

<sup>1</sup> თუმცა სხვა ადგილას (კ. ლიტ. ისტ. I, 1960, გვ. 465) კ. კეკელიძე ამ ნუსხასაც (S—1463) ასახელებს.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I (1940) გვ. 292. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სხვა ადგილას (გვ. 464—465) კ. კეკელიძე მიქელ პსელოსს თვლის ავტორად და იოანე პეტრიწს თარგმნელად.

<sup>3</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია II (.958), გვ. 225.

იგი არსენის «დოღმატიკონის» შემადგენლობაში აღმოჩნდა. მას ეკუთვნოდა<sup>1</sup>.

ამგვარად, კ. კეკელიძეც და შ. ნუცუბიძეც ფიქრობენ, რომ ტრაქტატი „პირწმომასათს“ ორიგინალური ნაწარმოებია და არა ნათარგმნი, ხოლო კ. კეკელიძის აზრით ის იოანე პეტრიწის ნაწარმოებია. შ. ნუცუბიძის აზრით კი — არსენი იყალთოელისა. მათ, ორივეს, გამორიცხულად მიაჩნიათ, რომ ეს ტრაქტატი მიქელ პსელოსისა იყოს ქართულად გადმოთარგმნილი, ვთქვათ, არსენი იყალთოელის მიერ. იმის საბუთად, რომ ის მიქელ პსელოსს არ შეიძლება ეკუთვნოდეს, იმ გარემოებას მიიჩნევენ, რომ მიქელ პსელოსის ნაწერთა ნუსხაში ის არსად არ მოიხსენიება.

ნემოთ ჩვენ გვეონდა შემოსევა დაგვეჩხა, რომ ტრაქტატი „დღესასწაულთა“ შესახებ, რომელიც ქართულ ხელნაწერში მიქელ პსელოსს მიეწერება, აგრეთვე არ მოიხსენიება პსელოსის ნაწარმოებთა ნუსხაში მაგრამ ექვნიუტანლად მტკიცდება ამ ტრაქტატის დასაწყისი თავის მიხედვით (არაჲ შაბათი და რაჲ ახალთთუფა), რომ ამ ბერძნულიდან არის ნათარგმნი, იმ ბერძნული ძეგლიდან, რომელიც ბერძნულ ხელნაწერში უავტოროდ (ἀναρχαφου) არის მოყვანილი. თუ ეს გამოირკვა, რომ ქართველ მწიგნობარს უსაბუთოდ არ მიეკუთვნებია ტრაქტატი „დღესასწაულთა“ შესახებ მიქელ პსელოსს, აათვის, რა საბუთით არის ყალბად გამოსაცხადებელი ქართული ძეგლის მოწმობა, რომ „პირწმომასათს“ არის ნაწარმოები „დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისა“. რამდენადაც ეს ასეა და რამდენადაც ჯერჯერობით არც ერთი ამ თეგლთაგანი გამოცემული არ არის, ხოლო ერთი ნათგანის („დღესასწაულთა“ შესახებ) ბერძნული ტექსტის მხოლოდ დასაწყისია ცნობილი და არა ნთელი ტექსტი. რომლის შედარება ძველქართულ თარგმანთან სანათლეს შეიტანდა საქმის ვითარებაში, ამდენად, ვფიქრობთ, არ არის ჯერჯერობით ექვის ქვეშ დასაყენებელი ძველქართული ხელნაწერების მოწმობა. რომ ეს ორივე ტრაქტატი მიქელ პსელოსს ეკუთვნის.

<sup>1</sup> შ. ნუცუბიძე. იქვე, გვ. 154.

<sup>2</sup> მიქელ პსელოსის ეს ორივე ტრაქტატი («დღესასწაულთა განმარტება» და «პირწმომასათს») დავამხადეთ გამოსაცემად და ამ წიგნის ბოლოში ვერთავთ „დამატების“ სახით.

## შეხვალი

Χρονογραφία ποιηθείσα τῷ πανσόφῳ μοναχῷ Μιχαήλ τῷ ὑπερίμῳ, ἱστοροῦσα τὰς πράξεις τῶν βασιλέων, τὸν τε Βασιλείου καὶ Κωνσταντίνου τῶν Πορφυρογεννητῶν, τὸν τε μετ' αὐτοὺς Ῥωμανὸν τὸν Ἀργυροπῶλον, τὸν μετ' ἑκαίην Μιχαήλ τὸν Παφλαγονόου, τὸν ἀπὸ καισάριον ἀρξάντος μετ' αὐτὸν ἀναψῶν τούτου Μιχαήλ, τῶν ἐξῆς ὄνο ἀντιθέλων καὶ πορφυρογεννητῶν τῆς τε κυρῆς Ζωῆς καὶ τῆς κυρῆς Θεοδώρας, τὸν σὺν αὐταῖς Κωνσταντίνου τὸν Μονιμάχου, τῆς μονοκρατορίσσης Φατέρης τῶν ὄνο ἀντιθέλων κυρῆς Θεοδώρας, [τὸν μετ' ἑκαίην Μιχαήλ τὸν Ἰέροντος,] τὸν μετ' ἑκαίην Ἰσακίου τὸν Κορυνησὸν, καὶ ἕως τῆς ἀναρρήσεως Κωνσταντίνου τὸν Δούκα (ed. Renauld I, 1).

ქრონოგრაფია, შედგენილი უილრესად ბრძენი მონაზონის ზემთა-პატივოსანი მიქელის მიერ; ეს ქრონოგრაფია მოგვეთხრობს მეფეთა მოღვაწეობას: ბასილი და კონსტანტინე პორფიროგენეტებისას, მათ შემდეგ რომანოზ არჯიროპოლისისას, ამის შემდეგ მიხეილ პაფლაგონელისას, მის შემდეგ მისი ძმისწულის მიხეილისას, რომელსაც კესაროსის პატივი ჰქონდა. ანათ მოსდევდნენ ორნი დანი პორფიროგენეტნი, დედოფალი ზოე და დედოფალი თეოდორა, და ნათთან ერთად კონსტანტინე მონომახოსი. შემდეგ იმ ორ დათავან ერთმართველი დედოფალი თეოდორა, [ხოლო ამის შემდეგ მიხეილ ნიზუცი,] ამის შემდეგ კი ისააკ კომნენოსი და თეროზა მოკანილია ვიღრე კონსტანტინე ღუკის გამეფებამდე<sup>1</sup>.

<sup>1</sup> აქ ჩამოთვლილი კვისებები და დედოფლები არიან:

- ბასილი II (976—1025)
- კონსტანტინე VIII (1025—1028)
- რომანოზ III არჯიროსი (1028—1034)
- მიხეილ IV პაფლაგონელი (1034—1041)
- მიხეილ V (1041—1042)
- ზოე და თეოდორა (1042)
- კონსტანტინე IX მონომახოსი (1042—1055)
- თეოდორა (მარტო) (1055—1056)
- მიხეილ VI [ატრატიოტიკი] (1056—1057)
- ისააკ I კომნენოსი (1057—1059)
- კონსტანტინე X ღუკა (1059—1067).



## იბერთა ჯარი

I, 10. Ὁ δὲ γε Φωκᾶς Βάρδας τῷ βασιλεῖ Ῥωμαίων ἐπαναξέυγυυσι, καὶ τῆς τε τροπαιοφόρου ἐτεταρχᾷ: κομπῆς, τοῖς τε περὶ τὸν βασιλέα συναρίθμους ἐτύγγαυεν ὦν. Οὕτω μὲν οὖν ἡ πρώτη τυραννὶς καταλέλυται, καὶ ὁ βασιλεὺς Βασίλειος ἀπηλλάχθη: πραγμάτων ἔδοξε· ἡ δὲ δόξα αὐτῆ καταάλυσις ἀρχῆ πολλῶν ὀδύνων οὖσα ἐτύγγαυεν. Ὁ γάρ τοι Φωκᾶς πρῶτα μὲν μαζόνων ἀξιωματεῖς, ἔπειτα ἐλατίνων, καὶ ἀνθὶς ὑπορρεούσας αὐτῷ τὰς ἐλπίδας ὄρων, ἄμα δὲ καὶ μὴ προδεδωκέναι: τὴν πίστιν εἰσμένος, ἐπὶ βῆτοῖς προσβᾶσαν καὶ φυλαχθεῖσαν, σὺν τῷ κρατίστῳ μέρει τοῦ στρατοπέδου βραχυτέραν τε καὶ χαλεπωτέραν κατὰ τοῦ Βασιλείου τυραννίδα ἀνίστησι· καὶ τὰ πρῶτα γένη τῶν τότε θυναμένων ἀναρτητάμενος, καὶ εἰς ἀντίπαλον μείραν ἀποκριθεῖς στρατεύμα τε Ἰβηρικὸν ἀπολεξάμενος ἐξυτῷ (ἄνδρες δὲ εὐτοὶ τό τε μέγεθος εἰς δέκατον πόδα ἀναστηκότες καὶ τὴν ὄφρῖν σφραγῶν ἔλασσοντες), οὐκ ἔτι ἐν ὑπονοίαις, ἀλλὰ μετὰ τῆς βασιλικῆς τιμᾶς καὶ τοῦ ἐπιστήμου χρώματος τὴν τυραννικὴν στολὴν ἀμφιέννυται.

I, 15. Αἱ μὲν οὖν τάξεις εἰστήκασαν ἑκατέρωθεν, ἀπὸ μὲν τῶν

რაც შეეხება ბარდა ფოკას, ის კვლავ რომაელთა მეფეს დაუბრუნდა, მოიპოვა ჩინებული და საზეიმო მიღება და მეფის მახლობელთა რიცხვში ჩაითვალა. ამგვარმდ, პირველი აჯანყება ჩაიშალა და მეფე ბასილიმ გადაწყვიტა გასცლოდა საქმეებს; ხოლო ეს მოჩვენებითი ჩაშლა შეიქმნა მრავალი ტანჯვის დასაბამი. მართლაც, ფოკა ჯერ უაღრესად აღზევებული, შემდეგ კი დამცირებული, ხედავს, რომ მისი იმედები კვლავ იმსხვრევა, ამავ დროს ფიქრობს, რომ არ უღალატა რწმენამ, რომელიც გარკვეულ პირობებში მიღწეულია და დაცული, — ამიტომ ის თავისი ჯარის უძლიერესი ნაწილით აწყობს ბასილის წინააღმდეგ უფრო მწვავე და უფრო მძიმე აჯანყებას. მის შემდეგ რაც ჯერ დაიკავშირა მაშინდელ დიდებულთა გვარები, ნან მტრული გეზი აიღო და თავისთვის შეკრიბა იბერიელთა ჯარი (ეს ხალხი სიმაღლით მეთვე ფუტს აღწევს და წარბებიც კედმაღალურად აქვთ შეჭმუხნილი); ეს აჯანყება საეკვბიოდ სავარაუდებელი კი არ იყო, არამედ ჰგულისხმობდა სამეფო გვირგვინს და ნიშნული ფერის ტანსაცმელს ტირანისას.

ამგვარად, ორივე მხრივ დადგნენ ჯარები: სანაპირო მხა-

παραλίων μερῶν ἢ βασιλικῆ, ἀπὸ  
δὲ τῶν ὑψηλοτέρων ἢ τυραινικῆ,  
καὶ πολὺν μεταξὺ τὸ μεταίχμιον.

Ὁ τοῖνον Φωκᾶς, ὡς καὶ  
τοὺς βασιλεῖς διατεταγμένους ἐμε-  
μαθίηται εἰς τὴν παράταξιν, οὐκ  
ἔτι [ἐν] ἀναβολαῖς τοῦ μάχεσθαι  
ἦν, ἀλλὰ τὴν ἡμέραν ἐκείνην  
κρίσιν τοῦ πολέμου θερμοτελῆ  
ἔθετο, καὶ τῷ τῆς τύχης ἑαυτὸν  
ἐπέτρεψε πνεύματι· οὐ μὴν κατὰ  
σκοπὸν τοῖς περὶ αὐτὸν ἐποιεῖτο  
μάντιον· οἱ μὲν γὰρ ἀπειργον  
τοῦ μάχεσθαι, τῶν μυμάτων  
αὐτοῖς τοῦτο διασφαιρόντων, ὃ δὲ  
ἀντεπεχειρεῖ· ὄλην ἄριαις τὴν  
ἡμίαν τῷ ἱππῳ.

Λέγεται μὲντοι καὶ σημεῖα  
φανῆναι οἱ ἀπαίσιαι· ὡς γὰρ  
ἱππᾶσαστο, εὐθύς αὐτῷ διαλίσθη-  
κει· ὃ ἱππος, καὶ ἐπει μετέβη εἰς  
ἕτερον, καὶ οὗτος βραχὺ τ· προ-  
εληλυθὸς ταῦτ' ἐπεπόνθη· ὃ τε  
χρῶς αὐτῷ ἐτίτραπτο, καὶ ἀχλὺς  
μὲν τὴν γνώμην, δῖνα· δὲ τὴν  
κεφαλὴν διατάραξαν.

Ὅς δὲ πρὸς οὐδὲν ἐνδύσιμος  
ἦν, ἀπαξ ἑαυτὸν καταστήσας εἰς  
τὸν ἀγῶνα, ἀπειθῆ ἐνεβείηται τῷ  
μετώπῳ τῆς φάλαγγος, καὶ ἦδη  
που πλησίον τῆς βασιλείου ἐγε-  
γόναι· θυνάμωας, πεζὴν τινα  
περὶ αὐτὸν συλλεξάμενος θύναμιν,  
\*1 βήρων τοὺς μαχίματάτους

რეზე—სამეფო ჯარი, ხოლო მალ-  
ლოცებზე იდგა აჯანყებულთა ჯა-  
რი; ორივეს შუა დიდი მანძილი  
იყო.

როდესაც ფოკამ შეიტყო,  
მეფის რაზმები უკვე განლაგებუ-  
ლი არიანო, აღარ ჩასთვალა შე-  
საძლებლად გადაედო ბრძოლის  
დაწყება, და გადაწყვიტა რომ  
ის დღე ომის დასაწყებად ხელ-  
საყრელი იყო, და თავისი თავი  
მიხედო ბედის სუბტქვას. რასა-  
კვირეულია, მიზნისდა მიხედვით,  
ის მის გარშემო მყოფ მისნებს  
არ მიძყებოდა: ისინი მას აკა-  
ვებდნენ ბრძოლისაგან, რადგან  
ამას მსხვერპლშეწირვები უჩვე-  
ნიდნენ მათ, ხოლო მან, პირიქით,  
მთლად მიუწევა ალვირი ცქენს.

ამბობენ, რომ მას მაინც სა-  
ბედისწერო სამისნო ნიშნები მო-  
ეულანა: რამეთუ როგორც კი  
ცხენზე შეჯდა, მაშინვე ცხენი  
მას ქვეშ გაიშხლართა, და რო-  
დესაც ის მეორე ცხენს შეაჯდა,  
მასაც, რამდენიმე ნაბიჯის შემ-  
დეგ, იგივე ბედი ეწია: თვითო-  
ნაც ფერი ეცვალა, გონებას ბინ-  
დი გადაეფარა. ხოლო თავს ბრუ  
დაესხა.

ის ისეთი კაცი იყო, რომ  
არაფრის წინაშე არ შედრკენოდა  
ხოლომე, რაკი ერთხელვე ბრძო-  
ლაში ჩაებმებოდა, როდესაც ის  
თავის ფლანგს წინ მიუძლოდა,  
და ახლა, როდესაც ის სამეფო  
ჯარის ახლოს აღმოჩნდა, მან  
თავის გარშემო შეიგროვა ქვეითა



φημί, ἀρτιφωεῖς πάντα τὸ γένειον καὶ αὐτὸ δὴ τὸ νεοτῆσιον ἀποφύοντα; ἄνθος, ἡψήλους καὶ ἰσομέτρους ὡσπερ ἕπὲ κανόνα τὸ μέγεθος, ξίφει: καθάπλισμένους τὴν δεξιάν καὶ τὴν ἑρμῆν ἀνυποστάτους: συγγάνοντα, τούτους δὴ μὲθ' ἑαυτοῦ ἕψ' ἐν: κινήσας συνθήματα, τῆς φάλαγγος προπηδῶ, καὶ τὸν χαλινὸν ἐνδύς: σὺν ἀλαλαγμῷ εὐθὺς τοῦ βρασιλέως χωρεῖ, τῷ δεξιῷ βραχίον: μετέωρον τὴν τοῦ ξίφους ἐπέχων λαβήν, ὡς ἀντίκα τούτου τὸν βρασιλέα διαχειρισόμενος (ed. Renauld I, 9—10).

გაქვანა: მარჯვენა ხელი ედო მახვილის ბუნებ, თითქოს იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ გაეგვირა მეთუ.

[XVI თავში მოთხრობილია, რომ ფოკას იმის წინ, ზასილისთან ხელჩართულ ბრძოლაში ვახვლას რომ აძირუბდა, საწამლაგი დააღვინეს და იგი უცხად უსულოდ დაგარდა.]

I, 17. Πίπτε: γούν ὁ τέως ἀτρωτος καὶ ἀνάλωτος, θέαμα ἐλεεινὸν καὶ θακρύνων ἄξιον. Ἐνθὺς δ' εὐν ὡς εἶδον αἱ φάλαγγες ἑκατέρωθεν, ἡ μὲν εὐθὺς διαίρειναισιν καὶ τὸ τῆς διαίρειναισιν συνεχές διακρίψασα, ὁπίστω τε ἐγεγόνει, καὶ ψυγᾶσθε ἅπαντες ὠφθησαν: οἱ δὲ περὶ τὸν βρασιλέα, εὐθὺς πεσόντι: τῷ τυράννῳ ἐπεισηδῆσαντες, τῶν Ἰβήρων διασχεδασθέντων, πολλὰς κοπίσι: διαμελίξουσι, καὶ τὴν κεφαλὴν ἐκτεμόντες τῷ Βρασιλεῖ προσάγουσιν (ed. Renauld I, 11).

კუწვებად აქციეს დანის რტყმით, თავი მოჰკვეთეს და მიუტანეს ზასილის.

ჯარი, მე ვგულისხმობ უმანაცხად ვებრძოლ იბერიელებს; ყველას ახლახან ამოსულადა წვირი, და თვით გაფურჩქნვილ ყვავილს ჰგვანდენ; მალალი ტანისა იყვნენ და თანაზონიერნი, თითქოს კანონის მიხედვით მოზომილნი, შეიარაღებული იყვნენ ნახვილით, რომელიც მარჯვენა ხელში ევირათ და შემართვით იყვნენ უძლეველნი; ესენი რომ თვისისთან ჰყვანდნენ, ის მათ მართავდა ერთნაირი გეზით, ფალანგს წინ მიუძღოდა, აღვირთ მიუწეა თავის ცხენს და საბრძოლო შენახვით უმაღ მეყვისკენ

რომ დაეცა ის კაცი, რომელიც მანამდე უძლეველი იყო და მოუწყვეელი, — ეს წირმოადგენდა საცოდავ სახანაობას, ცრუნების ღირსს. მაშინვე როგორც კი მოწინააღმდეგეთა ფალანგებმა, ორივემ, დაინახეს ეს, ერთი მაშინვე დაიქსაქსა დე, რადგან საბრძოლო კავშირი დაიშალა.

უკუიქცნენ, და ყველანი ლტოლვილებად გახდნენ; ხოლო მეორენი, მეფის გარწემო რომ იყვნენ, მაშინვე ეცნენ დაკემულ ტირანს (ე. ი. ფოკას), გაფანტეს იბერიელები, თვით იგი ნაკუწვებად აქციეს დანის რტყმით, თავი მოჰკვეთეს და მიუტანეს

**იბერიელთა საგანძურების დაცარიელება**

I, 31. Ἀπό τοῖνον ἑπερη-  
 ψήνου καὶ βασιάνου τύχης τὴν  
 βασιλείαν καταβιβάζατο, ὅς μόνον  
 λαίαν ἔαυτῆ τὴν ἔθον εὐτρέπισσε  
 τῆς ἀρχῆς, ἀλλὰ καὶ τὰς ἐξου-  
 γωγὰς τῶν διδομένων ἀποστράჯας  
 χρημάτων, πολυτάλαν ἔαυτῆ τὸν  
 ἔλθρον τῆς βασιλείας πεποίηκε,  
 τὰ μὲν μὲ διδοῦς, τὰ δὲ καὶ  
 προστιθεῖς ἐξῴθεν ἐς γὰρ μυ-  
 ριάδας εἶκοσι: ταλάντων ἑμπελεσ  
 τὰ τῶν ἀνακτόρων ταμεῖα πε-  
 ποίηκε. Τὸν δὲ λοιπὸν χρηματι-  
 σμὸν τὴν ἂν εὐπορήσοι τῆ λόγι  
 συναγαγεῖν: ἵνα γὰρ ἐν Ἰβη-  
 ρσί τε καὶ Ἀραβίαι, καὶ ἵνα  
 ἀποτεθῆται τὰ εἰς Κελτῶν,  
 ἰπῶτα τε ἢ Σκυθῶν εἶχε γῆ,  
 καὶ, ἵνα συντόμως εἴπω, τὸ πᾶσι  
 βαρβαρικόν, πάντα ἐς ταῦτὸν συ-  
 νενήνοχῶς τοῖς βασιλεῦσι τα-  
 μεῖσις ἀπέθετο: ἀλλὰ καὶ τῶν  
 καταστασιαάντων αὐτῶν, εἶτα δὲ  
 καθ'αἰρεθέντων, τὴν ἐν χργήμασιν  
 ἐνδαμυσίαν ἔκτισσε πῆρῶν ἀπεθῆ-  
 τήρισε (ed. Renauld I, 19).

ამგვარად, სახელმწიფო რომ  
 ჩააყენა პირქუში და მოშურნე  
 ბედის საფარ-ქვეშ, მან არა მხო-  
 ლოდ შეამზადა თავისთვის მო-  
 სწორებული გზა ძალაუფლებისა,  
 არამედ მან დახშა გამოსასვლელი  
 კარები შემოსული თანხებისა,  
 შექმნა თავისთვის მრავალტალა-  
 ნიანი სამეფო საგანძური: ხან  
 იქიდან არაფერს აწლევდა, ხან  
 გარედან უმატებდა: რამეთუ მან  
 ორასათას ტალანტამდე ააგსო  
 სასახლის საზინა, ვის შეუძლია  
 სიტყვით აღრიცხოს დანარჩენი  
 სიმდიდრე? მართლაც, მთელი ის  
 სიმდიდრე, რაც იბერიელე ბ-  
 ში და არაბებში მოიპოვა, რაც  
 კელტებში მოაგროვა, რაც ებადა  
 სკვითების ქვეყანას და, მოკლედ  
 რომ ვთქვა, მთელ ბარბაროსთა  
 სამყაროს, ყველაფერი ერთად  
 შეაგროვა და დასდო სამეფო  
 სალაროებში. მაგრამ იმათი ქო-  
 ნებაც, რომელნიც მას აუჯანყ-  
 დნენ, ხოლო შემდეგ დამარცხე-  
 ბულ იქმნენ, იმათი ფულადი სიმ-  
 დიდრეც იქვე მიიტანა და შეინახა.

**იბერიის თემი**

VI, 100. Τῶ ἀντοκράτορι:  
 Κωνσταντίνου θύα ἐγεγόνεισαν  
 ἀδελφοί, Ἐλένη μὲν ἢ, πρῶτον  
 τέρη τὸ θύμα, Ἐπρεπία δὲ ἢ  
 μετ' ἔκείνην: τῆς μὲν οὖν Ἐλέ-

თვითმპყრობელ კონსტანტი-  
 ნეს<sup>1</sup> ჰყავდა ორი და: უფროსს  
 ერქვა ელენე, ხოლო უმცროსს—  
 ევბრეპია. და, აი, ელენეს ის  
 არავითარ ყურადღებებს არ აქ-

<sup>1</sup> ეს არის კონსტანტინე IX მონმანისი (1042—1054).

νης οὐδένα ἐπεποίητο λόγον, [τὴν δ' ἐτέραν]<sup>1</sup> οὐτε τι λαμπρὸν ἐξ ἀρχῆς κομῶσαν καὶ εἰς περιφάνειαν τύχης ἐληλυθυῖαν, φρονήματός τε πλήρη τυγχάνουσαν, καὶ γυναικῶν ἀπασθῶν ὧν ἐγὼ τεθέσμαι σταθῆροτάτην τε οὖσαν καὶ δυσπαράγωγον, ταύτην τουργαρὸν εὐλαβείτο μὲν ὁ ἀδελφός, ὧς μοι εἴρηται, οὐκ ἔστειργε δὲ παραγωγόν, ἀλλ' ἐθεάζει μάλλον ἢ περιείπεν.

უფრო ემიხობდა, ვიდრე ზატყვის ცემდა.

ახუე თურგარონ თონ ἔπι τῷ ἀδελφῷ διαμαρτησῖα ὑπερηφάνων ἔλπιδων, βουλεύσασθαι μὲν τι κατὰ τοῦ ἀποκράτορος τῶν ἀτοπωτάτων ἀπειχε παντάπῃ, οὐ πολλάκις δὲ τούτῳ προσήει, οὐδ' ἐμάργε: ἀδελφικῶς, ἀλλὰ καὶ εἰς ἐμίλιαν ἐκαίψῃ ἑαυτὴν καταστήσασα, ὑπερηφάνως τε διελέγετο καὶ μετὰ τῆς ἀρχαίας ὀφρῶς ἀπήλεγγέ τε τὰ πολλὰ τοῦτον καὶ προσωπειδίξει, καὶ ὅποτε θυμούμενον ἴδῃ, ὑπανεχώρει καταφρονῶσα, τὴν ἔπ' αὐτὴν ἕβριν τῶς χεῖλεσιν ὑποτονθέρυζουσα<sup>2</sup> καὶ ἐπειδὴ χυδε: τὸν ἀδελφὸν πρὸς τὸν ἴδῃ ῥηθέντα Ἰορνίκιον ἀστόργως πάντῃ ἢ ἀπεχθῶς ἔχοντα, τοῦτον ἐκαίψῃ ἐθεξιστο καὶ φίλτατον εἶχε, καὶ θυμαῖ προσωμίλει, οὐκ οὕτως ἀσπαζομένη τὸ πρότερον.

ცევდა; რაც შეეხება მეორეს, რომელიც დასაწყისში ვერ დაიკვებდა ბრწყინვალე მდგომარეობას და არც მიაღწია ბრწყინვალე ბედამდე, იგი იყო აღსავსე სათნოებითა, ყველა ქალთა შორის, რომლებიც მე მინახავს, უფლანზე მედგარი და ძნელად შესაყდენი, — აი ამას, მაშასადამე, როგორც ვთქვი, მისი სმა უფროთხილდებოდა, ხოლო კი არ უყვარდა გამორჩევით(?) არამედ

ეს ქალბატონი, მაშასადამე, ძმანზე დამყარებულ ზვიად იმედებში გაცრუებულთ, რასაკვირველია, სრულიად თავს იკავებს განიზრახოს თვითმპყრობელის წინააღმდეგ რამე უჯერო, მაგრამ არ მიღის მის სანახავად ხშირად, არც ენდობა მას ძმურად, არამედ, როდესაც მას ხვდება, ელაპარაკება მას ამაყად და ძველებური სიამაყით ბევრ რამეში არ უთმობდა მას და კიდევაც აკიცხავდა; და როდესაც ის მას გაჯივრებულს ნახავდა, ის აიკრიფებოდა ზიზლით და ტუჩებიტ ბუბლუნებდა მისი გამკიცხავი; როდესაც ის სცნობდა, რომ მისი სმა უკვე ჩემ მიერ ხსენებულ თორნიკეს სრულიად უსიყვარულოდ ან მტრულად ეპყრობა, ის ამას სიყვარულით მიესალმებოდა და ხშირად მოინახუ-

<sup>1</sup> τὴν δ' ἐτέραν Sathas, τὴν δ' Renauld.



τιον περιεστήκει· τὰ πράγματα  
 οὕτε γὰρ οὐκ εἶλον στρατεύματα, οὕτε  
 συμμαχικὸν αὐτῶν πῶς συνεῖλεκ-  
 το, εἰ μὴ τις ἄλλοιη μερὶς ξενικῇ,  
 ὁπόσῃ τις εἰσῆθεν ἐφέπεσθαι ταῖς  
 βασιλείαις παρῆκε· ὃ γὰρ τὰς τῆς  
 ἐφ' ἑαυτῶν ἔκαστοι· ἴνα δὲ τις  
 καὶ κατὰ συνέτηκα ταχὺ συνέ-  
 γέντες βροτήθισαιεν τῷ αὐτοκρά-  
 τορ· κινδυνεύοντι, ἀλλ' ἐς τὰ βί-  
 βύστερα τῆς Ἰσθμίου· ἐστρατι-  
 πεδεύκειςαν, ἐπιβρομήγ' ἑνὸς βαρ-  
 βάρου ἀνακρουόμενοι· ὁ δὲ ταῦτα  
 ἀποκρίσασαν τῷ βασιλεῖ· αἱ ἐλπί-  
 σεις, καὶ τασσῶτον μόνον ἀνέπνευ-  
 ὁπόσον αὐτὸν ἢ τῶν τεύχους πε-  
 ριπέλιθ' ὁμῶν γυναι· ὅθεν παρὶ τῶν  
 το ἐπόνει, τὰ τε κατεργαζόμε-  
 γμένα τῶν μερῶν ἀνακρούμενος καὶ  
 λ:θιπῶλοις καταπυκνῶν μαχη-  
 μαται (ed. Renauld II, 19).

შემორტყმობა გარშემო. ამიტომაც იბნის  
 ზრუნვა, რომ აღედგინა დაუდევრობით დაკარგული ნაწილები და  
 შეეცაო ქვისმტყორცნელი შენკანებით.

### მარიამ დედოფალი და კონსტანტინე

მიქელ პსელოსს თავის „ქრონოგრაფიაში“ ცალკე თავი აქვს მიძღუ-  
 ალი მიხეილ VII დუკა პარაპინაკის დახანაოებისათვის. როგორც ცნო-  
 ბილია, მიქელ პსელოსი მიხეილის აღმზრდელი იყო და იგი არ ზოგავს  
 სიტყვებს მის შესაქებად. „ქრონოგრაფიის“ ამ ნაწილიდან ჩვენ მო-  
 გუჯავს ის ადგილები, რომლებიც ეხება მიხეილის მეუღლეს მარიამს,  
 მართა-ყოფილს (თუმცა ისტორიკოსს არ მოჰყავს მისი სახელი) და  
 მის ვაჟს კონსტანტინეს.

### მიხეილ VII დუკა პარაპინაკის მეუღლე

VII, 9. 'Αλλ' ἐπιτέμνοντα შავრამ მე მოკლედ ვჭრი  
 τὸν λόγον πολλὰ με ὁμῶσθε. τὸ სიტყვას და ამიტომ ბიერი რამ

ლის საქმეები საპირისპირო მდგო-  
 მარობაში იყო: რამეთუ არც  
 საკეთარი ჯარი, არც მოკლე-  
 შირცა (დ.ქირავებელი) ჯარი  
 ჰყავდა სეკროვილი, თუ არ ჩავ-  
 თვლით უცხოელების ერთ პატა-  
 რა განაყოფს, რომელიც ჩვეუ-  
 ლებრივ სამეფო ზეიმებს თან  
 ახლდა: რაც შეეხება აღმოსავ-  
 ლეთის ჯარს, ისინი თითოეული  
 მათგანი, თავიანთ ქვეყანაში კი  
 არ ბანაკობდნენ, რათა მოკლელ-  
 ლი ნიშის მიხედვით სწრაფად  
 შეკრებილნი დახნაოებოდნენ სა-  
 ფრთხენი ნყოფ თვითმწყობელს,  
 არანედ დაბანაკებული იყვნენ  
 იბერიის სიღრმეში და ბარბა-  
 როსების იერიშებს იგერიებდნენ:  
 ამის გამო მეუღის იმელები დაღუ-  
 ბული იყო, და მხოლოდ იმდენ-  
 ნად სულდგმულობდა, რამდენა-  
 დაც კედლის გალავანი მას შე-  
 იბნის გარშემო ტრიალეზდა მისი

περί τήν γυναικα φίλτρον, οἷον  
 ἐξ ἑκείνης ἀποτέκιο: παιδίον<sup>1</sup>, τὸ  
 περί τοῖν ἀδελφοῖν<sup>2</sup>, ὃν θανα-  
 τίων ὑποκειμένων θανατωσώτερος  
 ἑκείνος γνωρίζεται. Καί: ἕνα μὲ,  
 παρὰ τὸ γένος ἐπινοοῦν τήν  
 βασιλίδα, εὐδαμονία καὶ ἀρχαιό-  
 τητι: πᾶσαν ὑπεραίρον ἀρχήν,  
 ἀρκαί: αὐτῇ ἀντι: πάντων τὸ ψῆθος  
 οἷον οὐχ ἑτέρας: εἴξας, καὶ τὸ  
 εἶδος οἷον οὐχ ἑτέρας ἡψαιος: εἰ  
 δὲ γυναιξὶ κόσμον ἢ σιγή φέρει<sup>3</sup>,  
 κατὰ τὸν τραγικόν, κόσμου παν-  
 τὸς αὐτῇ τιμωτέρα καθέστηκεν,  
 ἔτι: μηδενί: τῷ ἄλλῳ ἢ τῷ ἀνδρὶ:  
 ἢ γλῶτταν ἐγνώρισεν, αὐτομά-  
 τως καλλίων συγγάνουσα ἢ ἐπὶ-  
 τε ἀναγκαίως ἔχει κοσμήσασθαι:  
 (ed. Renand II, 177).

გამომჩნა. მაგალითად: მისი  
 (ე. ი. მიხეილ დუქას) ტრფობა  
 ცოლისადმი<sup>2</sup>. რომელი ტრფო-  
 ბისაგანაც მას შეეძინა ბავშვი<sup>1</sup>;  
 შემდეგ მისი ორი ძმისადმი<sup>3</sup>,  
 რომლებიც განსაცვიფრებელი ბი-  
 როვნებები იყვნენ, მაგრამ იგი  
 უფრო განსაცვიფრებელი ჩანდა.  
 და რომ დედოფლის ქება არ  
 გამოვიდეს მისი გვარიშვილო-  
 ბის გამო, რომელიც სიმდიდრი-  
 თა და შთამომავლობით ყველა  
 სხვა სამეფო გვარს აღემატება,  
 ეყოფა მას (ე. ი. მის ქებას) ყვე-  
 ლაფერში ხასიათი, რომ აღარა-  
 ფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე,  
 მისი სახის სიმშვენიერე; თუ კი  
 ქალებისთვის დუმილი სამკაუ-  
 ლია, თანახმად ტრაგიკოსისა<sup>4</sup>,

იგი ყოველგვარ სამკაულზე უფრო უბატოვესი იყო, რადგან არავის  
 სხვას, გარდა თავისი ქმრისა, ენას არ გააცნობდა, და თავისთავადაც  
 უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როდესაც საჭიროება შოიბოვდა  
 მოკმაბულიყო.

**მარიამის ვაჟი კონსტანტინე**

Κωνσταντίνος ὁ τοῦ Δούκα τοῦ  
 Μιχαήλ τοῦ βασιλέως υἱός

მიქელ მიხეილ დუქას ვაჟი  
 კონსტანტინე

VII, 12. Τὸν τοῦ Μιχαήλ  
 τοῦ Δούκα βασιλέως υἱὸν Κων-  
 σταντίνον βρεφῆλλιον ἐγὼ καὶ  
 ἐν ἀγκάλαις γαλακτοτροφούμενον  
 ἐσθράκειν καὶ ταυνίξ βασιλικῇ  
 ἀναδεθεμένον τήν κεφαλὴν γρά-

შეფის მიხეილ დუქას ვაჟი  
 კონსტანტინე მე მინახავს, ჯერ  
 კიდევ ჩვილი ბავშვი, მისი ძიძის  
 შკერდზე, თავზე შეფური ბავთი  
 ჰქონდა შემოკრული; მე არა ეწერ  
 მის შესახებ არც რამე სიტყვებს,

<sup>1</sup> იგულისხმება ვაჟი კონსტანტინე დუკა, რომელსაც მიქელ პსელოსი ცალკე  
 პარაგრაფს უძღვნის (იხ. ქვემოთ, აქვე).  
<sup>2</sup> იგულისხმებიან მიხეილ VII-ის ძმები ანდრონიკე და კონსტანტინე.  
<sup>3</sup> ე. ი. მარიამისადმი.  
<sup>4</sup> იგულისხმება სოფოკლეს „აიანტი“ ტ. 139: γυναιξὶ κόσμον ἢ  
 σιγή φέρει „ქალი! ქალებისთვის დუმილი სამკაულია“.  
 ანთოლოგია, ო. VI



φω δὲ αὐτῷ οὐτε λόγους τινάς, οὐτε πράξεις, οὐτε γὰρ ἔπραξέ τι οὐτε οὐπω ἐφίεργξατο· ἀλλὰ καὶ τὸ εἶδος καὶ τὸ ἐμφαινόμενον ἦθος, ὡς οἶόν τε καὶ ἀπὸ τούτων [ἐμφαίνεῖν] τὴν ἐγκαθημένην ψυχὴν, οὐπω γὰρ οἶδ᾽ αὐτοῦτον κάλλος ἐπίγεον· τὸ μὲν γὰρ πρόσωπον αὐτῷ εἰς ἀκριβῆ κύκλον ἀποτετόργευσται, οἷ δὲ ὀφθαλμοὶ γλαυκοὶ καὶ εὐμεγέθεις καὶ γαλήνης μεστοί, καὶ τε ὀφρύες εὐθείαι· γραμμαὶ ἀτέχνως, περὶ μὲν τὴν βᾶσιν τῆς ῥινός βραχὺ τι διασπῶσται, περὶ δὲ τοὺς κροτάφους ἡρέμα κάμπτουςται· ἡ δὲ ῥίς ἐλευθέρα μὲν τοὺς μυκτῆρας, ἀλλ' ἀρχυμένη μὲν βραχὺ τι ἐγείρεται, προῖσῶσα δὲ ἐξ ἄκρον ἐμφαίνει· τι τοῦ γρυσανῶ τῆς τε κεφαλῆς ἡλιώσα φριξέξθανθε!· καὶ τὴν χεῖλη<sup>1</sup> λεπτῶ τε τούτῳ, καὶ [τὸ ζῆμα] βλέπον ἡδὺ καὶ ἀγγέλων ἡδύτερον, καὶ τὴν ψυχὴν ἀπὸ τούτου ἐμφαίνον οὐτε καταβέβλημένην οὐτε ἐπιβέβλημένην, ἀλλὰ πράξιαν μὲν, θεῖον δὲ διαγῆγερμένην κινήματι.

აფროიოქებულს, არამედ მიზიდველს, ღვთაებრივი ძრამით გამბნევებულს.

VII, 13. Τὸν μὲν οὖν Ταλαμώνιον Δίαντα τιμηνοῦμενον ἔπι τὸν Ἡρακλέα φασὶν ἰδεῖν καὶ τῆ λεοντῆ περιβασεῖν, ἐγὼ δὲ ἡρκαλίσαιην πολλάκις καὶ ὄνασθαι μου τῶν λόγων ἡδύσαιην· ἐναγκασομαι δὲ καὶ αὐθις, καὶ

<sup>1</sup> ვ. ო. ხეილი.

არც საქმეებს, რამეთუ მას არაფერი გაუკეთებია, არც ხმა ამოუღია: არამედ რაც შეეხება ვარცხნობას და გამომტლავებულ ხასიათს, რამდენადაც ამით მიხედვით არის შესაძლებელი მასში ჩაქსოვილი სულიერი თვისებების შემჩნევა, უნდა ვთქვა, რომ არ მინახავს ანგვარი მიწიერი სილამაზე: მისი სახე სრულყოფილ წრედ იყო ჩამონაკეთილი; მისი მსხვილი ცისფერი თვალები სიმშვიდით იყო სავსე, მისი წარბები ჰიროდაპირ სწორ ხაზს ქმნიდნენ, ცხვირის ძირთან პეტარა მანძილით იყვნენ დაშორებული, ხოლო საფეთქლებთან ოდნავ მოღუნული; ცხვირი თავისუფლად ეშვებოდა ნესტოებთან, მაგრამ, დასაწყისში ოდნავ ამოხნეკილი, ბოლოს რომ უახლოვდებოდა არწივისებურად კაუქლებოდა; თავის თმა მზისებურად ბრწყინავდა; ტუჩები თხელი ჰქონდა მას, თვალი იცქირებოდა სასიამოვნოდ, ანგელოზებზე უფრო ნახად, და სულსაც, ამის გამო, ამტლავებდა არც დაკემულს არც ამბობენ, რომ აიამს ტელამონის ცემ, ჯერ კიდევ ძუძუთა ბავშვმა დაინახა პერაკლე და მის ლომის ტყავში გაეხვია; ხოლო მე ხშირად მკერია ხელში უფლისწული და მე შევვედრებოვარ ღმერთს, რათა მას (უფლის-

τοῦτο πλειστάκις, καὶ θναίμην  
αὐτοῦ ὅποτε εἰς ἡλικίαν ἔλθοι· καὶ τὸ  
θνήσκειν λάβοι παρὰ τοῦ πατρός.

Ὁ μὲν οὖν Νέστωρ ὁ Πύλιος  
μετὰ τὴν τῆς Τροίας ἀλώσεως  
ὑποτίθεται: Νεοπτολέμῳ τῷ Ἀχιλ-  
λέως υἱῷ ἃ θεὶ παράττοντα ἄνδρα  
γενέσθαι θεξόν, ἐγὼ δὲ τοσοῦτον  
αὐτῷ ὑποθαιμην (ἴσως γὰρ ἐφ'  
ἡβης γενόμενος ὁ βασιλεὺς αὐτοῦ  
ἀναγνίσσεται μου τὸ συγγράμμα),  
πρὸς παράδειγμα τὸν πατέρα  
ὄρα, ἀκαίθην ἑαυτὸν ἵσταρεῖν  
καὶ ἔμοιχθῆις, παιδῶν, τῷ φυ-  
σαντι, καὶ γένοιτο ἂν ἐν κακῷ·  
εἰ μὲν οὖν παραιτέρω τῆς καθῆσ-  
τώσης ἡλικίας προβῆσομαι, ἔτε-  
ρόν σοι λόγον συγγράψομαι, ὁπη-  
νίκα καὶ αὐτὸς ἀψαρμὰς τὸν  
γράφειν παράσχου; εἶσι· εἰ δ'  
οὖν, ἀποχρῶν σοι τοῦτο τὸ γράμ-  
μα, ἑτέροις ὑπάρθεαι τὸν ἐπὶ σοὶ  
συγγραμμάτων ἑστόμενον (ed. Re-  
naud II, 178—179).

წულს) ჩემი სიტყვებისათვის ეს-  
მინა; მე კვლავაც ავიყვან მას ხელ-  
ში, და ხშირადაც, და გამოვიყენებ  
მიიღებს მამისაგან ძალაუფლებას.

ბილოსელი ნესტორი ტროა-  
დის აღების შემდეგ ურჩევდა  
ნეოპტოლემოსს, ატილევსის ძეს,  
თუ რა უნდა ვააქეთოს ვაფეციჲსა,  
რომ გახდეს ყოჩალი; ხოლო მე  
მას მხოლოდ იმას ვურჩევდი  
(იქნებ მან, მასაგწინ რომ შევა და  
მეფე გახდება, წაიკითხოს ჩემი  
წიგნი), ნიმუნად აეღო თავისი  
მამა და იქიდან შეეცნო თავისი  
თავი; და შენ, უნაწვილო, მშო-  
ბელს თუ დევსგავსები, კუდი  
კაცი არ დარჩები; თუ მე კიდევ  
პოვესწრები შემდეგი მასაკის  
დადგომას, სხვა ამბავს შევთხზავ  
შენთვის, რამდენადაც შენც თვი-  
ათონ მომცემ შესაძლებლობას;  
თუ არა და, ამ წერილმაც იქმა-  
როს და გახდეს საფუცველი სხვე-  
ბისათვის, რომლებიც შენზე და-  
სწერენ თხზულებებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, რომ მიქელ პსელოსის „ტროხოვრადია“, რომელიც ლეონ დიაცონის „ისტორიის“ ეშვალა გაგრძელებას წარმოადგენს, შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, რომელიც 1059 წლამდე მოტანილი, ავტორის სიცოცხლეშივე იყო ვამოქვეყნებული შეიქ ტომავ. როგორც ჩანს, 1062—1063 წელს, და შეიცავდა ტომების მიხედვით:

- |                                  |   |
|----------------------------------|---|
| I. ბასილი II (976—1025)          | V. მიხეილ V (1041—1042) და თეოდორა (1042) |
| II. კონსტანტინე VIII (1025—1028) | VI. ზოე და თეოდორა (1042).                |
| III. რომანოს III (1028—1034)     | კონსტანტინე IX (1042—1055)                |
| IV. მიხეილ IV (1034—1041)        | VII. მიხეილ VI (1056—1057)                |
|                                  | ისააკ კომნენოსი (1057—1059)               |

„ტროხოვრადიის“ გაგრძელებას (1059—1078) მიქელ პსელოსი შეუდგა 1075 წელს მიხეილ VII პარაპინაკის დროს, როგორც ჩანს, თვით მიხეილის თხოვნით და ამით აიხსნება, შედარებით პირველ ნაწილთან, ავტორის არაობიექტურობა, პირმოთინეობა კეისრისადმი. ამ მეორე ნაწილში აღწერილია 1059—1077 წ.წ. ამბობი ობ. I Svkutris, Zum Geschichtswerk des Psellos: BZ 30 61—67.



## მიხეილ ატალიატე

მიხეილ ატალიატე XI საუკუნის ისტორიკოსია. იგი წარმონაობით მცირეაზიელია (ქალ. Attaleia, პამფილიაში)<sup>1</sup>. XI საუკუნის ორმოციან წლებში კონსტანტინეპოლში დასახლდა და ვექილობას მიჰყო ხელი, დიდძალი ქონებაც შეიძინა. მალე მიიქცია მთავრობის ყურადღება და მიწვეულ იქმნა სხვადასხვა თანამდებობაზე: კონსტანტინე X დუკას (1059—1067) დროს სახელმწიფო საბჭოში მუშაობს და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელია; რომანოზ IV დიოგენეს (1067—1071) ლაშქრობებში მონაწილეობას იღებდა როგორც სამხედრო სასამართლოს ხელმძღვანელი და პატრიკიოსის პატივიც მიიღო; მიხეილ VII დუკა პარაპინაკის (1071—1078) და ნიკიფორე III ბოტანიატეს (1078—1081) დროს კიდევ უფრო მეტად იქმნა აღზევებული: მიიღო პატივი მაგისტროსისა და პროედროსისა.

მიხეილ ატალიატეს გარდაცვალების დრო უცნობია<sup>2</sup>. მისი მოღვაწეობის ბოლო ხანები 1080 წლის ამბებს ემთხვევა. მისი ნაშრომებიდან ცნობილია: 1) მიხეილ VII პარაპინაკის დავალებით 1072 წელს შედგენილი იურიდიული სახელმძღვანელო *Πράγμᾶται νομικῶν*; 2) მის მიერ 1077 წელს დაარსებული მონასტრისა და ქსენონისათვის შედგენილი წესდება: *Διάταξις ἐπὶ τῷ παρ' αὐτῶν πασχαύ: ἡτοιχισθείσῃ καὶ τῷ μαγιστρῷ*. 3) მიხეილ ატალიატეს მთავარი ნაწარმოებია მისი „ისტორია“, რომელშიაც აღწერილია 1034—1079 წლების ამბები და რომელიც მან უძღვნა ნიკიფორე ბოტანიატეს.

<sup>1</sup> ჯერ კიდევ სათა ვარაუდობდა (*Μεσαιωνικὴ Βιβλ.* 1. გვ. 2'), რომ მიხეილ ატალიატე კონსტანტინეპოლში უნდა იყოს დაბადებული, ხოლო 1965 წელს ბერძენმა მეცლევარმა ვ. თ. ცოლაკიშ კვლავ დასვა საკითხი, რომ *Μεσαιωνικὴ*-ის ცნობის მიხედვით იგი, მართლაც, კონსტანტინეპოლშია დაბადებული 1030—1035 წ. წ. (BZ 58, 5—6).

<sup>2</sup> თითქოს სავარაუდებელია, რომ მას უნდა ეცხოვრა 1085 წლის მარტამდე (იხ. Tsolakis, გვ. 10).

მხეილ ატალიატეს „ისტორია“ გამოიყენეს სკილიცეს გამგრძელებელმა, ნიკიფორე ვრიენიოსმა, ანნა კომნენემ და იოანე ზონარაჰ<sup>1</sup>.

ქვემოთ მოყვანილი ექსცერპტები ამოღებულია იმ. ბეკერის გამოკვმიდან: *Michaëlis Attaliatae Historia, Opus a Wladimiro Bruneto de Presle, instituti gallici socio, inventum, descriptum, correctum. Recognovit Immanuel Bekkerus. Bonnae 1853.*

### იბერიელთა წარმოშობა<sup>2</sup>

Οἱ γὰρ Ἰβηρες ἐκ τῆς Κελτικῆς ἀνεφάνησαν γῆς. Ἢ γὰρ Ἰβηρία κυρίως καὶ αὐτὴ ἡ Κελτικῆς ἰβηρίας πρὸς τὰ θυσιακὰ μέρη τῆς Ἰωάνης διακρίνεται, πρὸς τὸν ἐσπέριον ὠκεανόν, ἥτις τὸν Ἰσπανία κατονομαίχεται: (CB 220—221).

Οἱ οὖν τὴν Ἰβηρικὴν οἰκοῦντες, ἄνδρες ἀνδρείοτατοι τε ὄντες καὶ ἰσχυρῶς παλαμάμενοι, διὰ παντὸς τοῖς Ῥωμαίοις ἀντιπολέμου, καὶ καρτερίας ἔργα καὶ ἀρετῆς κατ' ἀντὶν ἐπεδείκνυντο καὶ θυσχερῶς αὐτῶν οἱ Ῥωμαῖοι: μέγιστον καὶ ἀνυπόιστον θάρσος καὶ ἀνεκδιηγῆτος ἄρμας ἐκურίσσαν, ὡς διὰ χροῖον σπονδὰς ἐπιτελοῦσθαι: τούτοις καὶ ἀνακλιῆσθαι σὺνθεσαν ἐξ ἐπιγαμψείας καὶ μετ-οικιῶν πρὸς ἀλλήλους: οὖν καὶ

იბერიელები კელტური ქვეყნიდან გამოჩნდნენ. რამეთუ იბერია, ნამდვილად რომ ვთქვათ, და თვით კელტ-იბერია მდებარეობენ რომის (ე. ი. რომის იმპერიის) დასავლეთ ნაწილებში, დასავლური ოკეანის გასწვრივ; ამ მხარეს ახლა ისპანია ეწოდება.

იბერიის მცხოვრებლები, რომლებიც უნამაცესი ვაჟაკები არიან და მეტად მკლავ-მაგაონი, დიდი ხნის განმავლობაში რომაელთა წინააღმდეგ ომობდნენ და მათთან ბრძოლების დროს გამოაჩინეს დიდი გამძლეობა და ვაჟაკობა: და ძლიერ დაიმორჩილეს ისინი რომაელებმა უდიდესი და უძლეველი ვაშბეღათობით და ენითუთქმელი შემართებით, ისე რომ დროთა ვითარებაში ხელშეკრულებაც დაედგეს

<sup>1</sup> იხ. K. Krumbacher GBL<sup>1</sup> (1897), 269—271 (ბიუჯლდ; B. Hirschmann 37—39); G. Moravcsik, Byzantinoturcica I<sup>2</sup> (1958), 427—429; E. Th. Tsolakis, Aus dem Leben des Michael Attaliates (seine Heimatstadt, sein Geburts- und Todesjahr): BZ 58 (1965), 3—10.

<sup>2</sup> ეს ნაწილები მოყვანილი აქვს K. Dieterich-ს: Byzantinische Quellen zur Länder- und Völkerkunde, Teil I. Leipzig 1912, გვ. 49, შენიშვნა.

ბ μάγας ἐν βασίλεισσι: καὶ πανασι-  
 θμῶς Κωνσταντίνος μσίραν οὐκ  
 ἐλαχίστην ἐκείθεν, ἐκ τῶν ἐσπε-  
 ρίων Ἰβήρων. ἀποταμίμενος εἰς  
 τὴν ἐφάν ματρίκισεν ἐν τοῖς τῆς  
 Ἀσσυρίας μέρεσι, καὶ ἔκτοτε τὴν  
 κληθεῖν τῆς Ἰβηρίας ἡ δε-  
 ξιαμένη τούτους γῶρα παραέλαξε.  
 Πρῶτερον γάρ Ἀσσυρία: καὶ ταύ-  
 την ἴκουν τὴν γῶραν. ἔπειτα  
 Μηδοί, μετὰ δὲ χρόνους Ἰκανούς  
 οἱ Ἀρμένιοι: καὶ οὐκ ἂν εὐροί-  
 ται ἐπὶ τῶν ἄνω χρόνων Ἰβηρας  
 μνημονευομένης: ἐνταῦθα ἐν πα-  
 λαιαῖς ἱστορίαις, εἰ μὴ εἰ ὀπίπερ  
 Κωνσταντίνος τούτους ἀντὶθ:  
 κατήκισεν (CB 222, § --18).

დელ ხანებში იბერიელები იხსენიებოდნენ ძველ ისტორიებში, მხოლოდ: იმ დროიდან იხსენიებიან, რაც ისინი აქ დაასახლა კონსტანტინემ<sup>1</sup>.

<sup>1</sup> არ არის სწორი, თითქოს იბერია და იბერიელები საოღოვ კონსტანტინეს დროიდან იხსენიებოდნენ ძველ საისტორიო წარწებში. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საყოველთაოდ ცნობილია სტრაბონის მიერ (I სუტ.) მოცემული აღწერილობა იბერიისა.

ბიზილ ატალიატეს „ისტორიას“ მაღალი შეფასება აქვს მიცემული თეოფორც საისტორიო წყაროს. უნგრელი მეცნიერი გ. მორავაჯიცი, ხვენი დროის ბიზანტიელ ჰისტორიკს, წერს: „მისი წრონა უფელ ხაზიჯუხ ამკლანებს აეტროის სიყურულს პატიოსნებისა და ჰენშარიტებისადმი (die Ehrlichkeits- und Wahrheitsliebe), რაც მას სანდო წყაროდ ხდის“ (I. c. გვ. 428). ეს წართალი. მაგრამ ეს უნდა გაგავარცხლოთ აეტორია თანამედროედ ანტიკურ, რომელთაც ის მართლაც. დიდის რეღუნებით იკვლევს და, როგორც ამ ანბავთა თანადამსჯერი და თანაბალიელი. მიუხედავად გადმოცემის. რაც შეეება ძველ საისტორიო უაქტება, ამათი გადაცემის დროს ის, როგორც ხანა, ეტროყრული ანტიკით და არა სანდო წყაროებით სარგებლობს.

ეტრძოდ, ხენთ მოყვანილი ცნობა იბერიელთა შესახებ ჩვენთვის მხოლოდ იმ მზოთ შეიძლება იყოს საყურადღებო, რომ გვეცნობებს XI საუკუნეში ბიზანტიის საზოგადოებაში გავრცელებულ ვერსიას ისპანიის იბერებისა და საქართველოს იბერების წათესაობის შესახებ. იმ მაჯელობას, თითქოს კონსტანტინე დიდმა (ახ. წ. IV საუკუნეში) ისპანიიდან საქართველოში გადმოსახლა იბერიელები, ალკითარი ღირებულება არა აქვს.

მათთან და ერთიმეორესაც შე-  
 ერივნენ დაქორწინებით და სა-  
 ურთიეროთ აღვიღმონაცვლეო-  
 ბით; ამიტომ მეფეთა შორის  
 დიდმა და ყოვლად სათნო კონ-  
 სტანტინემ არა მცირედი ნაწილი  
 იქიდან, დასავლეთის იბერიელ-  
 თაგან, გამოჰყო და გადაასახლა  
 აღმოსავლეთით, ასირიის მხარე-  
 ებში, და აქედან არის რომ იბე-  
 რიის სახელწოდება მიიღო  
 იმ ქვეყანამ, რომელმაც ისინი  
 შეიხიზნა. წინათ ამ ქვეყანა-  
 ში მოსახლეობდნენ ასირიელები,  
 შემდეგ მიდიელები, დიდი ხნის  
 შემდეგ არმენიელები. და ვერა-  
 ვინ იბოვის (ცნობებს) რომადრინ-

იბერიელთა მონაწილეობა ბიზანტიის ჯარში.  
ლიპარიტ ერისთავი

κατά δὲ τοὺς αὐτοὺς χρόνους ὄντων: Νεφθαλίται: Περσῶν ἑμποροὶ, οὓς τῆς Περσίας ἡ Γάγγης ἀποταίχιζε: ποταμὸς. τέσσαρσι: πρὸς τῷ ἡμίσει: μιλίαι: τὸ εὐρος ἀποταίνόμενος, ἐν τοῖς στενωπέροις αὐτὸν διατρέψαι: διαπεραιωθέντας τὸν ποταμόν. ἡγεμόνος αὐτοῖς ἀνεψῆχοντος: τὴν ὁδὸν δὲ προειληγμένους: καὶ ταπεινῇ τύχῃ συμπεπορισμένους: καὶ θουλικῇ, μετὰ τελευτῆν τοῦ κρατούντος δεσπότης: τῆς Περσικῆς γέγονεν ἔγκρατης, καὶ ἀκαταμάχητον σθένος ὄντων τοῖς ἐκείσε πᾶσιν ἑναποδείξαντας, πρὸς ἀνίσχοντα ἡλίον τοῖς Ἰβηρικοῖς ὄρεισι: προσήγγισαν, καὶ καταδραμόντες πλείστην ἔστην ἡδύνατον, ἀρχηγὸν τῶν Ῥωμαίων Ἰωργεῖα εἶλον, τὴν ἀρχὴν περιεζωσμένον: τῆς Συρίας, Λαχουδην ἐπικαλόμενον. Καὶ συνεχεῖς ἐκδρομαῖς ἐπατεῖους τὸ εἶδος ποισύμενον οὐκ ἐλίγη τὴν Ῥωμαϊκὴν κατέβλαπτε γῆν.

დენდა ყოველწლიურად და ამით ბევლთა ქვეყანას.

Ἀντιπαραταττόμενοι: δὲ τοῦ-  
τοις οἱ τῶν ἄκρων ἐπιστατούντες  
Ῥωμαῖοι: τὴν ἕττω πως ἀπεφέ-  
ροντο: τόξων ἐν εἰδότηων τῶν  
ἐναντίων: καὶ κατὰ τραπεζὸν βελ-  
λόντων οὐχ ἡκιστα, καὶ τοῖς

<sup>1</sup> პატრიკიოსის სტეფანე ლიხუდე, იბ. ფ. Успенский, История Византійской империи, т. III (1948), стр. 85.

იმავე ხანებში კუნნ-ნეფთალი-  
ტებმა, სპარსთა მეზობლებმა, რომელთაც სპარსეთისაგან მდინარე ვანგი გამოჰყოფს, ის მდინარე, რომელიც ოთხნახევარი მილის სიგანეზეა გადაჭიმული, გადალახეს ეს მდინარე შის ვიწრო გადასასვლელებთან. გზა გაუხსნა მათ მძლოლმა, რომელიც ამის წინ იქმნა შეპყრობილი და რომელსაც საწყალობელი და მონური ხვედრი ერგო, ხოლო სპარსეთის მფლობელი ბატონის გარდაცვალების შემდეგ ძლიერი შემოიქმნა. კუნნ-ნეფთალიტებმა ყველა იქ მყოფთ უჩვენეს უძლეველი ღონე, და აღმოსავლეთით იბერიის საზღვრებს მიუახლოვდნენ, შეუტოეს რამდენადაც შეეძლოთ ძლიერად და, ალყა შემოარტყეს რა სარიის სამფლობელოს, რომელთა სარდალი ცოცხალი შეიპყრეს, რომელსაც მეტსახელად ერქვა ლიხუდე<sup>1</sup>. ხალხი განუწყვეტელ თავდასხმებს ახარა მცირედი ვნება შიაცუნა რომათ

ამათ წინააღმდეგ დაიბრძმნენ ციხე-სიმაგრეებში მდგარი რომაელები და შემთხვევით დამარცხდნენ, რადგან მოწინააღმდეგენი მშვილდის კარგი მცოდნენი იყვნენ და მიზანში ისროდნენ

ფ. Успенский, История Византійской империи, т. III (1948), стр. 85.

ἀντιτεταγμένους ἐκδεχματούγωνταις ἐκρηβόλοις πλιγγαίς.

Διὸ καὶ ἀνευδύτως κατέτρεχον πᾶσαν τὴν Ἰβηρικὴν, πολίχυνα καὶ κώμας ἀρπάζοντες καὶ μεγίστας ἀνατρέποντες πολιτείας, καὶ χώρας ἀναστάτους ποιοῦμενοι. Συνηχέθη δὲ ταῦτα διὰ τὴν τοῦ βασιλέως ὑστερον πλεονεξίαν.

Στρατεύματος γὰρ ἀξιομάχου τὴν Ἰβηρικὴν περιέποντος, καὶ ὀφώνιον ἔχοντός τινος τῶν παρακειμένων δημοσίων χωρῶν, ἀφείλετο ταύτας ὁ βασιλεύς, καὶ παρελὼν τσαυτὴν ἰσχὺν οὐ μόνον τοὺς ἰδίους ἀπέβαλε συμμάχους, ἀλλὰ καὶ πολεμίους αὐτοὺς ἰσχυρῶς ἐργασάμενος προσθήκην διὰ τούτων ἀκαταμάχητον προεξένησε τοῖς ἐναντίοις.

Ἐν μὲν γὰρ πλήθους κατὰ βασιλικὴν γνώμην στρατιωτικῶς συναθροισθέντος ἐπὶ τῶν κατ' Ἰβηρίαν ἑρίων. συνταγματάρχην ἐπίσημον ἔχοντος δὲ Λιπαρίτης ἐπωνομαζέτο, συμπόλη μεταξὺ τούτων καὶ τῶν Ὀννων καρτερὰ γίνεται, καὶ μέχρι πολλοῦ τῆς μάχης καθισταμένης ἰσοπαλοῦς τέλος οἱ ἀντιτεταγμένοι τὸ κράτος ἠνέγκαντο, καὶ τοὺς Ῥωμαίους νικήσαντες ζῶντα τῶν Λιπαρίτην κατέσχον καὶ πρὸς τὸν ἐθνάρχην αὐτῶν ὡς θήραμά τι τῶν μεγίστων ἀπήγαγον.

არა ცუდად, და მოწინააღმდეგეებს თავხარს სცემდნენ შორს გასროლილი ისრებით.

ამიტომ დიდი სიმძაფრით შორბიეს მთელი იბერია, გაძარცვეს ქალაქები და სოფლები, მოსპეს უდიდესი მხარეები და ქვეყანა უდაბური გახადეს. ეს ყველაფერი მოხდა მეფის, შემდეგ ხანებში, სიხარბის გამო.

მემრძოლმა ჯარმა რომ იბერია ვარეშოიკვა და ზოგიერთი ასლომდებარე სახალხო ადგილები სარჩენად გაიხადა, მეფემ ეს ადგილები ჩამოართვა და ასეთი დიდი ძალის გამოყენებით არა მარტო თავისი მოკავშირეები დაჰკარგა, არამედ თვით მტრებიც ძლიერი გახადა და მათი შეწვეობით მოწინააღმდეგეებს უკილობელი დახმარება მოუპოვა.

ერთ დღეს, მეფის გადაწყვეტილებით, შეკრებილ იქმნა იბერიის საზღვრებთან მეომარი ხალხი, რომელსაც გამოჩენილი მხედართმთავარი ჰყავდა, მას ლიპარიტი ეწოდებოდა. პუნებსა და ამათ შორის ძლიერი შეტაკება მოხდა, და დიდი ხნის შემდეგ, როდესაც თანასწორობა მოხდა ატყდა, ბოლოს მოწინააღმდეგეებმა მოიპოვეს ვაშარჯეება, და რომელები რომ დაძარცვეს, ლიპარიტი ცოცხალი იგდეს ხელთ და თავიანთ ეთნარხს მიჰგვარეს როგორც უდიდესი ნაწილირევი.

Καλείται δ' οὗτος σουλτάνος  
 τῆ Παρσικῆ διαλέκτου. Ἄλλ' ὅγε  
 τοῦτον ἴδων καὶ τὸ γένος τούτου  
 μεμυκθῆναι; (παρατίθεσθε γὰρ  
 αὐτὸν ἢ φήμη τῆς τοῦ ἀνδρὸς  
 γενναϊότητος), ἦρπτο τοῦτον ὄπισθε  
 δὴ χρηστὸν αὐτῷ. Ὁ δὲ βρασι-  
 κῶς ἔφη.

ბოლო მას უბასუხა: „მეფურადო“.

Καὶ αὐτίκα τῆς θυστήσου  
 τάχης τούτου ὁ σουλτάνος ἔλευ-  
 θεροί, καὶ πάντων ὧν κατὰ τὸν  
 πόλεμον ἀποβῆλῆκε: παλλαπλα-  
 σίονα τῆν ἀντίκτισεν θένος, τῆν  
 πρὸς Ῥωμῆϊου; οὕτω συνεχῶραι:  
 ἔξοδον, θιαυμάται; τῆν τὸν ἀνδρὸς  
 ἐμψυχίαν καὶ τὸ τὸν φρονημάτος  
 ἐστταθῆς, καὶ μελήται; μὴ θέν-τεροι;

ამ ეთნარბს სულტანი: ეწო-  
 დება სპარსულ დიალექტზე. მაგ-  
 რამ სულტანმა რომ დანახა ის  
 (ე. ი. ლიპარიტი) და რომ შეიტყო  
 მისი გვარისეილობა (ხმენი ამ  
 ვაჟეციის წარჩინებულობაზე მას  
 წინასწარვე ატონოდა), შეეცითხა  
 მას, თუ როგორ უნდა მოპყრო-

და სულტანმა მანინეც ვანი-

თეისუფლა იგი? საცოდები ბუდი-  
 სავან და ყველაფერი ის, რაც  
 მან ომში დაკარგა. მრავალეცოდ  
 აღუდგინა და აასცა; ასე აპატია  
 მან რომაელების მხარეზე ვადა-  
 სელა, რადვან ავთირებდა ამ  
 ვაჟეციის დიდსულოვნება და სუ-  
 ლისცეთეების მღვრადობა და

<sup>1</sup> ეს არის სულტანი ტოღრუღბეგ ი.

<sup>2</sup> ლიპარიტის როგორც ბიზანტიური ჯარის საბუღოს მონაწილეობაზე თუტკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაწერილებით ვადმოგვეცმა გ. ი. ბ. გ. 49 დ. რ. გ. ნი. გეორგიკა, ტ. V. გვ. 68—73). მასვე აქვს მოთხრობილი, რომ, რადე-  
 საც ლიპარიტი ტყვედ ჩაგვარდა თურქებს, ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე IX მონომახისი ყოველ ხომას ამართბდა, რომ ლიპარიტი ესნა ტყვეობიდან: აროდ-  
 საც მეფემ [კონსტანტინემ] ვაიგო ლიპარიტის დატყვევების შესაებ. — მოგვითხ-  
 რობს გიორგი კედრენე — სულ იმის ცდაში იყო, რომ გამოეყვდა; ამიტომ  
 მან ძვირფასი საბურები და გამოსასყიდი ვაჟგზხევა სულტანს გორგის (დრო-  
 სისად სახელდებულის) ხელით... და სთხოვდა ლიპარიტის განთავისუფლებას და  
 ხაის დადებას (გეორგიკა V, გვ. 73).

ლიპარიტის განთავისუფლება ტყვეობიდან მოხდა 1051 წელს. ეს დატურ-  
 დება სინას მთის № 38 ეტრატის ხელნაწილის ერთი მანაწერთ, სადაც ევთისუ-  
 ლობთ:

ამეცა მეფულს, მეაწეაღს მწრლი (მწერალი) ამის წიგხასი მდელი კე და  
 ი. ე. ეს თე(ი) თურთმეტი წიგხი მას მოუგია ხელა მთასა საჭესებულად სულისა  
 თუხისა. მეცა სწვალობელს კე თემელი, სახელთი თუნ ხეცესა, უწროშელი,  
 რომელი ამისი დაწერისა შემდგომად სამოცდაათი წელსა შემოვანე, ეწნა სთ...  
 მას ეამსა დაწერე ენე, თუნს ლიპარიტ თორქთა ვაჟსუ; ს. ევედრები  
 არადირსი, ლოცვა უავთ (ი. ი. გ. ვაგახიშვილი). ამისათვის კრთულთ ხელ-  
 ნაწერთა აღწერილობა. თბ. 1947. გვ. 105; ი. გ. ვაგახიშვილი, ქ. ვთის ისტო-  
 რია II [1965], გვ. 147).

ამ მანაწერთად ცხადია, რომ ლიპარიტი თურქთა ტყვეობიდან განთავისუფ-  
 ლებულა 1051 წელს (კრონიკონსა სთა [281+780] : 1051 წელს).





### აბაზგების აჯანყება მეფის წინააღმდეგ

Ἐπί δὲ τῆς ἐώας διακουωμένων τῶν Ἀβασγῶν καὶ ἀντιβοξούντων τῆ βασιλεῖ καὶ προφανῶς ἀνταϊρόντων (ἐπιάρρουν γὰρ οὐ τῆ πλήθει μόνον, ἀλλὰ καὶ τοῖς τῶν ὀπλων ἰσχυροσάτοις προβλήμασιν, ὡς μὴ ἑαυτοὺς μόνον ἀλλὰ καὶ τοὺς ἴππους πεθωρακισμένους καὶ ἀτρώτους πανταχῶθεν περικαλύπτοντες), πάλιν αὐτὸς ὁ Βοτανειάτης πρωταγωνιστῆς καὶ πρόμαχος ἐγινώριζετο καὶ τοῦ κρατούντος ὑπέρμαχος· τοῦ γὰρ βασιλέως κατ' ἐκεῖνο τὰς Ῥωμαϊκὰς δυνάμεις ἐλάσαντος, καταπληκτικοὶ μὲν ἄγωνες καὶ μάχαι περιφανεῖς καὶ πανημέριοι συνερράγησαν, οὐδεμιᾶς δὲ τούτων ὁ Βοτανειάτης ἐναπολέλειπτο, ἀλλ' ἠγωνίζετο μὲν ὡσπερ τις ἑκατοντάχειρ καὶ δευτερος Ἰπρακλῆς ἢ ὑπὲρ τὸν Ἰπρακλεᾶ ἐκείνον τοῖς ἀθλοῖς ἐπιγανύμενος<sup>1</sup> (οὐ γὰρ τρισκαιδέκατον ἀθλον ἀλλ' ἑκατονταπλάσιον ἠγυεν), ἐνθα δὲ κείμενον ἑώρατο καὶ καταπίπτον κέρας Ῥωμαϊκόν, ἐκείσε καταλαμπάνων αὐτὸς ἀνεκτάτο τὸ ἀνιῶμενον, καὶ θάρσους πληρῶν εὐτολμότητερον ἐποίησεν καὶ νικᾶν παρεσκευάζε. გამბედაობით, სითამამეს შემეტებდა და გამარჯვებისთვის შემამზადებდა.

Ταῦτα οὖν ἐπὶ μιᾶς ἐκστρατείας τῆς κατὰ τῶν Ἀβασγῶν

ხოლო როდესაც აღმოსავლეთში აიშალნენ აბაზგები, დაუპირისპირდნენ მეფეს და აშკარად აღიმართნენ მის წინააღმდეგ (ისინი ეყრდნობოდნენ არა მხოლოდ სიმრავლეს, არამედ იარაღის უძლიერეს შესაძლებლობებს, ასე რომ არა მხოლოდ თავის თავს, არამედ შეჯავშნულ და წყულუგამძლე ცხენებსაც ყოველმხრიდან იფარავდნენ), თვითონ ბოტანიატეს კვლავ სცნობდნენ პირველ რიგებში მებრძოლად და თვითმასობელის მოსარჩლედ; რამეთუ მეფე რომ იმ დროს რომელუ ჯარებს მიუძღოდა, საშინელი შეტაკებები და ბრწყინვალე და ყოველდღიური ბრძოლები ინასკვებოდა; არც ერთ მათგანს ბოტანიატე არ აკლდებოდა, არამედ იბრძოდა როგორც ას-ხელა და მეორე პერაკლე, ან იმ პერაკლეზე უფრო მეტად გამარჯვებით გახარებულნი (რამეთუ არა თუ მეცამეტე გამარჯვებას, არამედ ას-მაგსაც აღწევდა); სადაც კი დამაშვრალად იხილვებოდა რომაელთა ფრთა და დაეარდნილად, იქვე თვითონ გაჩნდებოდა და აღადგენდა დავრომილს, აღავსებდა

და ეს მან არა მარტო აბაზგების წინააღმდეგ მოწყობილ იმ

<sup>1</sup> ἐπιγανύμενον eodd.



αὐτῷ διγώνιστο, ἀλλὰ καὶ ἐπὶ δευτέρᾳς. Δις γὰρ ὁ βασιλεὺς τοῖς Ἄβασσοῖς τὸν πόλεμον ἐπιτίθει· καὶ τῇ μὲν πρώτῃ ἀπλῶς μαχησιὸς περιέγενο καὶ ἦν τῶν Ἄβασσῶν, οὐ παντελῆς δὲ καταστροφῇ. Τῇ δὲ<sup>1</sup> δευτέρᾳ σφοδρῶς γενομένης καὶ φιλοτιμίου τῆς παρατάξεως οὐδεὶς μὲν Ῥωμαίων θανάτῳ περιπέπτωκεν, ἢ ὅσον εὐαρθῆμητοι· καὶ τῶν ἀπήμων τινές, τραυματίαι δὲ πολλοί· κατεφάνησαν, τῶν δ' Ἄβασσῶν φόβος ἀπείριτος γέγονε, τῶν μὲν ἐν τῇ σύμβολῃ τοῦ πολέμου θανατωθέντων, τῶν δὲ ἐν τῷ φεύγειν πεσόντων.

Παντελοῦς γὰρ γενομένης αὐτῶν τροπῆς καὶ δι' ἄξεως, ἀκορῆστος οἱ Ῥωμαῖοι δίκην ἀγρίων προβάτων τούτους κατέβησαν. Ὅποτε καὶ ὁ τούτων ἐθνάρχης (Γεώργιος ἢ κλησὶς αὐτῷ) ἐπὶ λόφου ἰστάμενος καὶ τὸ τῶν Ῥωμαίων κατακλαγείς σύνταγμα καὶ συγκίνημα, καὶ παρ' ἐλπίδας τὴν ἦν τῶν ἰδίων θεώμενος (ἐν χερσὶ γὰρ ἔχειν ἐδόκει· τὴν νίκην, καὶ τοῖς ἀμφ' αὐτὸν παρήναι ζωγρίαν πρὸς αὐτὸν τὸν τῶν Ῥωμαίων βασιλεῖα κομίσαι καὶ μὴ σιδήρῳ τιμῆναι), ἀμετσοστρεπτικῶς καὶ αὐτὸς εἰς ψυχῆν ὥρμησε, δρομαίῳ καὶ ἀελλόποδι ἔκπεσεν τὴν ἑαυτοῦ πιστεύσας σιωπηριώδη καταφυγῆν, τὸν υἱὸν αὐτοῦ Παγ-

ერთ ლაშქრობაში მოიხელოვნა, არამედ მეორეშიც. რამეთუ მეფემ ორჯერ გაუნაბოთა ომი აბაზგებს. და პირველ ომში მარტოვად წარიმართა ბრძოლა და აბაზგების დანარცხება, ხოლო არა სრულიადი განადგურებით. მეორე ომში კი, რომელიც მძადრა იყო და მხედრული ვახდაგებით ღირსშესანიშნავი, არცერთი რომელი არ მიჰქვდარა (გარდა მტორეოღენა უმნიშვნელო მეომრებისა !!), ხოლო დაპრიღებნი კი ბევრნი აღჰოჩნდნენ: აბაზგთა გაფლექა უზომო იყო; ერთნი ომის დროს შეტაკებაში დაიხოცნენ, სხვები კიდევ გაქცევის დროს დაიღუპნენ.

მათი ლტოლვა და დევნა რომ საყოველთაო ვახდა, რომაელებმა გაუმადლრად, მსგავსად გარეული ცხვრებისა, ისინი დაკლეს. როდესაც მათმა ერისთავმა (შისი სახელია გიორგი, ბორცხე რომ იღვა და გაკვირვებული იყო რომაელთა სინწყობრით და მოქრაობით და, წინააღმდეგ მოლოდინისა, თავისიანების დამარცხება დაინახა (ნას ხომ ეკონა, რომ გამარჯვება ხელში ჰქონდა და თავისიანებს აქეზებდა ცოცხლად მოეგვარათ მისთვის რომაელთა მეფე და მახვილით არ გაეკვეთათ), თვითონაც უკან მოუხედავად ლტოლვას მისცა თავი, სწრაფ და ფეხმარლ ცხენს მიანლო თავისი გაღასარჩენად ვან-

<sup>1</sup> τῇ δευτέρᾳ δὲ κοῦδι.

κράτιον ἐνέχουρον θῆξ τῆ βῆ-  
σλετ θῆσιν.

კუთვნილი გაქცევა და თავისი  
ვაფი ბაგრატი შეფეს ჩააბარა  
მონა-მძევლად<sup>1</sup>.

Ἐν τῆσιν τὰ χροῖσιν πᾶσι  
τοῖς Ῥωμαῖσι κατὰ τὰ Ἄσιν

ამ დროიდან ყველაფერი კარ-  
გად დაუტრიალდათ რომაელებს

<sup>1</sup> ამ ნაწყვეტში ლაპარაკია აბაზგების აჯანყებაზე კეისრის წინააღმდეგ. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მიხეილ ატალიატეს ეს ცნობა გამოყენებული არა ჩანს.

მიხეილ ატალიატე გადმოგვცემს, რომ კეისარს აუჯანყდნენ აბაზგები, მათ წინააღმდეგ გაიგზავნა უარი ბოტანიატეს წინამძღოლობით, იმ ბოტანიატეს, რომელიც, ისტორიკოსის დახასიათებით, უბრალო სარდალი იყო: იგი არა თუ მეორე პერაკლე იყო (იგულისხმება მითიური გმირი, თორმეტი საგმირო საქმის შემსრულებელი), არამედ იმაზე უფრო მეტიც (აბაზგთა შეცამეტე გამარჯვებას, არამედ ას-მაგსაც აღწევდა). ამ ბრძოლაში აბაზგები დამარცხდნენ, ამ ბრძოლის დროს აბაზგების „ერისთავი“ (ἐπιστάτης) გიორგი სერბე იყო შემდგარი და თავხარდაცემული უქცეროდა, თუ როგორ გარბოდნენ მისიანები, თვითონაც გაიქა. მებრძოლებს შორის ჩამოვარდა ხავი: გიორგიმ თავისი ვაფი ბაგრატი მძვლად მისცა კეისარს. ამ ბრძოლით ბოტანიატემ სახელი გაითქვა, როგორც უებრო მებრძოლმა და კეისრის დიდი წყალობაც დაიმსახურა.

გასარკვევია, თუ რომელი ბრძოლა იგულისხმება, და დასადგენია აქ დასახელებული პირების ვინაობა:

ა) პირველ ყოვლისა გასარკვევია, ვის უწოდებს მიხეილ ატალიატე „აბაზგებს“. ძველი საუკუნეებისათვის Ἀβασγὸς არის დასავლეთ საქართველოში მობინადრე ერთ-ერთი კართველი ტომი (კოლხები, ლახები, აბაზგები, პენიონები, სანიგები...). მაგრამ რამდენადაც ამ ნაწყვეტში იხსენიება ბოტანიატე, უნდა ვიგულისხმეთ, რომ ეს არის XI საუკუნის ცნობილი მოღვაწე და სარდალი მიხეილ ბოტანიატე (კეისარ ნიკეფორე III ბოტანიატეს მამა) და, მამასადავად, „აბაზგები“ სახელწოდებით უნდა იგულისხმებოდნენ „კართველები“. ხომ ცნობილია, რომ „აფხაზთა სამეფოს“ მეთაურობით გაერთიანებულ საქართველოს ბიზანტიელი ისტორიკოსები უწოდებენ „აბაზგებს“ და ამ გაერთიანებული საქართველოს მცხოვრებლების აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ Ἀβασγῶν-ს. მამასადავად, ამ ნაწყვეტში ლაპარაკი უნდა იყოს გაერთიანებული საქართველოს აჯანყებაზე ბიზანტიელების წინააღმდეგ.

ბ) ამ ნაწყვეტში ნათქვამია, რომ აბაზგთა აჯანყება მოხდა იმ დროს, როდესაც აბაზგების „ერისთავი“ (ἐπιστάτης) იყო გიორგი. უნდა ვიფარადლოთ, რომ ეს „აბაზგთა ერისთავი“ არის საქართველოს მეფე გიორგი I (ბიზანტიელი ისტორიკოსები, ზოჯერ, საქართველოს მეფეს იხსენიებენ მერაუ „არქანტის“ სახელწოდებით). ამას გვაუწყობენ ის, რომ დამარცხებული გიორგი ბიზანტიის კეისარს დაუხადებდა და მძვლად გაუგზავნის თავის ვაფს ბაგრატი. ამბების ასეთ ვითარებაში ეს უნდა იყენენ საქართველოს მეფე გიორგი I და მისი ვაფი ბაგრატი (ე. ი. ბაგრატი IV).

ანალოგიური კონსულიტო საქართველოსა და ბიზანტიას შორის აღწერილია „მატიანე კართლისა“-ა ავტორის მიერ. გადმოცემულია ბასილ II-სა და გიორგი I-ს შორის მომხდარი ომი და ისტორიკოსის ამბობს:

καὶ Ἐβρώπιον συνήντησεν. Ἐντε-  
θεν τῆ Βοτανειάτῃ τὸ περιβή-  
τον καὶ περιλαμπρον ἕνος καὶ  
ἡ πρὸς τὰ βασιλεία φίλια περι-  
ποιεῖται καὶ χάρις ἐπίμονος (CB  
284—286).

აზიასა და ევროპაში. ამ დროთ-  
დან ბოტანიკატეც სახელგანთქმუ-  
ლი და ბრწყინვალე შეიქმნა და  
მოიხვეჭა მეფის მეგობრობა და  
ურყევი წყალობა.

\*და ვითარ განგრძობდა მათ სიონის ბრძოლა, კუალადცა შეოტ იქმნნეს სპანი  
ქართველთანი და წარმოვიდეს შეოტად, მოსიძნეს ურაცხუნი პირითა მახულისათა  
და რომელნიმე ტყუე იქმნნეს და წარიდეს ავარი დიდძალი და განბი სამეფო,  
რომელი ქქონდა თანა.

\*და წარმოუდგა უკანა ბასილი მეფე, ხოლო კუალადცა აწუეს ზავად, ვითარცა  
პირველ; რამეთუ შიში დიდი აქუნდა საბერძნეთით განდგომისა. და უფეს მშულობა  
და დაიხავნეს, და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ქეთუსი ბაგ-  
რატი წელიწდისა სამისა» (ქ. ცხ. I [1955]. 287, 15—288, 7).

„მატიანე ქართლისა“—ს ავტორის მიერ აღწერილი ეპიზოდი ბიზანტია-საქარ-  
თველოს ურთიერთობის ისტორიიდან სრულიად ისეთივეა, როგორც მიხეილ ატა-  
ლიატეს მიერ აღწერილი: 1) ქართველების აჯანყება კეისრის წინააღმდეგ გიორგი  
მეფის მეთაურობით, 2) ქართველების დამარცხება, 3) დახვედბა და გიორ-  
გის მიერ მძევლად შეილის, ბაგრატის, გაგზავნა. ქართველი ისტორიკო-  
სის მიერ მოყვანილი ეპიზოდი ცხება ბიზანტიის კეისარ ბასილ II-სა და საქარ-  
თველოს მეფეს გიორგი I-ს შორის 1022—1023 წელს მომხდარ შეტაკებას.  
მაშასადამე, მიხეილ ატალიატეს მიერ გადმოცემული ეპიზოდიც იმავე ფაქტს,  
1022—1023 წელს მომხდარ კონფლიქტს უნდა ვუებოდე.

მიხეილ ატალიატე სხვაგანაც იხსენიებს ამ გამოჩენილ სარდალს, ბოტანიკა-  
ტეს. ეს არის სარდალი მიხეილ ბოტანიკატე. «მამა მეფისა (ე. ი. ნიკეფორე  
ბოტანიკატეს მამა), რომელმაც გამოიჩინა დიდი და ზედაშინაური უპირატესობა  
თავდაბრისა და ვაჟყავობისა მოწინააღმდეგეთა შიშათა» (CB 290, 22) და «არა-  
სოდეს უნახავს ვინმეს მიხეილ ბოტანიკატე, რომ ის მოქალაქეს კედნაღმურად  
მოპყრობოდა».

თუ ეს ასეა და ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში იგოლისხმება გიორგი I-ის დრო-  
ინდელი ქართველების დამარცხება, როგორცა შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე,  
რომ მიხეილ ატალიატეს „ისტორიანი“ აღწერილია 1034—1079 წლების ამბები,  
როგორც ამას სწევრენ ევლანი, ვინც კი მიხეილ ატალიატეს მოღვაწეობას ეხება  
(K. Krumbacher 230; Moravcsik II, 428; იხ. ზემოთ, გვ. 20).

ზემოთ აღწერილი «აშლა აბაზგებისა» ბიზანტიის წინააღმდეგ, როგორც ბი-  
ზანტიური ისე ქართული წყაროების (მიხეილ ატალიატეს და „მატიანე ქართლი-  
სა“) მიხედვით მოხდა გიორგი I-ის დროს, ხოლო ცნობილია, რომ 1034 წელს  
გიორგი I უკვე ცოცხალი აღარ იყო: იგი უდროოდ (25 ან 29 წლისა) გარდაი-  
ვალა 1027 წელს (ივ. ჯავახიშვილი, ქ. ვრ. ისტ. II [1965]. 136).

ამგვარად, მიხეილ ატალიატეს „ისტორიის“ ქრონოლოგიური მოცულობის  
შესახებ მსჯელობის დროს უნდა შესწორდეს ზემოთ მოყვანილი შეხედულება და  
ითქვას, რომ მიხეილ ატალიატეს „ისტორია“ 1034 წლის წინანდელ ამბებსაც  
შეიცავს.

## იბერია, ხალდია, ანისი

Τῆς μὲν γὰρ κακίας ταῦτα ἐπίχειρα. Κατὰ μὲν τὴν ἑῶαν ἐληίζοντο πάντα καὶ διεφθεύοντο. Τῆ δὲ τῶν Νεφθαλιτῶν Οὐνῶν ἦτοι τῶν Τούρκων ἐπιδρομῆ καὶ κατισχύσει, καὶ τῆ βιαιῆ ὑποχωρήσει: καὶ δείματα τῶν ἡμελημένων στρατιωτῶν ἐκ τοῦ Ῥωμαϊκοῦ καταλόγου, καὶ συναγεῖ: σπῆρχον αἰ ἐκδρομαί.

Καὶ ἡ εὐδαίμων χώρα τῆς Ἰβηρίας παντελῶς κατηρείπωτο, ἤδη προκατεργασμένη ὡς εἶπομεν. Μετελάμβανον δὲ τὸν δεινοῦ καὶ ὄσαι ταύτη παρέκειντο, Μεσοποταμία τε καὶ Χαλδία, Μελιτηνὴ καὶ Κολώνεια καὶ τὰ τῷ Εὐφράτῃ συγκείμενα ποταμῶ (CB 78, 7—17).

Τὸ Ἄγγιον πόλις ἐστὶ μεγάλη καὶ πολυάνθρωπος, καὶ πανταχόθεν τάφοις οὐ χειροποιήτοις ἀλλὰ φυσικαῖς κοιλᾶσι καὶ ἀδιεξοδεύτοις καὶ πέτραις ἀποτόμοις συμπεριελημμένη, καὶ ποταμῶ βαθυδίνῃ καὶ ἀβάτῃ περιεζωσμένη τὸ μέρος καθ' ὅπερ ἀπορρώγες καὶ φάραγγες ἐπιλείπουσι: καὶ βραχὺς ἐστὶ τόπος ὁ τὰς ἀμφόδους ἔχων τῆς πόλεως, καὶ οὗτος μετέωρος καὶ ἰσχυροῖς καταχύρωται τείχεσι. ქალაქის მისადგომებს შვიცავს, და მტკიცე კედლებით.

ბოროტებას, აი, ეს ზღუდა მოჰყვა. აღმოსავლეთში ყველაფერი დატაცებულ იქმნა და განადგურებული. ნეტალიტ-ჰუნების, ანუ თურქების შემოტევის და მომძლავრებას, და რომაული ნაწილების უზრუნველი ჯარისკაცების იძულებულ დახვესას და შიშს მოჰყვა გამუდმებული იერიშები.

და იბერიის მდიდარი ქვეყანაც სრულიად ვანადგურდა, როგორც ვთქვით, იგი მანამდისაც უკვე დარბეული იყო. საერთოზე განიცადეს აგრეთვე იმ მხარეებმა, რომლებიც მას (ე. ი. იბერიას) აკრავდნენ: მესოპოტამიამ და ხალდიამ, მელიტენემ და კოლონიამ და მდინარე ეფრატის გაყოლებით მდებარე მხარეებმა...

ანისი დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქია; ყოველი მხრივ შემოზღუდულია თბილბით, არა ხელით ნაკეთები თბილბით, არამედ ბუნებრივი ხევებით, რომელიც ძნელად მისასვლელია და ციკაბო კლდეებით შემოვლებული, აგრეთვე ღრმა და ძნელად გადასასვლელი მდინარით არის შემოსარტყლული იმ ნაწილში, სადაც არ მოიპოვება კლდეები და ხევებია და მოკლეა ის ადგილი, რომელიც და ესეც გამაგრებულია მალაღი

Ταύτην ὁ τῆς αὐοιδίμου λή-  
ξεως βασιλεὺς ὁ Μονομάχος ἀξι-  
μάχῳ πρότερον στρατιᾷ παρασ-  
τήσασθαι διαγωνισάμενος οὐκ  
ἠδυνήθη· συνήθηκαίς δὲ καὶ με-  
γίσταις ἐπαγγελίαις τὸν ἄρχοντα  
ταύτης καταστησάμενος εὐελπιν,  
συνέπεισε μεταθέσθαι πρὸς τὰ  
ἡμέτερα καὶ τὴν πόλιν θέσθαι·  
Ῥωμαίους. Καὶ ὁ μὲν μὴ δια-  
ψευσθεὶς τὰς ἐλπίδας ἐν εὐπα-  
θείαις καὶ ἀβρότησι καὶ ἀντιδό-  
σοι κτήσεων καὶ ἀξιομάτων  
μεγίστων τὸν βίον εἰλκεν ἐπέ-  
ραστον· ἡ δὲ πόλις, χώραν τε  
πολλὴν ἔχουσα καὶ πολίχυνα ὑπ'  
αὐτὴν, δοικικῆ κατακοσμήθη ἀρ-  
χῆ, πρὸς τοὺς Συριακοὺς τοῦ Ἰ-  
βίου διακαμμένη ὀρίοις, καὶ τῆν  
ἡμῖν χαράκωμα μέγιστον καὶ  
ἀποτροπὴ τῶν ἐκείθεν εἰσβάλλειν  
μελλόντων βαρβάρων εἰς τὴν  
Ἰβηρικὴν.

Τὸ δὲ φειδωλὸν τοῦ κρατούν-  
τος καὶ ταύτης τοὺς Ῥωμαίους  
ἐστέρησεν· ἐπεὶ γὰρ σιτηρέσιον  
καὶ ὁ ἐν ταύτῃ σατραπῆς ἐλάμ-  
βανε, προσελθὼν τις Ἀρμένιος  
Παγκράτιος οὕτω καλούμενος τῷ  
βασιλεῖ, συντίθεται τούτῳ καὶ  
ὕπισχνεῖται χωρὶς τινος ἀπολή-  
φαι τὴν τοιαύτην ἀρχὴν μετελ-  
θεῖν καὶ κριετόνως συντηρήσαι  
τὸ ἄστυ, καὶ ὅση τούτῳ παρα-  
πέφυκε σύγκλησις (CB 79, 14 —  
80, 16).

ეს ქალაქი ნეტარხსენებულმა  
მეფემ მონომახოსმა ვერ შესძლო  
დაემორჩილებინა, თუმცა წინათ  
კარგი მებრძოლი ჯარით შეუტია:  
საზავო ხელშეკრულებით და უდი-  
დესი დაპირებებით ამ ქალაქის  
არქონტი (მთავარი) დააიმედა და  
დაარწმუნა. რომ ჩვენს მხარე-  
ზე გადმოსულიყო და ქალაქიც  
რომაელებსათვის ჩაებარებინა.  
ესეც, იმედები რომ არ გაცრუე-  
ბოდა, ტკბილ ცხოვრებას ეწე-  
ოდა ფუფუნებაში, განცხრომაში  
და მამულებისა და უდიდეს პა-  
ტივთა დარიგებაში; ხოლო ქა-  
ლაქი, რომელსაც დიდი ქვეყანა  
ეპყრა და მისდამი დაქვემდება-  
რებული დაბები, მიეკუთვნა დუ-  
კის სახელს და მღებარეობდა  
დვინის სიბოთლ საზღვრებთან;  
და იგი ჩვენთვის იყო უდიდესი  
სიმაგრე და იმ ბარბაროსთა შე-  
პოკავებული, რომლებიც იქიდან  
იბერიისაში შეჭრას აპირებენ.

თვითმპყრობელის დამხოვე-  
ლობამ რომაელებს ესეც (ე. ი.  
იბერიის?) გამოაცალა; რამეთუ,  
როდესაც იქაურმა სატრაპმა  
სურსათი მიიღო, მოვიდა ერთი  
სომეხი ბაკრატი (ასე ეწოდე-  
ბოდა მას) მეფესთან, შეუთანხმდა  
მას და შეპირდა, ყოველგვარი  
დაბრკოლების გარეშე, ამ სახე-  
ლოს მოუპოვებდა და უკეთესად  
დაიცავდა ქალაქს, და რაც კი  
მას საერთო სამფლობელო მო-  
ეპოვებდა.

## ანნა კომნენე

ანნა კომნენე (*Ἀννα Κομνηνή*) არის XII საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი, რომლის საისტორიო თხზულება (აღექსიადა) წარმოადგენს ივირთას წყაროს ბიზანტიისა და მეზობელი ქვეყნების XI—XII საუკუნის ისტორიისათვის.

ანნა კომნენე იყო ალექსი I კომნენოსის ქალიშვილი; დაიბადა 1083 წელს<sup>1</sup>. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო: ვულმოდგინედ სწავლობდა ანტიკური პერიოდის პოეზიასა და პროზას, ისევე როგორც ისტორიასა და გეოგრაფიას. 1097 წელს ანნა მისთხოვდა ნიკიფორე ვრიენიოსს, აგრეთვე დიდად განათლებულსა და წარჩინებულ დიდებულს. ანნას და მისი ქმრის განათლების შესახებ, აი, რასა სწერს ისტორიკოსი იოანე ზონარა:

ნიკიფორე ვრიენიოსი, ანნას ქმარი მისდევდა მეცნიერებას, ნაგრამ მისი ცოლი არა თუ იმაზე არა ნაკლებ, არამედ უფრო მეტადაც. მან მეცნიერული აღზრდა მიიღო. ლაბარაკობდა წმინდა ატიკურ დიალექტზე, მისი გონება მოწყობილი იყო უმაღლესი იდეების ჰერეტიკისათვის. ნიკი ჰქონდა მეტად ნაბეილი, სიბეჯითე შეუწყვეტელი: უყვარდა წიგნები და სწავლული ადამიანები, რომლებთანაც გულისყურით საუბრობდა» (იხ. იოანე ზონარა, XVII).

ანნა თვითონაც ამბობს თავისი განათლების შესახებ: «ჩემთვის უცხო არ იყო ნეცნიერება, ღრმად მქონდა შესწავლილი ბერძნული ენა, დიდის მოსწრაფებით ესწავლობდი რიტორიკას, წავიკითხე არისტოტელეს „ხელოვნებანი“, პლატონის „დიალოგები“ და გონება გავიწაფე ნეცნიერებათა ოთხეულით»<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ანნა კომნენეს ბიოგრაფიული ცნობებისათვის, რომლებიც უბედა მიიღო, ვხვდებით საისტორიო ნაშრომში, ვიუენებთ შესდევ მიმოხილვებს: K. Krumbacher *GBI.* 274—279; G. Moravcsik, *Byzantinoturcica* I 219—223; III. Дяль, *Византийские портреты* II, 29—33.

<sup>2</sup> იხ. Anna Comnena, შესავალი, თავი I. „მეცნიერებათა ოთხეულით“ იგულისხმება quadrivium: ასტროლოგია, გეომეტრია, არითმეტიკა და მუსიკა.



ანნას ქმარი ნიკიფორე ვრიენიოსი, ცნობილი სტრატეგოსის ნიკიფორე ვრიენიოსის შვილი, თვითონაც განთქმული იყო სამხედრო საქმის კარგი ცოდნით და მიიღო კესარობა და პანიპერსევისტოსობა. ალექსი I კომნენოსის გარდაცვალების (1118 წ.) შემდეგ ანნას იმედი ჰქონდა, რომ თავის ქმარს მოუპოვებდა სამეფო ტახტს, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდა (ტახტზე ავიდა ანნას უმცროსი ძმა, იოანე II კომნენოსი, 1118—1143 წ.წ.) და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ანნა გაშორდა საერო წრეებს და დაბინავდა მისი დედის (ირინეს) მიერ დაარსებულ „მიმადლებულის“ (რუს. *Кежа:р:ша:ч:ше*) მონასტერში<sup>1</sup>.

1138 წელს გარდაიცვალა ანნას ქმარი ნიკიფორე ვრიენიოსი, რომელსაც ანნა პატივს სცემდა როგორც მწერალსა და ადამიანს, როგორც სახელმწიფოებრივ სარდალსა და ვაჟკაცს. ანნა კომნენე თავის „ალექსიადაში“ ასე ახასიათებს ნიკიფორეს:

«... (ნიკიფორე ვრიენიოსმა) განიზრახა გადადგომოდა მიხეილ (დუკას)<sup>2</sup>. თუ როგორ გამომეღავნა ეს, ანაზე არ გვეჭირდება ჩვენ ლაპარაკი, ვინაიდან კესარის (ნიკიფორე ვრიენიოსის) თხზულებაში ნაჩვენებია მიზეზი მისი გადადგომისა. როდესაც ის ქალაქ ღირახიუმიდან დაიძრა — როგორც ძირითადი საყრდენი ადგილიდან, ნიკიფორე ვრიენიოსი მივიდა და მთელი დასავლეთი დაიმორჩილა, და თუ შემდეგ როგორ მოხდა თვით მისი შეპყრობა, ამაზე საჭიროა მოკლედ მაინც ვიამბოთ. ხოლო ვისაც სურს დაწვრილებით იცოდეს ეს ამბავი, მიმართოს თვით კესარის თხზულებას.

მისი სიტყვებით, ნიკიფორე ვრიენიოსი იყო შესანიშნავი მხედარი, წარმოშობით წარჩინებული გვარიდან იყო, გამოირჩეოდა მაღალი ტანით და კეთილმეტყველი სახით, თანამოასაკეებს აღმატებოდა გონების გამჭრიახობით და კუნთების სიმკვრივით; ეს იყო მეფობის ღირსი კაცი და ჰქონდა სხვისი დარწმუნების ისეთი ნიჭი და პირველი შეხვედრისთანავე და დალაპარაკებისთანავე ისე ხიბლავდა ყველას, რომ საერთოდ ყველანი, სამხედროებიც და კერძო პირებიც მას პირველობას აკუთვნებდნენ და თვლიდნენ იმის ღირსად, რომ მთელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებელი ყოფილიყო. და, მართლაც, რომელ ქალაქშიც კი არ მივიდოდა ის, ყველანი გაშლილი ხელებით ხვდებოდნენ მას და ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქისაკენ აცილებდნენ ტაშისკვრით.

<sup>1</sup> დვთისშნობლის სახელობის მონასტერია.

<sup>2</sup> მიხეილ VII დუკა პარაპინაკი, ბიზ. კისარი 1071—1078 წლებში.

ამ გარემოებამ შეაშფოთა ბოტანიატე... მან გადაწყვიტა ვრიენიოსის წინააღმდეგ გაეგზავნა ხელზე მყოფ ჯარით მამა-ჩემი, ალექსი კომნენოსი, რომელიც სხოლათა დომესტიკოსის (βικαριχαιος τῶν τῶν-λῶν) პატივში იყო ახლახან აღზევებული<sup>1</sup> (Anna Comnena, I, 4).

ანნა კომნენე სხვა ადგილასაც ეხება ნიკიფორე ვრიენიოსს.

ნიკიფორე დასნეულდა, მძიმე ტკივილებისაგან მას მუცელი გაებერა. ასეთი მძიმე სენით დაავადდა, მაგრამ მაინც დააპირა ეამბნა — თუ რა შეემთხვა, მაგრამ ტკივილებმა შეუშალეს ხელი, ნაწილობრივ კი მე არ მივეცი ამის ნება, რათა თბრობისაგან კრილობა არ განახლებოდა» (Anna Comnena, Praefatio, § 3; A. Reifferscheid I, 6-7).

იმ დროს რომ ვიგონებ, ვგრძნობ, რომ სულს ღრუბელი ეხვევა გარს და თვალები ცრემლებით მეესება. ოჰ! რა ძვირფასი მრჩეველი დაჰკარგა რომაელთა სახელმწიფომ! როგორი განოცდილება ჰქონდა მას შექმნილი და როგორი ნაყოფიერი იყო საქმეებში! რა განსწავლული იყო მეცნიერებაში და რა გამობრძნედილი იყო სხვადასხვანაირ სიბრძნეში — ვგულისხმობ როგორც საგარეო, ისე საშინაო (სარწმუნოებრივ) საქმეებს! რა სილახათე უვლიდა მთელი სხეულის ნაკვთებში! მისი ტანადობა, როგორც ზოგიერთები ფიქრობდნენ, იყო არა თუ მეფური, არამედ უცრო უკეთესი — ღვთაებრივი» (Anna Comnena, Praefatio, § 4; A. Reifferscheid I, 7).

ანნა კომნენეს კალამს ეკუთვნის 15 წიგნისაგან შემდგარი საისტორიო თხზულება «ალექსიადა», რომელიც წარმოადგენს ავტორის მამის, ალექსი I კომნენოსის, მეფობის ისტორიას და მოიცავს 1069 — 1118 წლების ამბებს. და, ამგვარად, იგი არის ნიკიფორე ვრიენიოსის «ისტორიის» ვაგრძელება. «ალექსიადის» წყაროებია თვით ავტორის მიერ ნახული და გაგონილი, მისი მამის ნაამბობი, წერილები და სიგელ-გუჯრები და თვით თანამედროვე სარდლებისა და დიდებულ-მოხელეთა წრეში შეკრებილი ცნობები. გარდა ამისა ანნა კომნენე იყენებს ნიკიფორე ვრიენიოსის, სკილიცეს ვამგრძელებლის, მიხეილ ატალიატეს და მიქელ პსელოსის საისტორიო ნაშრომებს.

<sup>1</sup> სხოლათა დომესტიკოსი — მეფის არმიის მოავარსარდალი.



ანნა კომნენე ლიტერატურული და ფილოსოფიური რენესანსის ხანაში მოღვაწეობდა. ამ ხანას ახასიათებს ბიზანტიაში არქაიზაციის ტენდენციები, ანტიკურობისადმი მიბაძვა. ანნა კომნენეს «ალექსიადის» შესახებ ჩვენ ვწერდით: „ანტიკური ხანის ისტორიკოსებისადმი მიბაძვა აღწევს მის «ალექსიადაში»... უმაღლეს წერტილს. თუ წინათაც, მაგალითად, VI საუკუნეში, პროკოპი კესარიელი და მისი გამგრძელებლები ჰბაძავდნენ თუკიდიდეს, ეს მიბაძვა უფრო გარეგნული ხასიათისა იყო (სიტყვებისა და წინადადებების სესხება), ახლა კი ანნა კომნენესთვის თუკიდიდე არის ნიმუში ისტორიოგრაფიული სტილისა, ისტორიულ პროცესთა გაგებისა და ბერძნული ეროვნული ინტერესების შეცნობისა. ატიციზმი—ანნა კომნენეს იდეალია“<sup>1</sup>.

ქვემოთ მოყვანილი მასალების დამზადების დროს ესარგებლობით შემდეგი გამოცემებითა და თარგმანებით:

*Annae Comnenae Alexiadis libri XV. Vol. I edidit Ludovicus Schopenus. Bonnæ 1839; Vol. II ed. A. Reifferscheid. Bonnæ 1888 (CB)*<sup>2</sup>.

*Annae Comnenae Porphyrogenitae Alexias. Ex recensione Augusti Reifferscheidii. I—II. Lipsiae 1884.*

*Anne Comnène. Alexiade (règne de l'empereur Alexis I Comnène 1081—1118), texte établi et traduit par B. Leib. I—III Paris 1937—1945*<sup>3</sup>.

*The Alexiad of the Princess Anna Comnena. Translated by Fl. A. S. Dawes. London 1928.*

*Сокращенное сказание о делах господина царя Алексея Комнина, составленное с Божиею помощию дочерию его госпожею Анною, Порфирородною царевною, которая сама себя*

<sup>1</sup> იხ. ჩვენი „ბიზანტიურა ლიტერატურის ისტორია“, თბ. 1963, გვ. 273.

<sup>2</sup> ამ გამოცემას დართული აქვს: 1) პარალელური ადგილები ლათინური „ქრონიკებიდან“, 2) ახალი თარგმანი ლათინურ ენაზე; 3) Possin-ის მიერ შედგენილი ლექსიკონი; 4) Du Cange-ის კომენტარები, 5) ინდექსები (საძიებლები ისტორიული და ენობრივი, index graecitatis), 5) ანდაზების (Proverbia) ნუსხა და ნუმისმატიკური ტაბულები.

<sup>3</sup> ტექსტი ამოწერილი გვექნა Reifferscheid-ის გამოცემის მიხედვით. ხოლო Leib-ის გამოცემას შევუდარეთ შემდეგ, როდესაც ამ გამოცემამ (უკეთ, ამ გამოცემის მიკროფილმმა) ჩვენამდე მოაღწია.

называла Алексеевною. Перевод под ред. Карпова. СПб 1859 (გადათარგმნილია „ალექსიადის“ მხოლოდ 9 წიგნი).

Анна Комнена. Алексиада. Вступительная статья, перевод, комментарий Я. Н. Любарского. Москва 1965<sup>1</sup>.

### მარიაში შვირთო ნიკიფორე ბოტანიატემ

1,4. Ἐντεῦθεν πάλιν ἐπὶ τὴν ἐσπέραν πέμπεται: παρὰ Νικηφόρου τοῦ αὐτοκράτορος ἦδη τὰ Ῥωμαίων σκηπτρα κατεσχηκότος κατὰ Νικηφόρου τοῦ Βρυεννίου τὴν δόσιν ἕλγιν κλονοῦντος, καὶ τὸ διάδημα ἑαυτῷ περιθεμένου καὶ βασιλέα Ῥωμαίων ἀνακηρύττοντος. Ἄρτι γάρ τοῦ αὐτοκράτορος Μιχαὴλ τοῦ Δούκα τοῦ θρόνου καθαρθεύοντος καὶ ἀντιταίνιας τε καὶ χλαμύδος<sup>2</sup> τὸν ποδῆρη καὶ τὴν ἐπωμίδα τὴν ἀρχιερατικὴν ἐνδεδυμένον ὁ Βοταναιάτης ἐπὶ τοῦ βασιλείου θρόνου καθίσας καὶ τὴν βασιλίδα Μαρίαν, ὡς προῖόν ἔ λόγος σαφέστερον παραστήσειε, μνηστευόμενος τὰ τῆς βασιλείας διέβηκε πράγματα. Ἄλλ' ὁ Νικηφόρος Βρυέννιος τὴν δουκικὴν περιεζωσμένος ἀρχὴν Δυρραχίου ἐπὶ τοῦ βασιλείου Μιχαὴλ καὶ πρὸ τοῦ βασιλεύοντος τὸν Νικηφόρον βασιλεῖν τε ἤρξατο καὶ ἀποστασίαν κατὰ τοῦ Μιχαὴλ ἐμελέτησε (Anna Comnena, ed. A. Reifferscheid, I, 16—17).

თვითმპყრობელმა ნიკიფორემ, რომელსაც უკვე ეპყრა რომის სახელმწიფოს სკიპტრა, ალექსი გაგზავნა დასაუღლეთში ნიკიფორე ვრიენიოსის წინააღმდეგ, რომელსაც მთელი დასაუღლეთი აეთვორიაქებინა, თავზე გვირგვინი დაუდგამს და რომაელთა მეფედ გამოცხადებინა თავი. როდესაც მიხეილ ღუკა ტახტიდან გადააყენეს და, ნაცვლად სამეფო გვირგვინისა და ძოწეულისა, პოდირი და არქიეპისკოპოსის სამხრე ჩაიცვა, სამეფოს საქმეების მართვას შეუდგა სამეფო ტახტზე ასული ბოტანიატე, რომელმაც შეირთო, როგორც ამაზე ქვემოთ იქნება უფრო ნათლად ნათქვამი, დედოფალი მარიაში. ამასობაში ნიკიფორე ვრიენიოსმა, რომელიც მიხეილ მეფემ ალაზნევა დირახიუმის ღუკად, მეფობა მოიწადინა ჯერ კიდევ ნიკიფორეს გამეფებამდე, და განიზრახა გადაღმობოდა მიხეილს.

<sup>1</sup> თარგმანები ახლეს ავრთვე ბონის გამოცემას (СБ) ლათინურად, და Leib-ის გამოცემას ფრანგულად.

<sup>2</sup> χλαμύδος V, στίμματος F.

## მიხეილ დუკა და მიხი შვილი კონსტანტინე

I, 10. Ἡ δὲ Ῥωμίων ἐχθρὸν  
 τηλικούτων ἐφ' ἐκυτῆς ἐβλάκασε  
 πρόφρατον δεδωκυῖα τῶν ἀπ' ἐκείνου  
 πολέμων [ταῖς πρὸς ἡμᾶς] κήθους  
 ἑτερόφυλόν τε καὶ βάρβαρον καί  
 τοῖς πρὸς ἡμᾶς ἀπροσάριστον,  
 μᾶλλον δὲ ἀπροσεξίαν τοῦ τότε  
 κρατούντος Μιχαήλ τῶν τὰς τοῦ  
 γένους σειρὰς πρὸς τοὺς Δούκας  
 ἀνάπτουτος. Ἐῖ δὲ καὶ καθ'απτοί-  
 μην τινὸς τῶν καθ' αἰμά μοι  
 προσηγόντων (καὶ γὰρ κάμωι τὰ  
 πρὸς μητρὸς ἐκείθεν καταρρεῖ),  
 νεμεσάτω μηθεῖς τὴν τε γὰρ  
 ἀλήθειαν ἐξ ἀπάντων πρὸς ἐλπί-  
 ξυγγράφειν καὶ ὅσον ἐπὶ τούτῳ  
 τὰς ἐξ ἀπάντων μέμψεις ἀνεστει-  
 λάμην. Ἐκείνος γὰρ ὁ εἰρημένος  
 αὐτοκράτωρ ὁ Δούκας Μιχαήλ  
 τὴν τοῦ βαρβάρου τούτου θυγα-  
 τέρα εἰς τὸν ἐκυτὸν σὶδὸν κπηγγυ-  
 ῆσατο Κωνσταντῖνον, κἀν-  
 τεῦθεν ἀνεργάγη τὰ τῶν πολέμων.  
 Καὶ περὶ μὲν τοῦ σίειος τοῦ βλα-  
 λέως τούτου Κωνσταντῖνου καὶ  
 τοῦ περὶ αὐτὸν γαμικῶς συναλ-  
 λάγματος καὶ ὄλωε τοῦ βαρβαρι-  
 κῶς κήθους καὶ ὅη καὶ ὅπως  
 εἶχε ἀλλοὺς τε καὶ μεγέθους  
 ὁ ἀνήρ καὶ ὁ ποῖός ἦν τὴν φύσιν

რომელებთან სახელმწიფომ თვი-  
 თონ თავის თავს მოუტოია ასე-  
 თი მტერი<sup>1</sup> და მისცა მას საბა-  
 ბი ომისათვის ჩვენს წინააღმდეგ  
 იმით, რომ უცხოტომური და  
 ბარბაროსული და ჩვენთვის სრუ-  
 ლიად შეუყვარებელი დანათესა-  
 ვება განიზრახა, უფრო კი ამაში  
 დამნაშავეა დაუდევრობა მაშინ-  
 დელი მეფისა, რომელიც დუკებს  
 უკავშირდებოდა თავისი გვარის  
 ნათესაობის ვზებით. თუ მე გავ-  
 კიცხავ ვინმეს ჩემი სისხლის-  
 ნათესავებიდან (მეც ხომ ღეღის  
 მხრით<sup>2</sup> იმავე გვარს ვეკუთვნა),  
 ნურავინ გამიჯავრდება: მე ხომ  
 ყველაფერზე უფრო უმჯობესად  
 ჩავთვალე სიმაართე ვწერო, ხო-  
 ლო რაც ამას ეხება, მე ვამო-  
 ვხატავ ყველას მხრით გაკიცხვას  
 მის მიმართ. იმ ზემოხსენებულმა  
 თვითმპყრობელმა მიხეილ დუკამ  
 ამ ბარბაროსის ქალიშვილი და-  
 ნიშნა თავის ვაჟზე, კონსტან-  
 ტინეზე<sup>3</sup>, და აქედან წარმო-  
 სდგა ომის ამბები. ამ მეფის ძის  
 კონსტანტინეს და ნის გარშემო  
 დადებულ საქორწინო შეთანხმე-  
 ბის შესახებ და საერთოდ გან-  
 ზრახული ბარბაროსული ქორწი-

<sup>1</sup> იგულისხმება რობერტ გვისკარი.

<sup>2</sup> ანნა კომნენეს დედა, ირინე, ყვარ იოანე დუკას ვაჟის, ანდრონიკოს, ასულია.

<sup>3</sup> ლაპარაკია კონსტანტინე პორფიროგენეტზე, რომელიც იყო შვილი კონსტანტინე VII დუკა პარაპინაკისა და მარიამ მართა-ყოფილისა (ბაგრატ IV-ის ქალიშვილისა). კონსტანტინე დაიბადა 1074 წელს; ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო როდესაც დანიშნეს ელენეზე, რობერტის ქალიშვილზე.

καὶ ποδαπός, κατὰ καιρὸν ἐρο-  
μεν, ἐπειδὴν ἀπολοφυροίμην καὶ  
τὰς ἐμὰς συμφορὰς μικρὸν μετὰ  
τὴν τοῦ κήθους τούτου διήγησιν  
καὶ τὴν ἦσαν τῆς βαρβαρικῆς  
ἀπάσης θυνάμειος καὶ τὴν ἀπώ-  
λειαν τῶν Νορμανθίνων τυράνων,  
ὅς ἐξ ἀλογίας κατὰ τῆς τῶν  
Ῥωμαίων ἐθρέψατο (Anna Com-  
nena I. 10; ed. Reifferscheid  
I, 35, 5—26).

დევ, რომლებიც თავისი უკუხურებით მოაქცია მიხეილმა რომაელ-  
თა<sup>1</sup> სახელმწიფოს წინააღმდეგ.

I, 12. 'Αεὶ δὲ τὶ ὁ Ῥομπέρ-  
τος οὗτος ἐπινοῶν τυραννικώτε-  
ρον καὶ φαναζόμενος τὴν βασι-  
λείαν Ῥωμαίων προφάσει, ὡς  
ἔφην, τῆς πρὸς τὸν αὐτοκράτορα  
Μιχαὴλ συμπενθηρίας ἐπιδραζά-  
μενος τὸν πρὸς Ῥωμαίους ἀνερ-  
ρίπιζε πόλεμον. Ἐφθίμεν γὰρ  
εἰρηκότες, ὅτι Μιχαὴλ ὁ αὐτο-  
κράτωρ οὐκ οἶδ' ὅπως τὴν τοῦ  
τυράννου τούτου θυγατέρα ('Ἐλέ-  
νη δὲ αὐτῆ προσηγορεύετο) τῷ  
στῆ Κωνσταντίνῳ κατηγγύησατο.

Πάλιν δὲ μεμνημένη τοῦ νεα-  
νίσκου τούτου παθιαίνομαι: τὴν τε  
ψυχὴν καὶ τοὺς λογισμοὺς συγ-  
χέομαι: ἀνακόπτομαι: δὲ τὴν ἀμφι-  
τοῦτον διήγησιν φυλάττουσα πάν-  
τα καιρῶ τῷ προσήκοντι. Τοῦτο  
δὲ μόνον οὐχ ὑπομένω μὴ λέγειν,  
κἂν ἔξω τοῦ καιροῦ λέγοιμι, ὡς

ნების შესახებ და იმის შესახებ,  
თუ როგორი სილამაზისა და ტა-  
ნადობისა იყო ეს ქაცი და თუ  
როგორი ბუნებისა იყო ან სა-  
დაური იყო, — თავის დროზე გი-  
ამბობთ, როდესაც დავიტირებ  
ჩემს საკუთარ ბედს ამ ქორწი-  
ნების შესახებ თბრობის შემდეგ,  
მთელი ბარბაროსული ჯარის და-  
მარცხებისა და იმ ნორმანიელ  
ტირანების შესახებ თბრობის შემ-

აი, ეს რომერტი მუდამ ფიქ-  
რობდა უფრო მეტი ძალაუფლე-  
ბა ქქონოდა და ოცნებობდა რო-  
მაელთა ტახტი მიეღო, და, რო-  
გორც ვთქვი, თვითმპყრობელ  
მიხეილთან მძახლობას იმიზეზებ-  
და და რომაელთა წინააღმდეგ  
გააჩალა ომი. ჩვენ ხომ უკვე წი-  
ნათაც ვთქვით, რომ თვითმპყრო-  
ბელმა მიხეილმა, — არ ვიცი რა-  
ტომ. — ამ ტირანის (რომერტის)  
ქალიშვილი (ამას ელენე უწო-  
დეს)<sup>2</sup> თავის ვაჟზე კონსტანტი-  
ნეზე, დანიშნა.

კვლავ რომ ვიგონებ ამ ყმაწ-  
ვილს, სული მემდულრება და  
აზრები მერევა: ვწყვეტ, ამიტომ,  
მის გარწემო თბრობას და ხელ-  
საყრელი დროისათვის შევინახავ  
ყველაფერს. მარტო ეს არ შემო-  
ძლია არ ვთქვა, თუნდაც დროის  
შეუფერებლად გამომივიდეს ნა-

<sup>1</sup> იხ. აქვე ქვემოთ I, 12; III. 1 და სხვაგანაც.

<sup>2</sup> ელენე უწოდეს — ვ. ი. მას სხვა სახელი რქმევია.

ἀγαλμα φύσεως ἦν ὁ νεανίας  
 ἐκείνος καὶ θεοῦ χειρῶν, ὡς  
 οὕτως εἶπεν, φιλοτίμημα. Εἰ γὰρ  
 καὶ μόνον ἐθεάσατό τις αὐτόν,  
 εἶπεν ἂν ὡς τοῦ παρ' Ἑλλησι  
 μυθευομένου χρυσοῦ γένους ἀπορ-  
 ροῆ<sup>1</sup> οὕτως ἀμήχανον εἶχε τὸ  
 κάλλος. Ἐγὼ δὲ μετὰ τοσοῦτους  
 ἔνιαυτοὺς μεμνημένη τοῦ νεανίου  
 τούτου θακρῶν ἐμπίπλαμαι· ἐπέ-  
 χω δὲ ἔμωε τὸ θακρῶν καὶ τα-  
 μιεύω πρὸς τοὺς ἐπικαίρους τῶν  
 τόπων, ἵνα μὴ τὰς μονωδίας<sup>1</sup>  
 τῶν ἔμων ἀναμειγνύσῃταις ἱστο-  
 ρικαῖς διηγήσῃται τὴν ἱστορίαν  
 συγγένοιμι.

მოთხრობებში, თვით ისტორიაში

Οὗτος γὰρ ὁ νεανίσκος, περὶ  
 οὗ κἀνταῦθα καὶ ἀλλαχόσε εἰρή-  
 κειμεν, προχρόνιος πρὸ ἡμῶν καὶ  
 πρὶν ἡμεῖς τὸν ἥλιον ἴδοιμεν,  
 μνηστῆρ ἐγεγόνει τῆς τοῦ Ῥο-  
 πέρτου Ἐλένης καθαρῶς καὶ  
 ἀμόλυντος, καὶ τὰ ἔγγραφα συ-  
 ναλλάγματα ἐπ' αὐτῇ ἐγεγράφει-  
 σαν κἀν ἀτέλεστα καὶ ἐν ἐπαγ-  
 γελίαις μόνον, ἀτελοὺς τὴν ἡλι-  
 κίαν ὄντος τοῦ νεανίσκου· διεσ-  
 πάσθη δὲ ἅμα τῷ τῆς βασιλείας  
 ἐπιβῆναι τὸν βασιλέα Νικηφόρον  
 τὸν Βοτανειάτην. Ἄλλ' ἐξετρα-  
 πόμηγ τοῦ λόγου, ἐπανελθεσο-

თქვამი: როგორც ბუნების ძველი  
 ისეთი იყო ის ყმაწვილი (კონ-  
 სტანტინე) და ღვთის ნახელარი  
 საჩუქარი, თუ შეიძლება ასე  
 ითქვას; თუ კი ვინმეს დაუნახავს  
 მაინც, იტყოდა, რომ ეს ოქროს  
 მოღდმის ნაწიერი არისო, რო-  
 გორც ეს ელინურ მითებშია მო-  
 თხრობილი; ასეთი უბადლო სი-  
 ლამაზისა იყო. ამდენი წლის შემ-  
 დეგაც რომ ვიგონებ იმ ყმაწ-  
 ვილს, ცრემლებით ვივსები: მაგ-  
 რამ ვიკავებ ცრემლებს და ხელ-  
 საყრელ შემთხვევებისთვის შევი-  
 ნახავ, რათა, ჩემი პირადი პან-  
 გების<sup>1</sup> შერევით საისტორიო  
 არ შევიტანო არეგ-დარევა.

ეს ყმაწვილი, რომლის შესა-  
 ხებ აქაც და სხვაგანაც გვი-  
 თქვამს, ჩვენზე აღრე გაჩნდა  
 (დაიბადა) და, სანამ ჩვენ მზეს  
 ვიხილავდით, საქმრო გახდა რო-  
 ბერტის ქალიშვილის ელენესი,  
 ყმაწვილი სუფთა და უმწიკვლო;  
 წერილობითი შეთანხმებაც დაწე-  
 რილა მაშინვე, თუმცა უშედეგოდ  
 და მხოლოდ დაპირებებით; ყმაწ-  
 ვილი არც კი იყო სრულწლოვა-  
 ნი; ეს ხელშეკრულება დარღვეულ  
 იქმნა, როგორც კი სამეფო  
 ტახტზე ავიდა მეფე ნიკიტორე  
 ბოტანიატე. მაგრამ მე სიტყვას

<sup>1</sup> *μονωδία* — პიროვნული მღერა ან გალობა, აქ იგულისხმება „პირადი  
 გოდება“, ვ. ი. უკვე გარდაცვლილი კონსტანტინეს გამო; ანნა კომნენე კონსტან-  
 ტინეზე იყო დანიშნული, მაგრამ კონსტანტინე გარდაიცვალა უკრ კიდევ მაშინ.  
 როდესაც ანნა სრულწლოვანიც არ იყო (დაახლოებით 1091 წლის მომდევნო  
 ხანებში).

μαι δ' ἀνθις ἀφ' οὐπερ ἐξέρχεται ἰσχυρῶς.

Ὁ γὰρ τοι Ῥομπέρτος ἐκείνος ἐξ ἀφανοῦς πᾶν τύχης περιφανῆς γεγονὼς καὶ πολλὴν δυνάμιν ἀθροίσας περὶ αὐτὸν ἐπεβάλετο καὶ Ῥωμαίων αὐτοκρατῶρ γενέσθαι καὶ προφάσεις εὐλόγους θῆθεν ἐπλάττετο τῆς πρὸς Ῥωμαίους δυσμανείας καὶ τῶν πολέμων. Διττὸς δὲ ἐντεθεὶν φέρεται λόγος. Ὁ μὲν γὰρ φημίζεται τε καὶ διαρρεῖ καὶ μὲχρι τῆς ἡμετέρας ἀκοῆς ἔφθασεν, ὅτι τῆς μοναχὸς Ραίχτωρ ἰσομαζόμενος ὑπεκρίθη τὸν βασιλεῖα Μιχαήλ καὶ πρὸς τὸν Ῥομπέρτον τούτων καὶ συμπένθηρον αὐτομολήσας τὰς οἰκείας συμφορὰς ὠλεσφόρο. თავის მძაბალთან და შესხივლა მას

Ὀυτος (ესე ოგი Μιχαήλ) γὰρ μετὰ τὸν Διογένην τῶν σκήπτρων Ῥωμαίων ἐπειληγμένους καὶ βραχύν τινα χρόνον διακρέψας τὴν βασιλείαν παρελῆθη μὲν τῆς ἀρχῆς ὑπὸ τοῦ Βοτανειάτου ἐπικνασθέντος αὐτῆ, τὸν δὲ τῶν μοναχῶν ὑπέδυ βίον, μετὰ δὲ ταῦτα τὸν ἀρχιερατικὸν πονήρη καὶ τὴν κίθαρην ἡμφέεσαστο, εἰ βούλει δέ, καὶ τὴν ἐπωμίδα. Τούτο δὲ συνειβούλευσεν ἡ καίσαρ Ἰωάννης, ἡ πρὸς πατρός αὐτῆ φείας, τὸ κοῦφον εἰδῶς τὸν τηρικαστα κρατοῦντος καὶ μή τι πᾶσι δεινότερον δεδιῶς.

გადავუხვიე, უნდა დავუბრუნდე კვლავ იმ ადგილს, საიდანაც გადავუხვიე.

ის რომბერტი უჩინარი კაციდან, სრულიად შეშთხვევით, სახელგანთქმულ კაცად იქცა. დიდძალი ჯარი შემოიკრიბა თავის გარშენო და იმას მისდევდა, რომ რომაელთა თვითმზყრომელი გამიდარიყო, და, როგორც ჩანს, რომაელთა წინააღმდეგ მტრობისა და ომის გასაჩაღებლად საპატიო საბაბის მომიზეზებდას აპირებდა. ორგვარად ხსნიან ამას. ერთნი ამბობენ (და ეს გავრცელებულია და ჩემს ყურამდეც მოაღწია), რომ ერთი მონაზონი, სახელად რექტორი, თავისთავს ნიხილ შეფედ აცხადებდა და ამ რომბერტთან მივიდა როგორც საკუთარ უბედურებათა შესახებ.

მიხეილი ხომ რომაელთა სახელმწიფოს ტახტზე ავიდა დიოგენეს შემდეგ, მაგრამ დიდ ხანს არ უმეფია: ოგი ტახტიდან ჩამოაგდო მის წინააღმდეგ აჯანყებულმა ბოტანიატემ, რის შემდეგაც ბერად აღიკვეცა, ხოლო მერე არქიელის პოდირიც ჩაიკვეა. გვირგვინიც დაიხურა და, თუ გინდა, სამხრეც. ეს გადააწყვეტინა მას იოანე კესარმა, ბიძამ, მამის ძმამ, რომელმაც კარგად იცოდა მაშინდელი მმართველის სიმჩატე და ეშინოდა— უარესი არაფერი შეემთხვეს ჩემს ძმისწულსო.



Τούτον ὑπεκρίθη ὁ εἰρημῆνος μοναχὸς ἐκεῖνος: Ῥαίκτωρ ἦ καὶ ὡς οὕτως εἰπεῖν ῥέκτης τῶν ἀπανταχοῦ τοιμηρότατος. Πρόσεσι τε τῷ Ῥομπέρτῳ ὡς θῆται συμπενήθῃ καὶ τὰ τῆς ἀδικίας ἐκτραγῶδει, ὡς κατὰ τὴν μὲν τῶν βασιλικῶν φρόνων καὶ εἰς ὅπερ σχῆμα τούτου ἐρώη περιελθεῖν. Καὶ διὰ τούτων πάντων εἰς ἄμυναν ἐξεκαλεῖτο τὸν βάρβαρον. Τὴν γὰρ καλὴν φησι μείρακα τὴν αὐτοῦ νύμφην Ἑλένην ἀπερίστατον καταλείψαι: καὶ χήραν ἀντικρὺς τοῦ νυμφίου. Τὴν γὰρ εἶδὼν Κωνσταντῖνον καὶ τὴν βασίλειδα Μαρίαν προσρῆλαι τῷ Βοταναιάτῃ καὶ ἄκοντας διὰ τὴν τυραννίδα ἐβόα. Ταῦτα λέγων παρῶξυνέ τε τὸν θυμὸν τοῦ βαρβάρου καὶ πρὸς πόλεμον κατὰ Ῥωμαίων ἐξόπλιζε.

ესის ნების წინააღმდეგ, ქვემო მოიხარეს ბოტანიიტეს ტირანობის წინაშე. ასე ეუბნებოდა ის რომბერტს, რომლის რისხვა გამოიწვია და რომელიც წააქეზა რომაელთა

Τοιοῦτος μὲν λόγος διακρηῖ μου τὰς ἀκοάς, καὶ οὐκ ἔχω γὰρ διὰ θάξματος, εἰ τινες ἀδοξότατοί τινες τοὺς ἐπὶ θόξῃς καὶ γένους εὐγενούς ὑποκρίνονται. Ἐτερος δὲ με περιβομῶει πιθάνωτερος λόγος ἐτέρωθεν φημιζόμενος, ὡς οὕτε μοναχὸς τις τὸν βασιλέα Μιχαὴλ ὑπεκρίνατο οὕτε τοιοῦτόν τι τὸν Ῥομπέρτον πρὸς τὸν κατὰ Ῥωμαίων ἐκίνησε πόλεμον, ἀλλ' αὐτὸς ὁ βάρβαρος πολυτροπιότατος ὢν τὰ τοιαῦτα

ესა იმ ზემოხსენებულმა ბერმა რექტორმა, უკეთ რომ ვთქვათ Ῥέκτες-მა, ჟ. ი. აჯანყებათა უსაზიზღურესმა მოთავემ, სწორედ ამ მახეილის სახე მიიღო მოჩვენებით და გამოცხადდა რომბერტთან როგორც ვითომცდა თავის მძახელთან, შესჩვილა მას ამდენი უსამართლობა ნომაცუნესო, ე. ი. საბეფო ტახტი წაართვეს და უნდა ჩამდგარიყო ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც ამჟამად ხედავს მას რომბერტი. და ამიტომ სთხოვს ბარბაროსს დახმარებას. აი, ეუბნება, შენი ლამაზი ასულიც, ელენე, ჩემი ვაჟის საცოლლე, რჩება უმწყო მდგომარეობაში, თითქმის ქვრივად საქმროს უმიხსოდ. აი, ჩეცო ვაჟი კონსტანტინეც და დედოფალი მარიაშიც უვირის ის—იმით ვადარჩენ, რომ, თავისი ნების წინააღმდეგ, ქვემო მოიხარეს ბოტანიიტეს ტირანობის წინაშე.

ასეთი ამბავი მოვიდა ჩემ უურამდე, და მე არ მიმაჩნია საკვირველებად, რომ ზოგიერთი მღაბით პირი წარჩინებული და დიდგვარიანი კაცის სახეს ლებულობს. მაგრამ ჩემამდე მოაღწია მეორე, უფრო სარწმუნო ხმამ, სახელდობრ, რომ არავითარი ბერი არ მოსულა მიხეილ მეფის სახით და ამას არ წაუქეზებია რომბერტი რომაელთა წინააღმდეგ საომრად; ყველაფერი ეს გაიძვერა ბარბაროსმა მოაწყო.



ῥαδίως ἐπλάττετο. Ἐχει γὰρ ὁδε τὰ ἐφεξῆς. Αὐτὸς μὲν, ὡς φασιν, ὁ Ῥομπέρτος ῥαδιουργότατος ὢν καὶ τὴν κατὰ Ῥωμαίων ὁδίωνων μάχην καὶ πρὸ πολλοῦ πρὸς τὸν πρόλειμον παρασκευαζόμενος ἐκωλύετο... Ἐντεθεθεν τὰ πάντα δραματουργεῖ καὶ σκηνὴν περιτίθησιν, ὡς ὁ βασιλεὺς εἶη Μιχαὴλ ὁ μοναχὸς ἐκείνος, ὡς καθαιρεθεῖη τῶν φρόνων, ὡς τὴν γυναῖκα καὶ τὸν παῖδα καὶ τὰλλα πάντα πρὸς τοῦ Βοτανειάτου τυράννου ἀφαιρεθεῖη, καὶ ὡς τοῦτον ἀδίκως καὶ παρὰ πάντα δίκαιον λόγον ἀντὶ τῆς ταινίας τε καὶ τοῦ διαδήματος τὸ μοναχικὸν περιέθεντο σχῆμα (Anna Comnena, ed. Reifferscheid, I, p. 40, 26—42, 30; 43, 22—27).

ამბობენ, საქმე ასე იყო: ეს უდიდესი გაიძვერა რომერტი, რომელთა წინააღმდეგ ომს რომ აპირებდა, დიდი ხნით აღრე შეუდგა სამზადისს, თუმცა მას წინააღმდეგობას უწყევდა... და გაითამაშა ეს ღრამა როგორც სცენაზე, ე. ი. რომ ვითომ ის ბერი იყო მეფე მიხეილი, რომ ის ტახტიდან ჩამოგდეს, რომ ტირანმა ბოტანიატემ წაართვა მას ცოლი (მარიამი), ვაჟი და სხვა ყველაფერი, რომ უსამართლოდ და წინააღმდეგ ყოველივე უფლებიან აიძულა სამეფო სამკაულები და გვირგვინი გაეცვალა ბერის ანაფორაზე.

**მარიამის ვაჟი კონსტანტინე ალექსი კომნენოსის თანაკეთხარია**

1. 15. Καὶ ἄμα ὁπότεν κατὰ τὴν Σάλερνον ἦν, πρέσβυν ἐξαποστέλλει τινὰ τῶν ἀμφ' αὐτὸν μεγαστάνων Ῥαοὺλ ἐπονομαζόμενον πρὸς τὸν βασιλέα Βοτανειάτην ἦδη μετὰ τὸν αὐτοκράτορα Δούκαν τῶν σκήπτρων ἐπιληγμένον· ἐκαρὰδὸκει καὶ τούτου τὰς ἀποκρίσεις. Αὐτῷ τε γὰρ ἐπέπόμε: μὲμψεις τινὰς καὶ προφάσεις θῆθεν εὐλόγους τοῦ προκειμένου πολέμου, ὅτι τὴν θυγατέρα μνηστευθεῖσαν τῷ βασιλεὶ Κωνσταντίνῳ, ὡς ὁ λόγος φθάσας ἐδήλωσε, τὴν μὲν ἀπέλευσε τοῦ νυμφίου, τοῦ δὲ

როდესაც ის (ე. ი. რომერტი) სალერნოში იყო, ერთი თავისი დიდებულთაგანი, სახელად რაული, ელჩად გაგზავნა მეფე ბოტანიატესთან, რომელსაც უკვე თვითმყრობელ მიხეილ დუკას შემდეგ ხელში ჩაეგდო სამეფო ტახტი. რომერტი მოუთმენლად ელოდა მის პასუხს. ბოტანიატესთვის მას ზოგიერთი საყვედურები შეეთვალა და მოსალოდნელი ომის თითქოს საპატიო საბაბს უყენებდა, რომ, მაგალითად, მან (ბოტანიატემ) რომერტის ქალიშვილი, რომელიც დანიშნული იყო კონსტანტინე მეფე-



παπτωκός ηκηκός. \*) γάρ έμὸς  
 πατήρ τῆς βασιλείας ἐπιδραξάμε-  
 νος, ὡς ὑστερον διηγῆσμαι, τὸν  
 Βοτανειάτην τῶν βασιλείων ἐξή-  
 λασε καὶ τὸν τὸν Δούχα υἱὸν  
 τὸν περιφανίστατον Κωνσταντι-  
 νον ἔχεινον ἐν τοῖς ὄψ' ἦλθον προ-  
 σηκάμενος μετεβίβου<sup>1</sup> αὐτῆς βα-  
 σιλείας (cf. Reif. 50,31—51,30).

დროს, მომხდარი ამბების შესა-  
 ხებ მოისმინა. მამა-ჩემს ხელში  
 ჩაუგდია სამეფო ტახტი<sup>1</sup>, რის  
 შესახებაც მე უფრო გვიან ვიამ-  
 ბობთ, ბოტანიატე გაუძევებია  
 სასახლიდან<sup>2</sup> და ღუკას ვაჟი,  
 მზის ქვეშ მყოფ ადამიანთაგან  
 ყველაზე უფრო ბრწყინვალე  
 კონსტანტინე დაუბარე-  
 ბია და კვლავ მისთვის გაუნაწილებია სამეფო ტახტი.

<sup>1</sup> ლაპარაკია იმაზე, რომ 1081 წელს ალექსი კომნენოსმა (ანნას მამამ) ტახ-  
 ტიდან გადმოაგდო ნიკიფორე ბოტანიატე.

<sup>2</sup> ამ თავში ანნა კომნენე გადმოგვცემს იმ ამბავს, რომ 1081 წელს კვლავ  
 გადატრიალება მოხდა ბიზანტიის სამეფო კარზე; ალექსი კომნენოსმა (რასაკვირ-  
 ველია, დედოფალ მარიამის დახმარებით. რახელაც ქვემოთაა კიდევ ლაპარაკი)  
 ტახტიდან გადმოაგდო ნიკიფორე ბოტანიატე და თვითონ გააყვდა. შემდეგ,  
 ისტორიკოსი გვიამბობს, რომ ალექსიმ მიიწვია მიხეილ VII ღუკას ვაჟი კონ-  
 სტანტინე (მარიამის შვილი) და „კვლავ გადასცა მას სამეფო ტახტი“. უკა-  
 ნასკნელი გამოწამყვანი ზოგიერთ გაუგებრობას იწვევს, სახელდობრ: 1) ალექსიმ  
 ტახტიდან ჩამოაგდო ბოტანიატე და თვით დაჯდა ტახტზე; 2) მან მიიწვია  
 კონსტანტინე, რომელიც მასი მამის მიხეილ VII ღუკას გადაყენების შემდეგ  
 კონსტანტინე შემყვიდრედ ითვლებოდა სამეფო ტახტზე ასახველლად; 3) ცნობილია  
 ისიც, თვით ანნა კომნენეს გადმოცემით (ალექსიად I, 15; იხ. აქვე ხემოთ გვ. 44),  
 რომ ბოტანიატემ ჩასთართვა სამეფო ძალაუფლება კონსტანტინეს. ამიტომ ბუნე-  
 ბრივია იმის თქმა, რომ ალექსიმ დაუბრუნა სამეფო ტახტი კონსტანტინე ნიკიფორე-  
 რეს, კონსტანტინეს. მაგრამ, ამავ დროს, იმავე ანნა კომნენეს ნათქვამი აქვს  
 ემაშაქმს ხელში ჩაუგდია სამეფო ტახტიოა. ეს ადგილი სხვადასხვანაირად აქვთ  
 გაგებული ანნა კომნენეს „ალექსიადის“ მთარგმნელებს.

1) Отца мой, призвав... Константина, снова передал ему царство (სახუ-  
 ლეროა ეკადენიის გამოცემა, 1859, გვ. 69).

2) ...had again given him a share in the government («კვლავ მისცა  
 მას წილი მთავრობაში» — E. Dawes-ის თარგმანი).

3) Призвал к себе... Константина, и сделал его своим соправителем  
 (ლიუბარსკის თარგმ. გვ. 86).

თუ რომელი ამ გაგებათაგანი უფრო სწორია, ანას გადაწყვეტს ხანა *μυτε-  
 ρότου*. ხანა *μυτερότου* ნიშნავს „წილს დაეუღებ“, „მონაწილეუ გაებდი“. ასე  
 რომ „снова передал ему царство“ არ იქნება მართებული. მეორე მხრით,  
 არც „сделал его своим соправителем“ იქნება ხედმაწვენიოთი, ალექსიმ  
 „თავის თანამმართველად“ კი არ გაიბადა, არამედ მას „მმართველობაში მონა-  
 წილეობა კვლავ მისცა“. ესე იგი: ტახტის კონსტანტინე მიეკვიდრე კონსტანტინე, რო-  
 დესაც მამა-მისის გადაყენების შემდეგ ნიკიფორე ბოტანიატე გახდა მეფედ, ყოფილა  
 ამ მეფის „თანამმართველი“; ბოტანიატეს განდევნის შემდეგ მას ჩამოერთვა „თანა-

## დედოფალი მარიაში და ბოტანიატე

I, 16. Δούξ δὲ τῆν:καὶτα ἐτύγ-  
 χανε παντὸς τοῦ Ἰλλυρικῶν Γεώρ-  
 γιος ὁ Μονομαχάτος παρὰ τοῦ  
 αὐτοκράτορος Βοτανειάτου ἀπο-  
 σταλείς. Καίτοι: πρότερον τῆν  
 ἀποστολὴν ἀπεπέμπετο καὶ οὐδ'  
 ἔλως ἦν εὐπειθής πρὸς τῆν λει-  
 τουργίαν ταύτην, ἀλλ' οἶ γε βάρ-  
 βαρο: θεῖλοι: τοῦ αὐτοκράτορος  
 (Σκῦθα: γὰρ ἦσαν Βορῖλς τε  
 καὶ Γερμανός) ἐνεχότουσ τε τῆ  
 Μονομαχάτῳ καὶ αἰεὶ τι θεϊνότε-  
 ρον κατ' αὐτοῦ ἐνοσῶντες κατεί-  
 πον αὐτοῦ πρὸς τὸν αὐτοκράτορα  
 συρράψαντες, ἕποσα γε καὶ βε-  
 βούλοντο, καὶ τοσοῦτον ἀνέφλε-  
 ξαν τὸν τοῦ βασιλέως κατ' αὐτοῦ  
 θυμὸν, ὡς ἐπιστραφέντα ποτὲ  
 πρὸς τῆν βασιλίδα Μαρίαν ἐρεῖν  
 „ἐχθρὸν τῆς τῶν Ῥωμαίων ἡγε-  
 μονίας τὸν Μονομαχάτον τοῦτου  
 ἐπώπτευκα“. Τοῦτο ἀκροασάμε-  
 νος Ἰωάννης ὁ Ἄλανός, φίλος  
 ἐς τὰ μάλιστα ὢν τοῦ Μονομα-  
 χάτου, γινώσκων δὲ καὶ τῆν τῶν  
 Σκυθῶν πρὸς αὐτὸν μῆνιν καὶ

მთელი ილირიკის დუკი იყო  
 იმ დროს გიორგი მონომახატი,  
 რომელიც იქ ვაგზავნა თვით-  
 მპყრობელმა ბოტანიატემ. ჯერ  
 უარს ამბობდა ის ამ თანამდებ-  
 ობაზე და არც თუ სრული მორ-  
 ხილებით ღებულობდა ამ ახალ  
 თანამდებობას, მაგრამ თვით-  
 მპყრობელის მონები, ბარბარო-  
 სები (ესენი იყვნენ სკვითები  
 ბორილე და გერმანე) შურით  
 იყვნენ აღესილი მონომახატის  
 მიმართ, ყოველთვის საშინელ  
 რალაცეებს იგონებდნენ მის წი-  
 ნალმდეგ და თვითმპყრობელს  
 ეუბნებოდნენ იმაზე ყველაფერს,  
 რაც უნდოდათ; ბოლოს, ისეთი  
 რისხვა დაუნთეს მეფეს იმის წი-  
 ნალმდეგ, რომ ერთხელ მან (მე-  
 ფემ) დედოფალ მარიაშის  
 მიმართა ასეთი სიტყვებით: „ეჭვი  
 მაქვს, რომ ეს მონომახატი რო-  
 მელთა ხელისუფლების მტე-  
 რია“. ეს სიტყვები გაიგონა  
 იოანე ალანმა, მონომახატის სა-  
 უკეთესო მეგობარმა, რომელმაც

<sup>10</sup> გაინუსსა (ვაგარელი, ჟორდანია).  
<sup>11</sup> 6589 წელი უდრის 1081 წელს (6589—5508=1081).  
<sup>12</sup> ბერძნული IV ინდიკტიონი უდრის 1081 წელს.  
<sup>13</sup> და მოღუაწებითა < (ვაგარელი, ჟორდანია).  
<sup>14</sup> თარგმანად Bl.  
<sup>15</sup> საღმრთოთა < (ვაგარელი, ჟორდანია).  
<sup>16</sup> ელლინურისაგან (ვაგარელი, ჟორდანია).  
<sup>17</sup> მიეცინ — საუკუნოდ < (ვაგარელი, ჟორდანია).

ბაჲ კეთილთაჲ აქაცა და საუკუნოდ! ხოლო საბერძნეთს დედოფლო-  
 ხასა მართა<sup>1</sup> მისვე<sup>2</sup> გიორგის დისასა, და მეფობასა ნიკიუორე ბოტო-  
 ნიოტისა<sup>3</sup> და ალექსი კომნიანოსისა<sup>4</sup>, მას ქაშსა ოღეს ბაგრატიის  
 ა. ული, მარიამ დედოფალი, აღმოსავლეთით კოსტანტინეპოლეს შუქო-  
 ფიდაჲ (ათონის ივერთა მონასტრის XI ავეკუნის ხელნაწერის მინაწერი: ალ. ცა-  
 გარელი, Сводення I, გვ. 80; თ. ჟორდანიია, კრონიკები I გვ. 28-229;  
 R. Blake, Catalogue des manuserits géorgiens de la Bibliothèque de  
 la Lure d' Iviron au mont Athos, Paris 1932—934, გვ. 118—121; კ. ავეკუ-  
 ლიძე, ბიზანტიური მეტაფრასტაკა და ქართული აგიოგრაფია: თსუ ზროაები  
 XXX ს, 1947, გვ. 25; კ. ავეკულიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I,  
 1961, გვ. 245).

### მარიამ დედოფალი დავით აღმაშენებლის მეფობას მოხწრება

ღირს ვაქმენ მე უღირსი ეგნატი სახელით ოღენ ხუცესმონაზონი,  
 ხოლო საქმითა და გონებითა უღები, აღწერად წმიდასა ამას წიგნსა,  
 თარგმანებასა წმიდისა სახარებისსა, განმანათლებელსა უოველთა ეკლე-  
 ზიათასა, ღთივ აღშენებულსა უდაბნოსა შინა წყაროხსათავს, სენაკსა  
 შინა ნეტარისა ბერისა ეფთუმესსა, რომლისაცა ფერჯთა თანა აღზრდილ  
 ფიყავ, და შევწირე ეკლესიასა წყაროხსათავისასა აღსადგომელსა მქსნე-  
 ლისა და მაცხოვრისა ჩუენისა ი. ჯ. ქა, სადიდებელად და სალოცველად  
 ღთივ გურგუნოსანთა მეფეთა ჩუენთა სულითა განათლებულისა კურთ-  
 ზეულისა დედოფლისა მარიამისა<sup>5</sup> და ძმისა მათისა გიორგი  
 მეფეთა-მეფისა და კესაროსისა, და ძისა მათისა დავით მეფისა და  
 სევასტოსისა და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისა და  
 განზრდელისა ჩემისა მამისა ეფთუმესა<sup>6</sup> (ხელნაწერი A—136, გვ. 391a;  
 ხ. ლნაწერი შეაცავს წყაროხსათვის „მათჲა სახარების თარგმანებას“).

<sup>1</sup> მართა[ისსა] (ვეკულიძე).

<sup>2</sup> მისივე (ც. გარელი, ჟორდანიია).

<sup>3</sup> ბოტანატისა (ც. გარელი, ჟორდანიია).

<sup>4</sup> კომნიანოსთა (ც. გარელი), კომნიანოსასა (ჟორდანიია).

<sup>5</sup> თ. ჟორდანიია: გვ. მუხ. № 134, მართა-ყოფილი მარიამ.

<sup>6</sup> თ. ჟორდანიია ურთავს შენიშვნას: „აქედან ჩანს, რომ მეფენი გიორგი და დავით ერთად მეფობდნენ. ეს მტკიცდება აგრეთვე ჩვენის კრონიკით... ელენე დედოფალი აკამოზდე უცნობი პირი იყო ჩვენის ისტორიისა. რომ დავით აღმაშენებლის დედას ერქვა ელენე, ეს ჩანს აგრეთვე შიო-მღვიმის ტყავზე ნაწერი ტიბიციონისგან და საეკლ. მუხუდუმში დაცულის გელათის გულანისაგან“ (კრონიკები I, 234).



1103 წელს მარიამ დედოფალი ცოცხალია

«ძეგლის წერაში, რვის-ურბნისის I.03 წლის კრების დადგენილების ბოლოში დასწვრივ პირადად შორის მოხსენიებულია მართა-ყოფილი მარიამ დედოფალიც, როგორც უკვე ვიხსენებდეთ ცოცხალი».

«ძეგლის წერაში წმინდისა და ღთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრება ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღთივ დაცველისა მეფისა ჩუენისა და ვითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა...» (თ. შორდანი, კრონიკები II, 56)

«კეთილად მსახურისა და ღთის დაცველისა მეფისა ჩუენისა, გიორგი მეფეთა მეფისა, და უოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა, მრავალმცა არიან წელნი».

«კეთილად მსახურისა და ღთის მოუყარისა დედოფლისა ჩუენისა მართა [ავლუსტინაი]სნი მრავალმცა არიან წელნი და ქანნი».

«დავით ღთის მსახურისა [და ღთივ დაცველისა] მეფისა [ჩუენისა] აფხაზთა და ქართველთაჲ, რანთა და კახთა თუთმპყრობელისა, მრავალმცა არიან წელნი» (კრონიკები II. 70; A-70, გვ. 494 b) 1.

მარიამ მართა-ყოფილი

«თუესა ნოენბერსა: კა: აღაპი არს დედოფლისა ჩუენისა მარიამ მართა-ყოფილისა და ძისა მათისა კოსტანტინე პორთიოგენისაჲ: დიდთა და მრავალთა ქველის მოქმედებთა მათ-

1 აქ მოხსენიებულ მართა დედოფლის შესახებ თ. შორდანი შენიშნავს: «ეს მართა ბაგრატ IV-ის ქალი და იმპერატორის მიქელ დუკის ცოლი (შეიქმნა 1071 წ.), რერენთაგან „მარიამად“ წოდებული, ქმრის სიკვდილის შემდეგ (1078) დაბრუნებულა საკართველოს, ხოლო 1081 წელს სელჯუკთაგან საქართველოს აღიარებისა გამო იგი აბერძნეთს წასულა; და რა ქართველობა იხვე გაძლიერებულა, იხვე სამშობლოში დაბრუნებულა და 1103 წლის კრებასა დასწვრივია».

თ. შორდანიას ამ შენიშვნებში, ზოგიერთი რამ კორექციის საჭიროებს:

1) «ძეგლის წერაში» მოხსენიება ამა თუ იმ პირისა სრულად არ ნიშნავს იმას, რა ის ამ კრებას დაეწყო.

2) მარიამ დედოფალი თავის ქმრის მიხედვით დუკას გარდაცვალების შემდეგ ცოლად გასცა ნიკიფორე ბოტანატეს და არ არის დასაჯერებელი, რომ ის ბიზანტიის წამოსულიყო. მას შეეძლო წამოსვლა 1081 წელს, როდესაც ნიკიფორე ბოტანატე გადაეცა ალექსი კომნენისსა. რასაც ჭკულისსიმობს, ალბათ, ზეოთ მოუყენილი, ბინაწერა „მე რაფრასის“ ხელნაწერისა: «მას ვამა რდეს ბგრტის ასული, მარიამ დედოფალი, აღმოსავლეთით კოსტანტინეპოლეს შემოვიდა» (იხ. ზემოთ გვ. 116).

თათუხ, რომელ აჩუენნეს ჩუენ ზედა: პირველად განგუათავისუფლ-  
ნეს სიკრიტონისაგან რომელნი მესოლიმნისათუხ გუთხოვდეს  
ზუთსა ლიტრასა, მათ მისცეს განძი ესე და აღმოგოცეს მისოლიმნი  
სიკრიტონისაგან. და კუალად სხუათა პრასტინთათუხ და მელინძათათუხ  
ლიად ილუაწეს მეფეთა თანა, და მერმე მოსცეს ძმათა გასაყოფლად  
ლიტრაჲ: ვ. ამის უოვლისათუხ გარდაიქდებოდის ალაჲი მათი, ვითარცა  
მამის დედისა მათისათუხ სწერია მით წესითა, ანაფორაჲთა და უოვ-  
ლითა ნუგეშინის ცემითა ძმათაჲთა, ეწდიოს მწუხრსაჲ გ და სამხრად  
ზუთხუთი» (ათონის კრებული, გვ. 259, № 133).

ზემოთ მოყვანილი ქართული ცნობებიდან ირკვევა შემდეგი:

1) ბაგრატ IV-ის ასული მართა დედოფალ თეოდორას მოთხოვნით აღსა-  
ზრდელად ჩაუყვანიათ კონსტანტინეპოლში გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება 306).  
ვინ იყო ეს თეოდორა? იგი იყო კონსტანტინე VIII-ის ასული, ბასილ II  
ბულგართმეფის ძმისწული. ჯერ მეფობდა 1042 წელს, ხოლო კონსტანტინე  
VIII-ის შემდეგ (იგი გარდაიცვალა 1054 წელს), იგი, უკვე მოხუცებული, გაამე-  
ფს (1054—1058 წ. წ.). გარდაიცვალა 72 წლისა.

2) თეოდორას გარდაცვალების შემდეგ (1056 წ.) დუკიწმან მოითხოვა  
მართა რძლად, და, როდესაც გიორგი მთაწმინდელი საქართველოში ყოფნის  
შემდეგ დაბრუნდა კონსტანტინეპოლში, კონსტანტინე დუკიწმან რძლად  
მოიყვანა მართა.

რომელია ეს დუკიწი, ანუ კონსტანტინე დუკიწი? ეს შეიძლება იყოს მხო-  
ლოდ კონსტანტინე X დუკა, რომელიც მეფობდა 1059—1067 წლებში.  
რლად მოიყვანაო რომ ამბობს ისტორიკოსი, ესე იგი მოიყვანა მიხეილის საცო-  
ლედ: ეს იყო კონსტანტინე X-ის და ვედოკიას უმცროსი ვაჟი; მისი მასწავლ-  
ბელი იყო მიქელ ასელოსი.

3) ქართველთა მეფის ასული მართა-ყოფილი მარიამი არ იეწყებს თვის-  
ტომთ ბიზანტიის დედოფლად ყოფნის დროს და ათონის ივერთა მონასტრის  
მიმართ მრავალ ქველისმოკმედებას აჩუენებს (ათონის კრებული, გვ. 250; ალაჲი  
№ 133) <sup>1</sup>.

ამ უჯანსკნელ საალაჲო ცნობასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვი-  
გონოთ, რომ მარიამ მართა-ყოფილს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს პეტრი-  
წონთანაც. ანნა კომნენეს «ალექსიადაში» (IX, 5) ვკითხულობთ, რომ მარიამ  
დედოფალს მამულები აქვს პეტრიწონშიც (იხ ზემოთ. გვ. 89, 107—108). სადაც  
ერთბელ ხაჲი შეაფარა მარიამის მახლმა ნიკიფორე დიოგენემ (მიხეილ VII დუკას  
ნახიარ-ძმამ):

<sup>1</sup> ამ ალაჲის ცნობის მნიშვნელობის შესახებ იხ. ნელი მახარაძე, ტერ-  
მინ „მისოლიმნის“ გაგებისათვის: საქ მეცნ. აკადემიის მოამბე, 1964 წ.  
გვ. 247—254.

ვედოკია მაკრემეოლიტისა<sup>1</sup>

კონსტანტინე X დუკა (1059—1067)  
(ვედოკიას პირველი ქმარი)

რომანოზ IV დიოგენე (1067—1071)  
(ვედოკიას მეორე ქმარი)

მიხეილ VII დუკა  
(მათი შვილი)

ნიკიფორე დიოგენე  
(მათი შვილი)

ნიკიფორე დიოგენეს შესახებ ანა კომნენეს მიერ აღწერილი ეს ამბები (მისი გამოხდომა ალექსის წინააღმდეგ, ამ ცდის დამარცხება და მისი თავშეფარება პეტრიწონში) თარიღდება 1094 წლით, როდესაც, მაშასადამე, პეტრიწონის სავენუჯე მოწყობილია გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ (1083 წელს).

II

ანა კომნენეს ცნობები იოანე იტალოსის შესახებ

თუმცა ის ნაწყვეტები ანა კომნენეს შრომიდან, რომლებიც ჩვენ მოვიყვანეთ ზემოთ გვ. გვ. 93—99, უშუალოდ არ ეხება საქართველოს, მაგრამ ისინი ეხება იოანე იტალოსს, რომლის მოღვაწეობა შვიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის ფართოდ გაშლილ რენესანსულ ძეგლობასთან ამავე დროს, ანა კომნენეს მიერ V, 8—9 თავებში წარმოდგენილი დაბასიათება განმოქმედი ბიზანტიელი ფილოსოფოსისა სამართლიანად ითვლება მეცნიერებაში XI საუკუნის ბიზანტიის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების საუკეთესო მიმობილად.

ამ მიმობილებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი ადგილები:

1) ანა კომნენეს თქმით (V, 8; იხ. ზემოთ გვ. 96) იოანე იტალოსი «ღრმად შეიკრა დიალექტიკაში და ყოველდღიურ არგვ-დარევას იწყვედა შეგროვებულ ხალხში იმით, რომ სოფისტიკურ აბდა-უბდას თხზავდა და ყველაფერს, რაც კი რამეს ასეთს წამოაყენებდა, მაშინვე მიუყენებდა ამნაირსავე დასაბუთებასა. მართალია, ანა კომნენე, როგორც შვილი ალექსი კომნენოსისა, რომელიც არ იზიარებდა იოანე იტალოსის მეთოდებს, იოანეს დებულებებს «ხოფის-

<sup>1</sup> ეს ცხრილი მოგვეყვას იმიტომ, რომ გამოთქმულია ახრი, თითქოს მიხეილ VII დუკა და ნიკიფორე დიოგენე დედით-ერთი ძმები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ გერი-ძმები. იაკ ლიუბარსკის მიერ ნათქვამი (გვ. 254: Мария при-близила к себе Никифора как сводного брата преемного императора, ее мужа Михаила Дука) უნებლიე ლაფსუსი უნდა იყოს, რადგან ბერძნულში ნათლად სწერია ძმადგმბს *Μηχα μνηστέρμω* («ძმა იყო დევის მზრით»), ხოლო შემდეგ თვით იაკ. ლიუბარსკი წერს: они были единоутробными братьями от разных отцов. რუსული «сводный брат» არ ნიშნავს «ნახევარ-ძმას», ის ნიშნავს «გერი-ძმას», რომელიც მოჰყვან დედინაცვალს, რომელიც მეორე-ჯერ გათხოვდა, ან მამინაცვალს, რომელმაც მეორე ცოლი შეირთო.

ტიკურ აბდა-უბდას (*σοφιστικὰς ἐροηχελίας*) უწოდებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ის არის ხაზგასმული, რომ იოანე იტალოსი ყველაფერს (იგულისხმებოდა) დოკტორულ საკითხებს) «დასაბუთებდას მიუხედავად» ხალაყ. ე. ი. არ კმაყოფილდებოდა აა დებულებათა რწმენით და, მსგავსად მიქელ პსელოსისა, დოგმატიკის დასაბუთებდას იმოთხოვდა (იხ. ზემოთ გვ. 2—3).

2) მართალია, აღეკისი კომენტარის ძალიან ზრუნავდა მეცნიერების განვითარებაზე და, როგორც ამბობს ანნა კომნენე, მან «საჩუქროდ მიიღო ზომები, რომ მოეგროვებინა ეს ნაპერწკლები და ვისაც კი მეცნიერებისადმი მიდრეკილება ჰქონდა, მათ დაუცხრომლად აქვებდა სწავლისათვის» (იხ. ზემოთ გვ. 103—104), მაგრამ ეს სწავლა მას ისე კი არ ემსოდა როგორც იოანე იტალოსს (და წინათ მიქელ პსელოსს). არამედ ის მოუწოდებდა ანაღვანობებს «სადღვთო წიგანების შესწავლისათვის მიუკატეხირატეაობა», ხოლო ელინურ განათლებებისათვის ნაკლები ყურადღება მიექციათ (იქვე, გვ. 104). ე. ი. ნაკლები ყურადღება მიექციათ იმისათვის, რასაც იოანე იტალოსი ქადაგებდა

რადგან იოანე იტალოსი განაგრძობდა «ეკლესიის დოკტრინის მართლად აგდებას» (პატრიარქ ევსტრატოს გაროდას დროს), ავი, იოანე იტალოსი, გაასამაოლეს და, ანნა კომნენეს თქმით, «თვრთმეტ თავად იქმნა იტალოსის ბოროტი დოგმატიკი ჩამოყალიბებულა» (იხ. ზემოთ გვ. 105).

3) დასასრულ, შევიჩრდებით ალექსიადისა ტექსტის იმ ადგილზე, სადაც ანნა კომნენე რწყებს თბრობას იოანე იტალოსის შესახებ. სახელდაპირ, ეს თბრობა იწყება შემდეგი სიტყვებით:

*Και τοῖτοις γὰρ και τὰ κατὰ τὸν Ἰταλὸν ἐβλάστησαν μεγάλως τὴν ἐκκλησίαν συνταραχίστρια* «ამ ხანებში აღმოცენდა და გავრცელდა იტალოსის მოძღვრება, რომელმაც ძალიან შეაშფოთა ეკლესია» (იხ. ზემოთ გვ. 93), ასე არის ალექსიადისა ყველა ნუსხაში, ხოლო როგორც გადმოვცემს ალექს ალსა პირველი ტომის გამოცემელი Ludovicus Schopenus. ერთ-ერთ ხელნაწერში (G) ეს ადგილი ასე იკითხება: *Και τοῖτοις γὰρ και τὰ κατὰ τὸν Ἰταλὸν περὶ τῆς αἰρέσεως τοῦ Ἰταλικῶν ἐβλάστησαν μεγάλως τὴν ἐκκλησίαν* — «ამ ხანებში იტალოსის მოძღვრება [შესახებ იტალიელთა წვალებიდან] აღმოცენდა და გავრცელდა, რომელმაც ძალიან შეაშფოთა ეკლესია». ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ G-ხელნაწერი, სხვა ნუსხებთან შედარებით, შედგენილი აქვს *περὶ τῆς αἰρέσεως τοῦ Ἰταλικῶν* («შესახებ იტალიელთა წვალებიდან»), და მართალია ყო გასოაცემელი L Schopenus, რომელმაც ეს სიტყვები ფრჩხილებში ჩასხა და თქვა: ეს მთელი პარაგრაფის სთაფრია, რომელიც ხელნაწერის გადამწერს ტექსტში შეტანილი და ფრჩხილებში ვითავაჯრო (*exco in licem rapitis, qui in textum irrepsit, uncis inclusi*; იხ. *Annae Comnenae Alexiadis libri XV. Volumen I. Bonnae, 1839, p. 25*).

მთელ ამ სახელობაში საგულანხობა: ის, რომ ხელნაწერის გადამწერს (თუ რედაქტორს. ან ცნებთ თვის ავტორს) ცალკე თავად გამოუყვია თბრობა იოანე იტალოსის შესახებ და აა თავისთვის დაურკმევია: *περὶ τῆς αἰρέσεως τοῦ Ἰταλικῶν* — «შესახებ იტალიელის წვალებიდან». ანუ, რაგორც ძველი ქართველი იტყოდა, «შესახებ იტალიელთა წვალებიდან». ამ გარემოებას ჩვენ ვაკვეთ ყურადღებას შემდეგი მიხეხის გათა:

იოანე პეტრიწის „განაგრძების“ ბოლოსიტყვაობაში სწერდა: «...ვინა სადა ყოველთან იტალიელთა წვალებამაჲს ვითარ ტალწულსა პატივისცა და

მიენსახურა (იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II [193], გვ. 217, 26—27). ამის შესახებ ჩვენ ვწეროთ: „უკანასკნელ წინადადებაში უნდა იგულისხმებოდეს იოანე იტალოსის ნიმიდეუართა (ეიტალიელთა) რომელიღაც მწვალბლერი ახრი, ოსხელიც „ეალწულს“ ებებოდა. რომ საკმის ვითარება წორედ ასეთია და რომ აქ იოანე იტალოსი უნდა იგულისხმებოდეს, ამას ადასტურებს ის გაოგოება, რომ იოანე იტალოსისა და მისი სკოლის წინააღმდეგ წამოყენებულ „ბრალდებაში ერთი“ (ცხვესე ბრალდება) მართლაც „ეალწულისა საკითხს ებება იხ. ფ. Успенский. Синодик в неделю православия, Одесса 1898, გვ. 16, წ. 4“ (იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I [193—194], გვ. XV).

ეს ჩვენი შეხედულება გაზარებულ იქნა, კერძოდ, აკად. კ. კველციძის მიერაც (იხ. მისი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I [1940] ხოლო შემდეგ, 1941 წელს, გ. ბ. თევზაძემ თავის გამოკვლევაში „პეტრიწის ბოლოსიტყვაობის ერთი ადგილი გაგებდათვის“ (საქ. ზეცნ. აკად. მოაზრებ. ტ. XVI, № 9) აღნიშნული გამოთქმა „ეიტალიელთა წვალება“ მიაკუთვნა პათაროელებს. ამას კვლობაზე კ. კველიძემაც დასწერა („ქართული ლიტერატურის ისტორია“ I [1960], გვ. 96): „აადებან გაერცელებული ეყო შეხედულება, თითქო ეიტალიელთა წვალება“ აღნიშნავს იოანე იტალოსის მწვალბლობას. ზამდვალად კი ამ სიტყვებს არავითარი კავშირი არა აქვს იოანე იტალოსთან და მის წვალებასთან. აქ იგულისხმებიან პათაროელები, რომელნიც ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილნი არიან ეიტალიელებად“.

ჩვენ ასევე ჩვენს ძველს აზრს ვადგივართ, რომ გამოთქმა „ეიტალიელთა წვალება“ იოანე იტალოსის მწვალბლობას ებება: ამ ახრის სისწორეში კიდევ უფრო დაგვიარწუნა ანნა კომნენეს ცხელწერაში შეტანილი სათაურმა: *παρι τῆς αἰτίας τῆς τοῦ Ἰταλίου*, ოაც ზედმიწევნით უდრის იოანე პეტრიწის გამოთქმას „ეიტალიელთა წვალებაან“, ვ. ი. იოანე იტალოსის მწვალბლობაში.

## ნიკეტა ხონიატე

ნიკეტა ხონიატე XII საუკუნის შუაწლების ისტორიკოსია, დაიბადა ხონენი (Χωναι, ძველი „კოლოსე“). ბავშვობა გაატარა კონსტანტინებოლში, სადაც სწავლობდა თავისი ძმის, მიხეილ ხონიატეს, ხელმძღვანელობით. სწავლის დასრულების შემდეგ იგი სახელმწიფო სამსახურში შევიდა და ისააკ ანგელოსის (1185—1195) დროს კეისრის მდივანი იყო. ხოლო 1189 წლიდან ფილიპოპოლის თემის სტრატეგოსი. 1204 წლის წინ მან მიაღწია ლოგოთეტის პატივს, ხოლო 1204 წელს დატრიალებული კატასტროფის შემდეგ გაიქცა და თავი შეაფარა ნიკეის, სადაც თეოდორე ლასკარის კარზე მსახურობდა. გარდაიცვალა 1213 წელს.

მრავალმხრივი იყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობა:

1) მისი მთავარი ნაშრომია 21 წიგნისაგან შენდვარი „ისტორია“, რომელიც მოიცავს 1185—1206 წლების ამბებს.

2) თხზულება იმ „ქანდაკებათა შესახებ“, რომლებიც დაამსხვრის ლათინებმა (1204 წელს) მხოლოდ ხელნაწერის სახით არის მოღწეული.

3) მასვე ეკუთვნის 1185 წელს დაწერილი პოემა ისააკ ანგელოსისა და მარგარიტას (უზგრეთის მეფის ბელა III-ის ასულის) ქორწინებაზე<sup>1</sup>.

ნიკეტას „ისტორია“ (Ἱστορία) სრულად არის მოღწეული და იქ აღწერილია: იოანე II კომნენოსის (1118—1143), მანუილ I კომნენოსის (1143—1180), ალექსი II კომნენოსის (1180—1183), ანდრონიკე I კომნენოსის (1183—1185), ისააკ II ანგელოსის (1185—1195), ალექსი III ანგელოსის (1195—1203), ალექსი IV-ის (1203—1204) და ალექსი V დუკა მურზუფლეს (1204) ისტორია. შრომის ბოლოს მოთხრობილია ამბები კონსტანტინებოლის დაცემის შემდეგ.

მასალების ამოკრეფის დროს ხელთ გექონდა:

Nicetae Choniatae Historia. Ex recensione Imm. Bekkeri (CB), Bonnæ 1835.

Nicetae Choniatae Historia. PG, 139, 319—1039.

<sup>1</sup> იხ. K. Krumbacher GBL<sup>3</sup> (1897), 231—236; G. Moravcsik. Byzantinoturcica I<sup>3</sup> (1958), 444—450.




Никиты Хонята История, начинающаяся с царства-  
вья Иоанна Комнина. Том I (1118—1185). Перевод В. И. Долоц-  
кого. СПб 1860. Том II (1186—1206). Перевод Н. В. Чельцова.  
СПБ 1862.

Byzantinische Geschichtsschreiber. Band IX: Die Krenzfar-  
her erobern Konstantinopel (აქ არის ნიკეტა ხონიატეს „ისტო-  
რიის“ ის ადგილები ვადმოთარგმნილი, რომლებიც ჯვაროსანთა  
ლაშქრობას ეხება. თარგმნილი და განმარტებულია Franz Grab-  
ler-ის მიერ). Graz, 1958.

### ბიზანტიელი წარჩინებულის ჩაცმულობა

[1180 წელს გარდაიცვალა ბიზანტიის კეისარი მანუილ I (1143—1180). მას დარჩა ვაჟი ალექსი (ალექსი II კომნენოსი, 1180—1183 წ. წ.), რომლის მცირეწლოვანობის გამო — იგი მხოლოდ 13 წლისა იყო — სახელმწიფოს მართავდნენ დედოფალი მარიამი (მარიამ ანტიოქიელი, წარმოშობით ფრანგი) და პროტოსეგასტოსი ალექსი. მათი პოლიტიკა იყო ლათინოფილური და, ამიტომ, გასაგებია ეროვნულად განწყობილი მოსახლეობის პროტესტანტული სულისკვეთება. ამ უკანასკნელთა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ანდრონიკე კომნენოსი, მანუილ კეისრის ბიძაშვილი, 67 წლის მოხუცი.

#### ალექსი I კომნენოსი (1081—1118)



1182 წელს მოხდა აჯანყება ფრანგი (ფრანკი) მარიამის წინააღმდეგ და სამეფოს მხსნელად დასახეს ანდრონიკე კომნენოსი. ჯერ ანდრონიკე გამოაცხადეს თანაკეისრად, ხოლო მალე — ნორჩი მფორე ალექსი II მოაშთვეს და მეფედ აკურთხეს ანდრონიკე.

ქვემოთ მოგვყავს ის აღგილი, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ანდრონიკესთან შოდის დელეგაცია პატრიარქ თეოდოსის (1178–1183) შეთავაზებით, რათა სთხოვონ ანდრონიკეს უსატრონოს სახელმწიფოს]

Πάντων δ' ἐς Ἀνδρόνικον διαπορθμευομένων, λοιπὸς ἐς αὐτὸν περαιούται ὁ πατριάρχης Θεοδοσίος μετὰ τῶν λογίμων τοῦ βήματος<sup>1</sup>. Ὁ μὲν οὖν εἰς τὴν ἑαυτοῦ ἐγγίξειν σκητὴν τὸν μέγαν ἀρχιερέα ἐνωτισάμενος ἕξεισιν εὐθύς πρὸς ὑπάντησιν, σκολὴν ἠμφισιμένους σχιστὴν ἰσβάφινον ἠφῆς τῆς Ἰσηρικῆς, εἰς γόνατα καὶ γλουτοὺς καταβαίνουσαν καὶ πυκάζουσαν τὰ βῶς βραχίονος, καὶ πυραμιδοειγνὴν καλύπτραν τῆ κεφαλῆ περικείμενος, καπνητὴν τὴν χροίαν καὶ πρὸς τῶν ἰππέων χηλῶν βαλῶν ἑαυτὸν ἔκειτο τετανυσμένος μέγας μεγαλωστί (CB 328, 6–14).

[ასეთივე ჩაცმულობა აღწერილი აქვს ისტორიკოსს მაშინაც, როდესაც გადმოგვცემს მეფედ კურთხევის ამბავს]

Τοῦ δ' Ἀνδρ νίκου καταβάντος ἀπὸ τοῦ τυραγνείου ἐς τὸ ἐν Βλαχέρναις βασιλείον, καὶ γενομένου κατὰ τὸν ἐντὸς τούτου ἠφηςεφῆ ὁμόμονος Πόλυτιμος λέγεται, ἐφίσταται: καὶ ὁ βασιλεὺς Ἀλέξιος<sup>2</sup> ἐκ τῶν ἕξωθεν, ἴμοσ

მის შემდეგ. რაც ყველანი გადავიდნენ გ.ღ.მ. ანდრონიკესთან, ზოლოს გადავიდა მასთან პატრიარქი თეოდოსიც, თან ახლდნენ წარჩინებული სასულიერო პირები<sup>1</sup>. ანდრონიკეს რომ შეიტყუო, რომ მის კარავს უახლოვდებოდა დიდი არქიელი, მაშინვე მიეგება მას; ჩაეცვა იცხერი სამოსი, წინ ჩაჭრილი. იბერიული ქსოვილი საგან შეკერილი, რომელც მუხლამდე და დუნდულეზამდე სწვდებოდა და აღარავდა ტანს ვიდრე მკლავამდე; თავზე ეხურა პირამიდული საბურავი, კვამლის ღერისა; ასე ჩაცმული ცხენის ჩლიქებთან დავარდა და ამხელა კაცი გრძლად გადაჭიმული იწვა.

როდესაც ანდრონიკე ტირანთა სახლიდან ჩავიდა ვლახერნის სასახლეში და მის შიგნით მყოფ ერთ მაღალქერძიან ოთახში რომ იყო, რომელსაც აოლიტიმოსი (ე. ი. ძვირფასი) ეწოდება, მოვიდა აგრეთვე მეცე ალექსიც,

<sup>1</sup> სიტყვა βήμα. რომელც ზეგულებოვ „საყდარს“, „დალაკს“, „ტახტს“ ნიშნავს. გვან ზეოანელ ი და ბიზანტიკში იხმარება აგრეთვე „სამღვდულო ობის“ აღსანიშნავად. იხ. Sophocles s. v.

<sup>2</sup> ე. ი. ყოფი მეფე ალექსი II.

παιάνων τε καὶ στεναγμάτων (ὁ γὰρ πάντες τῷ καιρῷ παρεσύρησαν) ἐβρών μεστὰ τὰ ἀνάκτορα, καὶ αὐτὸν Ἀνδρόνικον ὡς βασιλέα σχεδὸν παρὰ πάντων καταλαρών εὐφημούμενον. Ἐκὼν τοίνυν ἀέκοντί γε θυμῷ τοῖς ταλομένοις ἐπευδοκίμας ἐκοιλίαυσε καὶ εἰνος ἐν τοῖς λοιποῖς τὸ γερώντιον, Ἀνδρόνικον εἰς τὸ συμβασιλεύειν ἐπεχειρίων, καὶ προθυμαποῖσιν εἰς τὸ ἐνασπῆς ἔργον τὸν ἀρατῆς εἰς τοῦτο πάλαι φερόμενον.

მოღვივნობდა მას იმ საქმეში, რომლისთვისაც ის დიდი ხანია დაუცხრომლად იღწვოდა.

Ἰὸ δὲ τῆς Ἀνδρόνικου φαρίας φερμότερον καὶ ἀκινδόμενον Ἀνδρόνικον καὶ τὴν συνεβρίαν εἰρωνεούμενον ἀμφοτέρωσιν συσχόντες εἰς τὴν χρυσόπαστον κλίτην ἐφήκαν ἐφ' ἧς ὁ βασιλεὺς ἔβανεν. Ἄλλοι δὲ τὴν καπνηρὰν καὶ παραμυσηνῆ ἐρέαν<sup>2</sup> τῆς ἀφελῆς ἀφελόμενοι παρατῆν αὐτῷ περιέθεντο, καὶ στολήν βασιλικὴν ἐνέδυσαν ἕτεροι.

რომელსაც გარეთ სმენოდა სასახლიდან ერთსა და იმავე დროს ზეანებიც<sup>1</sup> და კენესაც (ვიზიიდან ყველანი სომ არ გაუტაცენია იგი დროვეობას; გაიგონა აგრეთვე თვით ანდრონიკეს როგორ მეფედ აცხადებდნენ თითქმის ყველანი. ამიტომ, თუმცა უნებური სულისკვეთებით, მან თავისი ნებით ანგარიზი გაუწია მომხდარ ამბავს და თვითონაც სხვებთან ერთად უსირმოთნეა მოხუცს, და ანდრონიკეს სთხოვდა ჩემი თანამეფე იყავი; და ამით ის უგულ-

სადაც ის დიდი ხანია დაუცხრომლად იღწვოდა.

ანდრონიკეს მიმდევრებმა ორივე ხელი სცაცეს ანდრონიკეს. რომელიც ძალიან იბრანქებოდა და კრებულსაც დასცილნოდა, და დასვეს ოქროქსოვილ სარეცელზე, რომელზედაც მეფე ჯდებოდა. სხვებმა კიდევ მოხადეს თავიდან კვამლის ფერი პირამიდული ქული<sup>2</sup> და მოახვიეს მას ცეცხლის-ფერი, სხვებმა კიდევ ჩააცვეს სამეფო ტანსაცმელი.

<sup>1</sup> ზეანები — სამადღობელითა სახელით შენახილელი.

<sup>2</sup> სიტყვის მტკიცე აზრის მიხედვით ვთარგმნით „ქული“. ისე კი იგი ნიშნავს „მატყელს“. შესაძლებელია ის „მატყელის ქული“, „საბადის ქული“ ნიშნავდეს.

ზემოთ წარმოვუვლილი აღწერა ბიზანტიელი დიდებულთა ჩამოშლობის, ტანსაცმელისა და თავსაბურავისა, დიდ ინტერესს იწვევს ჩვენს სამეცნიერო წრეებში, განსაკუთრებით მთა წმინდე. რაც იტრუსალიანის ჯეჯრის მონასტრის კედელზე აღმოჩნდა შოთა რუსთაველის პორტრეტი.

პროფ. ნ. ანთრაახანოვი ამის შესახებ წერს: „თამარ დედოფალს ესტუმრა თავისი მეუღლით და შვილებით ანდრონიკე კომანი. ბიზანტიის კეისრის ძმისწული, რომელსაც უკიდვე მოკლე ხნით კეისრის ტახტი ეკავა (1183—1185); მისი შვილი ალექსი I თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერატორის ტახტზე დასვა.

Τῆ δὲ ἰσπεραία ἐπὶ τῆς Με-  
γάλης ἐκκλησίας ἀρξαμένης τῆς  
τῶν βασιλέων ἀναρρίψεως γίνεσ-  
θαι Ἀνδρόνικος ἀνηγορεύετο πρό-  
τερον, ὃ δὲ Ἀλέξιος ἰπερβέαστο.  
μεταπεσοῦτης τῆς τάζεως (CB  
351, 11—852, 9).

ხოლო მეორე დღეს, როდესაც დიდ ეკლესიაში დაიწყეს მეფეების გამოცხადება, ჯერ ანდრონიკე დაასახელეს, ხოლო ალექსი ქვევით გამოაცხადეს, ასე შეცვალეს რიგი.

### მუჰამედს დაპურობილი აქვს იბერია

[ითანე კომნენოსი სალაშქროდ გაემგზავრა არმენიაკთა თემში შეჭრილი მტრის წინააღმდეგ]

Προθέμενος δὲ μετελθεῖν τοῖς  
κατὰ τὸ θέμα τῶν Ἀρμενιακῶν  
παρεισφύραρέντας ἰαρχάρους, ἀμα  
δὲ καὶ Κωνσταντῖνον τὸν Γαζάρην

რადგან მან (ე. ი. ითანე კომნენოსმა) გადაწყვიტა დაესაჯა არმენიაკთა თემში შეჭრილი ბარბაროსები და ამავე დროს შე-

ანდრონიკე კომნენი, უფრო რაინდი, უღამახესი ვაჟაკი, რომელიც ვასაოცარი გემოვნებით იცუამდა. ბერძენი ისტორიკოსი ნიკიტა ხონიატე, რომელიც მისი თანამედროვე იყო, ამბობს, რომ იგი ყოველთვის ატარებდა ჭარბულ მაღალ თავსაბურავს და იისფერ-ჭარბული ქსოვილისაგან ზეკრილს ზედა ამოსვლს. იმპერატორ მანუელ კომნენის გარდაცვალების შემდეგ, დელეგაცია პატრიარქ თეოდოსის მეთაურობით წარსდგა ანდრონიკეს წინაშე, რათა მას გაესრა იმპერატორის მოვალეობის შესრულება: ანდრონიკემ გაიგო რა, რომ მღვდელთაგარი მიუახლოვდა მის კარავს, მაშინვე მიეგება მას და თან ჩაიყვანის იისფერი წამოსასხამი—წინ ვაკრალი, იბერიული ქსოვილიდან ზეკრილი, რომელიც მუხლამდე წვდებოდა და უკან ეშვებოდა, ხოლო თავზე დაიხურა მაღალი წვეტიანი რუხი თავსაბურავი. კურთხევის დროს, როგორც იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს, მას მოხადეს «მაღალი წვეტიანი თავსაბურავი». მაღალ წვეტიან მომრგვალებულ თავსაბურავს ატარებდნენ საქართველოში ვრისთავთ-ერისთავები» (ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“ 1961, № 4).

ანდრონიკე კომნენი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახეიშო შემთხვევით დროს ატარებდა საქართველოში დამზადებული ქსოვილიდან შეკერილ მუქ წითელი ფერის სკარამანგიონს და ჭარბულ თავსაბურავს\* (შ. ამირანაშვილი, იქვე, გვ. 67).

ასეთსავე ტანსაცმელსა და თავსაბურავს ხედავს პროფ. შ. ამირანაშვილი შოთა რუსთაველის იერუსალიმურ სურათზე: „რუსთაველის გამოსახულების ფერადი სურათის შესწავლა საესებო ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას ტანს აცვია ჭარბული ვახრისათვის დამახასიათებელი ტანსაცმელი, ჭარბული ქსოვილიდან შეკერილი, და თავზე აქვს მაღალი ჭარბული თავსაბურავი“ (შ. ამირანაშვილი, იქვე, გვ. 68).

κατασχεῖν χρόνον ἤδη συχνόν  
τὴν Τραπεζοῦντα ὑποποισάμενον  
καὶ ἦθεσ τυρρανικοῖς αὐτὴν δι-  
εξάγοντα, διὰ τῆς τῶν Παφλαγό-  
νων συναγκείας τὴν πορείαν τί-  
θησιν ἀεὶ τῶν τοῦ Πόντου παρκα-  
λίων τόπων βαδίζειν ἐχόμενα,  
δοσεῖν ἔνεκα, τοῦ τ' ἐκ τῆς  
οἰκείας χώρας τὴν στρατιάν οἱ  
πορίζεσθαι τὰ βιάσιμα, καὶ εἰ  
δείξει συρρήξαι πόλεμον, κατὰ  
μίαν μοῖραν ἔχειν αὐτὸν ἐπικεί-  
μενον, ἀλλ' οὐκ ἔξ ἑκατέρων με-  
ρῶν περικείμενον ἀντεσθῆεν πρὸς  
περικύκλωσιν ἐπιτήθειον.

არა ორივე მხრიდან თავდასხმა  
მორტყმა.

Ἦν γὰρ ὁ τῆς Καισαρείας  
τότε κρατῶν Μουχούμετ, περὶ οὗ  
εἶπειν ἔφθγγμεν, πλείστην βί-  
α περιβεβλημένος ἰσχύν, μέρος τε  
τῆς Ἰβηρίας ὑπαγαγόμενος  
καὶ ἔνια τῆς τῶν ποταμῶν μέσης  
καρραστησάμενος (CB, p. 45,  
10—23).

ეპყრო კონსტანტინე გაბრა, რო-  
მელსაც უკვე კარგა ხანია დაე-  
მორჩილებინა ტრაპეზუნტი და  
მართავდა მას ტირანული წესე-  
ბით, ის აწყობს გამგზავრებას  
პაფლაგონიის ხეობით და სულ  
პონტოს სანაპირო ადგილებით  
ზიდის, ორი რამის გამო: ჯერ  
ერთი იმიტომ, რომ საკუთარი  
სამთლობელოდან მოემარაგებინა  
მას ჯარი სურსათით; მეორე კი-  
დეც ის იყო, რომ თუ ომის გა-  
ჩაღება დასჭირდებოდა, მხოლოდ  
ერთი მხრით შესძლებოდა მტერს  
მის წინააღმდეგ შემოტევა და  
და აქედან ადვილად გარსშე-

კესარიის მაშინ თლობდა მუ-  
ხუმედი, რომლის შესახებაც უკვე  
ვთქვით, რომ იგი უდიდესი ძა-  
ლით იყო აღჭურვილი, იბე-  
რიის ნაწილიც უკვე დაემორ-  
ჩილებინა და შუამდინარეთის  
ზოგიერთი ადგილებიც დაეჭვემ-  
ლებარებინა.

**იბერიელები ბიზანტიის ჯარში ალექსი II კომნენოსის  
დროს**

[1180—1183 წლებში დიდი მღელვარებაა სამეთო კარზე. მანუილ I  
კომნენოსის გარდაცვალების (1180 წ) შემდეგ სამეთო ტახტზე  
ყიდა მისი მცირეწლოვანი ვაჟი ალექსი, მაგრამ სახელმწიფოს  
შნართველობა ხელში ჩაიგდეს დედოფალმა მარიამმა და პროტო-  
სევისტოსმა ალექსიმ (მცირეწლოვანი მეფის ბიძაშვილმა). მაგრამ  
ამ რეგენტების გარდა სამეთო კარზე არიან მეფის და მარიამი  
(არა ლვიძლი და, არამედ მანუილ I-ის ქალიშვილი პირველი ცოლი-  
საგან) და მისი ქმარი.





Οἱς δὴ τοῦ Καίσαρος λόγοις  
καθάπερ ἐνδεδεχεῖ βουπλήγι τι-  
ρώμενος ἀνένγηέ τε τοῦ κάρου  
καὶ τῆς ἀκηδίας μεθύρμωστο, καὶ  
ἤρξατο συλλέγειν συμμαχικόν. Μὴ  
εὐπορεῖν δὲ λέγων χρυσίων, ἐκ-  
τῶν βασιλικῶν ταμειῶν ἀργύρεα  
σκευῆ ἀνελόμενος παρακατέθετο  
ταῦτα τοῖς χρυσίῳ εὐποροῦσι  
τεμένεσι, καὶ τὰ ἐκείθεν πορισ-  
θέντα χρήματα εἰς συλλογὴν διέ-  
δωκε στρατιᾶς, ἂν ἕστερον μετὰ  
τὴν νίκην καὶ τὸ χρυσίον οὐκ  
ἀπέδωκε καὶ τὰ παρακατατεθέν-  
τα ἀνείλετο.

ჯვება რომ მოიპოვა, ოქრო აღარ მიუცია უკან, დავირაგებული  
ჭურჭელი კი წამოიღო.

Ἄμειλι καὶ ἐν βραχεῖ καιρῷ  
ὁ μὲν Κορράδος ἀπὸ τῶν κατὰ  
τὴν πόλιν συναγῆσθε Λατίνων  
ἐπιτότας περὶ τοὺς δις ἑκατὸν  
καὶ πεντήκοντα, πάντας ἀρεμα-  
νίους, καὶ πεζοὺς πεντακκοσίους.  
Οὐκ ὀλίγοι δ' ἐστρατολογηθήσαν  
καὶ ἀπὸ Ἰσμηλιτῶν καὶ τῶν  
ἐκ τῶν Ἰβήρων, κατ' ἐμπορίαν  
στελαιμένων τὴν ἐς τὴν βασίλειαν  
τῶν πόλεων (CB, p. 499, 7—20).

კესაროსის (ე. ი. კონრადის)  
ამ სიტყვებით განგმირული მეფე  
(ისააკ ანგელონი), თითქოს გა-  
ნუწყვეტლივ დეზით ჩხვლელ-  
დნენო, გამოთხზილდა სალათას  
ძილისაგან, უზრუნველობა გადა-  
აგლო და დაიწყო მოკავშირეები-  
საგან ჯარის შეკრება. რადგან  
უჩივოდა სახსრების ნაკლებობას,  
სამეფო საგანძურებიდან გამო-  
იღო ვერცხლის ჭურჭელი და ჩა-  
აბარა ისინი ოქროთი მდიდარ  
საყდრებს, და იქიდან გამოტა-  
ნილი ფული<sup>1</sup> მისცა ჯარის შე-  
საკრებად, თუმცა შემდეგ, გამარ-  
ჯვება რომ მოიპოვა, ოქრო აღარ მიუცია უკან, დავირაგებული  
ჭურჭელი კი წამოიღო.

მართლაც, სულ მოკლე ხანში  
კონრადმა შეკრიბა ქალაქში მყოფ  
ლათინთაგან ცხენოსნები დაახ-  
ლოვებით ორას ორმოცდაათამ-  
დე, ყველანი მამაცი, და ხუთასი  
ქვეითა ჯარისკაცი. არა მცირედ-  
ნი ჩიფერნენ ჯარში ისმაელიტ-  
თაგან და აღმოსავლელ იბე-  
რიელთაგან<sup>2</sup>, რომლებიც სა-  
მეფო ქალაქში სავაჭროდ იყ-  
ვნენ გამოგზავნილი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ესე იგი: სამეფო საგანძურებიდან გამოტანილი ჭურჭელი გირაოდ შეიტანა  
მკლესიებში, საიდანაც ფული წამოიღო.

<sup>2</sup> ისტორიკოსი საჭიროდ თვლის თქვას «აღმოსავლელ იბერიელთაგან», რათა  
განახსნავოს ისინი «დასავლელ იბერიელთაგან» (ე. ი. ისპანიის იბერიელთაგან).

<sup>3</sup> შეიძლება გვეთქვა «იყვნენ ჩამოსული». მაგრამ რამდენადაც ბერძნულად  
სწერია *οισιλαμένων*, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კონსტანტინეპოლში ჩასული  
იყვნენ იბერიელები არა მარტო თავისი ინიციატივით როგორც კრძო პირები,  
აზამედ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ან სათანადო სავაჭრო კორ-  
პორაციების დავალებითაც. ასე დასმა საკითხისა მით უფრო საფიქრებელია, რომ  
მხოლოდ ამბობს ისტორიკოსი ნიკეტა ხონიატე მეორე შემთხვევაშიც, როდესაც მეფის

## ფაზიხის სანაპიროებზე მცხოვრები იბერიელები

[1204 წლის კატასტროფის შემდეგ მცირე აზიაში, ნიკეის მხარეში, ცდილობენ გადაარჩინონ ბიზანტიური მმართველობა (შემდეგში აქ შეიქმნება ნიკეის სამეფო). ძალაუფლებისათვის იბრძვიან მანუილ მავროზომი, მეანდროს დაბლობის ზფლობელი, თეოდორე ლასკარი, და დავითი, ბითინიის მფლობელი და ძმა ტრაპეზუნტის მეფის ალექსისა (1204—1222)]

Ὁ μὲν γὰρ Μαυροζώμης Μανουήλ τὸν Καίχοσρόην ἵποδῶς, οὐ πᾶνυ πρὸς πολλοὺς τῆς σφετερέζης συγαστῆ: συναφθέντα καὶ τῆς Ἰκονιαρχίας ἀβθὺς λαβόμενον, ἧς εἶχε πρότερον ἐκπεσῶν, πάντα ἦν μηγαχόμενος, εἰ πως ἀβθῶ συγαρομένου τοῦ βασιλείου τύχῃ ὀνόματος, καὶ τὴν ὄσῃν ποτῆ: Μαίανδρος ἐπιὼν μετὰ Τούρκων ἔφθειρέ τε καὶ ἔχειρεν.

მანუილ მავროზომი, რომელსაც სწყალობდა ქაიხოსრო (ამან წინათ მისი ქალიშვილი შეირთო და იკონიის ტახტი, რომელიც დაკარგული ჰქონდა, კვლავ დაიბრუნა) და რომელიც ყველა ზომას ღებულობდა, რომ რამენაირად მისი დახმარებით მეფის სახელი აღორსებოდა, და რასაც კი მეანდრო რწყავს, იმ ადგილებს დასხმობდა თურქთა ჯარით და არბევდა და სრავდა.

ალექსი II-ის (1180—1183) წინააღმდეგ აჯანყებულმა ზისმა დამ წარიაწმა ჯარი შეაგროვა და იქ ჩარიცხა კონსტანტინეპოლში მყოფი იბერიელი ვაჰრები (იხ. აქვე ზემოთ გვ. 126). საგულისხმობა როგორ ერთნაირი სიტყვებით არის აღწერილი იბერიელების მონაწილეობა ბიზანტიურ ჯარში ორსავე შემთხვევაში:

ალექსი II-ის დროს

ისააკ II ანგელოსის დროს

Καὶ Ἰταλιώτας γὰρ συναγῆσεν ὀπλομάχους, καὶ μεγαθύμους ἔφους ἐστρατολόγησεν Ἰβήρας κατ' ἐμπορίαν τῆς ἰσλίου παραβαλόντας (GB 303).

Ὁ μὲν Κορσῶδες ἀπὸ τῶν κατὰ τὴν ἰσλίον συναγῆσθε Λατίνων ἐπὶ ἰσλίου... Ὅθκ ἰσλίου ἐστρατολορηθῆσαν καὶ ἀπὸ Ἰσμαηλιτῶν καὶ τῶν ἐρώων Ἰβήρων. κατ' ἐμπορίαν στείλαμεν ἡ ἡ τῆς βασίλειον τῶν ἰσλίων (GB 498).

საკიროა, ჩვენი აზრით, ყურადღება მიექცეს იმას, რომ ორსავე შემთხვევაში კონსტანტინეპოლში პართველების ყოფნის მიზეზი და მიზანი: გამთხატულია ისეთი ხმებით, რომლებიც გულისხმობენ პართველების ჩასვლას ბიზანტიის სატახტო ქალაქში არა თავისი კერძო ინიციატივით; παραβαλόντας და στειλამῶων — ორივე გამთხატავს იმ ვაჰრების მოსვლას „დავლებით“ (παραβαλλῶ) ან „მიგლინებით“ (στειλῶ).

‘Ο δὲ Δάσκαρις Θεόδωρος, ὧς γένοι εὐπρεπέστατος καὶ κήδε: βρασιλείῃ περιδούξος<sup>1</sup>, ἀποκρουσάμενος ἔχεινον τὸ βρυσθὸν πίδιλον ἵπποδύεται καὶ βρασιλεύς Ῥωμαίων ἡφ’ ἔλων τῶν ἑψῶν ἀναγορεύεται πόλεων. ‘Ο δ’ ἐκ Κομνηγῶν Δαξίνδ στρατολογήσας Παφλαγόνας καὶ οἱ τὴν Ποντικὴν εἰκοσσίῃ Ἡράκλειαν, καὶ μοῖραν μιθασάμενος Ἰβήρων τῶν πινόντων τοῦ Φάσιδος, κώμας καὶ πόλεις ὑπεποίειτο, καὶ τὸν οἰκεῖον μεγάλωνν κασίγνητον ἢ ἡ κλήσις Ἀλέξιος<sup>2</sup>, πρόδρομος ἔχεινου καὶ προκῆρς ἐγένετο (CB, 827, 16—828, 9).

ხოლო თეოდორე ლასკარიმ, წარმოშობით უდიდებულესმა და სამეფო გვართან ნათესაობით ცნობილმა, მოიგერია იგი, ჩაიკვა წითელი წალები და რომაელთა მეფედ იქმნა გამოცხადებული ყველა აღმოსავლური ქალაქების მიერ. ხოლო კომნენოსთაგან დავითმა<sup>2</sup> დარბიზმა პატლაგონელები და ისინიც, რომლებიც ცხოვრობენ პონტოს ერაკლიაში, აგრეთვე დაიქირავა იბერიელთა რაზმეული, იმ იბერიელთა, რომელნიც ფაზისის წყალს სვამენ<sup>3</sup>, დაიმორჩილა სოფლები და ქალაქები და აღიდებდა თავის ძმას, რომელსაც ალექსი ეწოდებდა: მის წინამორბედად და მაცნედ გამოდიოდა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ეს სიტყვა (περιδούξος) ძველს ბერძნულში არ იხმარება, ბიზანტიური პერიოდის ბერძნულშიც იშვიათია.

<sup>2</sup> დავითი იყო კვისარ ანდრონიკე I-ის ვაჟის, მანუელის, შვილი.

<sup>3</sup> ეს არის დავითის ძმა, ტრაპეზუნტის მეფე ალექსი (1204—1222), რომელსაც არ სურდა ტრაპეზუნტის დატოვება და ამიტომ უარი განაცხადა ნიკეის პატრიარქობზე.

<sup>4</sup> ე. ი. მდინარე ფაზისის სანაპიროებზე ცხოვრობენ.

<sup>5</sup> აქ მოყვანილი მასალა კიდევ ერთხელ სვამს საკითხს, რომ დასავლეთ საქართველოში სხვა ქართველ ტომებთან ერთად იბერიელე ბი ცხოვრობდნენ. რამდენჯერმე არიან მოხსენებული ის იბერიელები, რომლებიც კონსტანტინეპოლში ჩასულან სავაჭრო მიზნებით; საჭირო შემთხვევაში ისინი ბიზანტიელებს დაუქირავებიათ ჯარისკაცებად:

1) დავით კომნენოსმა დაიქირავა იბერიელები, რომელნიც ფაზისის სანაპიროებზე ცხოვრობენ (CB 828);

2) ალექსი II კომნენოსის დროს დაქირავებულ იქმნენ იტალიელები და აღმოსავლელი იბერიელები (CB 303).

3) კონრად მონფერატელმა ისაყ ანგელოსისათვის დაიქირავა ისმელიტები და ის აღმოსავლელი იბერიელები, რომელნიც კონსტანტინეპოლში იყვნენ ჩასული სავაჭრო მიზნით (CB 199).

თუმცა მხოლოდ ერთ ადგილას სწერია იბერიელები. რომელნიც ფაზისის სანაპიროებზე ცხოვრობენ (ე. ი. რომ აქ ლაპარაკია დასავლეთ საქართველოს იბერიელებზე), მაგრამ ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ყველგან ლაპარაკია იბერიელთა დაქირავებაზე ერთნაირი დრახელოლოგიით (იხ.

## ფოთი სავაჭრო ქალაქია

[ისტორიკოსი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ალექსი III ანგელოსის (1195—1203) დროს შავ ზღვაზე მეკობრეები თარეშობდნენ და სავაჭრო ხომალდებს სძარცვავდნენ. ერთ ასეთ შემთხვევაზე შემდეგს გადმოგვცემს:]

‘Αλλ’ οἷον καὶ τὸν ἔρεξεν οὗτος ὁ βασιλεύς. Ἄνδρ’ ἑνὸς παρανόου τριήρεις ἕξ, ἢ ἕ, μὲν κλησὶς ἦν Κωνσταντίνος ἢ δ’ ἐπίκλησις Φραγγόπουλος, ἐς τὸν Ἐδξείνον Πόντον ἐξέπεμψε, τῷ μὲν δοχεῖν περὶ φορτίου πλοίου τινὸς ἐξετάσσοντα, ἐκ Φάσιδος καταίροντος εἰς Βυζάντιον, περὶ τὸ Κερατοῦντα ναυαγήσαντος, τῷ δὲ ὄντι ταῖς ἐς πόλιν τὴν Ἄμυσσον<sup>1</sup> καταπλευσάσας ὀκλάσιν ἐπιθησόμενον καὶ τούτων τὰ ἀγώγυμα προνομήσοντα. Ὁ δὲ κατ’ ἐπίταγμα τὸ βασιλικὸν ἐς τὸν Ἐδξείνον ἀναπλευσάσας οὐδεμίαν φείδεται: νηὸς, ἀλλὰ πάσας σκυλεύσας, ὄσαι τε ἐς Βυζάντιον ἐμπορευμάτων πλήρεις κατήγοντο, καὶ ὄσαι ἀνήγειροντο ἀποδιδόμεναι τὰ ἐχυτῶν καὶ ἄλλ’ ἄττα

მაგრამ, აი, რა საქმე ჩაიდინათ თვითონ მეფემ. ექვსი ტრიერე ჩააბარა ერთ კაცს, რომლის სახელი იყო კონსტანტინე, ხოლო მეტსახელი ფრანგოპულოსი, და გაგზავნა იგი ექვსინის პონტოში თითქოს იმ მიზნით, რომ დაეძებნა ტვირთი ერთი ხომალდისა, რომელიც მოდიოდა ფაზისიდან ბიზანტიონში და კერასუნტის მახლობლად დაიშხვრა, ნამდვილად კი უნდოდა თავს დასხმოდა სატვირთო ხომალდებს რომლებიც ქალაქ ამინსოში<sup>1</sup> მისცურავდნენ, და მათი ტვირთი დაეტაცნა. მეფის განკარგულების მიხედვით მან გასცურა ექვსინის პონტოში და არც ერთი ხომალდი არ დაინდო, ყველა ხომალდები გაძარცვა, რომლებიც კი ბიზანტიონში მოდიოდ-

ნენოთ გვ. 130, შენიშვნა), და, მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ყველგან ლაპარაკია იმ იბერიელებზე, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან ჩადიოდნენ კონსტანტინეპოლში სავაჭრო მიზნებით.

ამ მოსახრებას კიდევ უფრო აძლიერებს უკანასკნელი ფრანგმენტი („ერთი სავაჭრო ქალაქია“), სადაც ლაპარაკია იმ ვაჭრებზე, რომელთაც საქონელი მოჰქონდათ ფაზისიდან (ე. ი. ფოთიდან) კონსტანტინეპოლში.

ასე რომ, დღეს უკვე განცალკევებულად აღარ დგას ის ცნობა, რომელიც ჩვენ მოვითავსეთ „გეორგიკის“ II ტომში და რომელიც გადმოგვცემს იმის შესახებ, რომ ქართლის მეფეს (არჩიანეს დროისათვის, II საუკ.) უკვე დაკავებული ჰქონია შავი ზღვის სანაპირო აფსაროსის სამხრეთით (იხ. „გეორგიკა“ II, 1965 წ. გვ. 25—26).

<sup>1</sup> „ამინსოს“ ან „ამისოს“ — დღევანდელი სამსუნო.

ἐνθήμεναι, μετὰ δύο μῆνας ὑπέ-  
στρεψε. τινὰς τῶν ἐμπόρων μα-  
χαίρα βποδικάσας καὶ τῆ βυθῆ  
καρπαπέμφας, ὃν τὰ χρήματα  
αὐτὸς ἰδιώσατο, τοὺς δ' ἄλλους  
ὑπέρου γυμνοτέρους ἀποπεμφάμε-  
νος (CB 699, 7—21).

რები მახვილით გაასმართლა და  
ქონება მიითვისა, სხვები კიდევ  
გაისტუმრა.

ნენ, საქონლით დატვირთულები,  
და ისინიც, რომლებსაც ჩაებარე-  
ბინათ თავისი საქონელი და სხვა  
საქონელი ჩაელაგებინათ და უკან  
ბრუნდებოდნენ,—და ორი თვის  
შემდეგ ის (ე. ი. ფრანკოპულოსი)  
უკან დაბრუნდა; ზოგიერთი ვაჭ-  
რის ქვესკნელში გაისტუმრა, და მათი  
როდინის ქვაზე უფრო ტიტყლები  
გაისტუმრა.

**ბიზანტიის კეისრის ტიტული**

Μαγουήλ ἐν Χριστῆ τῆ Θεῆ  
πιστὸς βασιλεὺς Πορφυρογέννη-  
τος, Ῥωμαίων ἀνακράτωρ εὐσε-  
βέστατος, ἀεισέβαστος, Ἀγίουσ-  
τος, Ἰσαυρικὸς, Κιλικικὸς, Ἀρμε-  
νικὸς, Δαλματικὸς, Ουγγρικὸς,  
Βοσθνικὸς, Χροβατικὸς, Δαζι-  
κὸς, Ἰβηρικὸς, Βουλγαρικὸς,  
Σερβικὸς, Ζαχχικὸς, Χαζαρικὸς,  
Γοτθικὸς, Θεοκυβέργητος, κληρο-  
νόμος τοῦ στέμματος τοῦ μεγά-  
λου Κωνσταντίνου, καὶ ψυχῆ  
νεύριμος πάντα τὰ τούτου δι-  
καία· ὡς τινων ἀποστατησάντων<sup>1</sup>  
τοῦ κράτους ἡμῶν, τοῖς τῶν  
φίλοχρίστου ἡμῶν παντὸς λαοῦ  
τῆς Θεοφυλάκτου ἡμῶν βασιλῆδος  
πόλεως, ἔτι δὲ καὶ πᾶσι τοῖς  
τῶν ὑπὸ τῆν τῆς ἡμετέρας βασι-  
λείας ἐξουσίαν χωρῶν ἡπειρωτι-

ქრისტე ღმერთის შემწეობათ  
მორწმუნე მეფე მანუელი, პორ-  
ფიროგენეტი, რომაელთა თვით-  
მპყრობელი, კეთილსაინო, ნუდამ  
სათნო, ავგუსტოსი, ისავრიელი,  
კილიკიელი, არმენიელი, დალმა-  
ტიელი, უნგრელი, ბოსთნიელი,  
ხორვატიელი, ლაზთა, იბერ-  
თა, ბულგართა, სერბთა, ჯიქთა,  
ხაზართა, გუთთა ღვთივმმართ-  
ველი, მემკვიდრე დიდი კონსტან-  
ტინეს გვირგვინისა, ყველა მის  
სამართალთა სულით მწყემსავი;  
თუმცა ზოგიერთნი გადაუდგნენ  
ჩვენს ძალაუფლებას, მაგრამ მთე-  
ლი ჩვენი ღვთივ დაცული სამე-  
ფო ქალაქის ქრისტესმოყვარე  
ხალხისთვის, ისევე როგორც  
ჩვენი სამეფოს ძალაუფლების  
ქვეშ მყოფ მხარეთა, როგორც

<sup>1</sup> სერ. Fr. Dölger, Corpus der griechischen Urkunden... 2. Teil (1925), გვ. 65. აქ 1146 წლის თარიღით დასახელებულია ერთი უცნობი ზინბარის ხროსთბული ((Chrysohall unbekanntes Inhalts), რომლის დასაწყისი სიტყვებია: "ὡς τινων ἀποστατησάντων.

αὐτὸν τε καὶ θιαλαττίων οὐκ ὀρθόδοξον (Nicetae Choniatae Thesaurus orthodoxae fidei, lib. XXV: თვის მზრუნველია. PG 140, 273).

ზემოთ მოყვანილი მასალა მოაბოვება ნიკეტა ხონიატეს თეოლოგიურ ნაშრომში (Ἱεροσολίμῃσιν Ὀρθόδοξῆσιν) („განძი მართლმადიდებლობისა“), რომლის XXV თავი მიძღვნილი აქვს 1166 წლის კრებას, სადაც ირჩეოდა ერთი დებულება შესახებ ქრისტეს ბუნებისა. სახელდობრ: სახარებაში (იოანე 14,28) ქრისტე ეუბნება მოწაფეებს: «ვესმა, რამეთუ გარქუ თქვენ, ვითარმედ: მივალ და მოვალ თქვენდა, უკუეთუმცა გიყუარდი მე, იხარეთ სამეცცა, ვითარმედ მე მაშისა მივალ, რამეთუ მაშაჲ ჩემი უდიდეს არს ჩემსა (ὁ πατήρ μείζων μου ἐστίν)». ოთხთავის ეს უკანასკნელი სიტყვები (რომ „მაშა ჩემზე უფრო დიდია“) საკამათოდ გაიხადეს კლერიკალებსა და მანუელ კეისარმა (1143—1180) საეკლესიო კრება მოიწვია 1166 წელს, რომელზედაც განხილულ იქმნა ეს დებულება<sup>1</sup>. ნიკეტა ხონიატე თავის შრომაში ამ საეკლესიო კრების მეორე სხდომის (4 აპრილის, მე-14 ინდიქტიონს) ანგარიშს რომ გადმოგვცემს, მას მოჰყავს ამ კრების სჯლისჩამდგმელის, მანუელ კეისარის ტიტული, სადაც ჩვენს ყურადღებას იქცევს ბიზანტიის კეისარის მოხსენიება როგორც აგრეთვე „ლ ა ზ თ ა და ი ბ ე რ თ ა“ მწყემსაღიისა.

ნიკეტა ხონიატეს მიერ მოყვანილი ეს ტიტული ემყარება საკანონმდებლო აქტების კრებულს, სადაც 1166 წლის საეკლესიო კრების დოკუმენტები იყო გამოქვეყნებული<sup>2</sup>. ც ა ხ ა რ ი ა ფ ო ნ - ლ ი ნ

<sup>1</sup> ო. უსპენსკი წერს: „В двадцать третий год Мануила родился церковный вопрос, который начинаясь с малого, подобно небольшой искорке, раздутой ветром, развился до громадных размеров, увлек не только высшие духовные чины, но и низшие, коснулся сната и дворян и перешел к простым людям. Вопрос был о словах Христа, сказанных ученикам в ночь перед страданиями: Иду к Отцу, ибо Отец мой больше Меня — в каком смысле нужно понизать эти слова? — Одни толковали эти слова так, другие иначе. После уразумения истинного смысла этого вопроса, несправильные мнения были преданы осуждению“ (Ф. Успенский, Очерки по истории Византийской образованности. СПб 1891, стр. 225).

<sup>2</sup> ნიკეტა ხონიატეს შრომა (Ἱεροσολίμῃσιν Ὀρθ.) დაწერილია 1204—1210 წლებში.



გენთალის მიერ გამოცემულ კრებულში იგი მოთავსებულია როგორც 70. ნოველა<sup>1</sup>.

ბიზანტიის კეისრის ეს ტიტული ოფიციალურ აქტებში, როგორც ჩანს, იხმარებოდა, ხოლო ჩვენ ამჟამად არა გვაქვს საჭირო მასალები იმისათვის, რომ ზედმიწევნით ვილაპარაკოთ, თუ რომელი აქ მოხსენიებულ ხალხთაგან როდის იქმნა შეტანილი ბიზანტიის კეისრის ტიტულატურაში. ეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგიერთი აქ დასახელებული ტომი ჯერ კიდევ X საუკუნემდე ყოფილა ბიზანტიის ქვეშევრდომი. აქ უნდა გავიხსენოთ კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი ტომები ბიზანტიის მმართველთა წრეების აუქნარობისა და გულუბრყვილობის წყალობითა ჩამოშორებიან ბიზანტიას. კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს:

*Τῆς δὲ τῶν Ῥωμαίων βασιλείας διὰ τὴν τῶν τότε κρατούντων νοθεύθηα καὶ ἀφέλειαν εἰς τὸ μηδὲν παράπαν μικροῦ δεῖν ἐναπονεύσασθαι, καὶ μάλιστα δὲ ἐπὶ Μιχαὴλ τοῦ ἐξ Ἀμορίου, τοῦ Τραυλοῦ, οἱ τὰ τῆς Ἀσιματίας κάστρα οἰκοδομῶντες γεγόνασιν ἀποκέφαλοι, μῆτε τῶν βασιλεῦν Ῥωμαίων, μῆτε ἐτέρων τινῶν ἀποκαίμενοι, ἀλλὰ καὶ τὰ ἑαυτοῦ ἔθνη, οἱ τε Χρωβᾶτοι καὶ Σέρβιοι καὶ Ζαχλοδομοὶ καὶ Τερζουნიῶται τε καὶ Κανιλῆται καὶ Διοκλητιανοὶ καὶ οἱ Ἥλιανοί, τῆς τῶν Ῥωμαίων βασιλείας ἀφηνείσαντες γεγόνασιν ἰδιόρρημοι καὶ ἀποκέφαλοι, τινὲς μὴ ἀποκαίμενοι —* „როდესაც რომაელთა სახელმწიფოს საზღვრები მანინდელი მმართველობის უქნარობისა და გულუბრყვილობის წყალობით, და განსაკუთრებით მიხეილ ამორველის (ზე დეო დე ბი თ ხლიფინას) დროს, თითქმის სრულიად შეიარყა, დალმატიის ციხე-ქალაქების მცხოვრებნი გახდნენ თვითთავადნი, არც რომაელთა მეფეს ექვემდებარებოდნენ, არც სხვა ვინმეს. და იქაური ტომები, როგორც მაგალითად. სროვატები და სერბლები, და ხახლუმები და ტერეზნიოტები. ისევე როგორც კანალიტები და დიოკლეტიანები და პაგანები, მის შემდეგ რაც მათ მოიშორეს ალვირი რომაელთა სამეფოსი, გახდნენ თვითმმართველნი და თვითთავადნი და არავის არ ექვემდებარებოდნენ“ (Constantine Porphyrogenitus, De administrando imperio, Greek text edited by Gy. Moravesik. Budapest 1919, p. 124).

ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ არიან ჩამოთვლილი იგივე ტომები, რომლებიც მანუელ კეისრის 116 წლის ნოველაში არიან მოხსენიებული. აქ არიან მოხსენიებული ის ტომები, რომლებიც მაშინ (X საუკუნის წინა ხანებში) ვადამდგარან; არ არიან აქ მოხსენიებული „ლაზები და იბერები“.

<sup>1</sup> Jus Gracco-romanum. Pars III. Novellae constitutiones. Edidit C. F. Zachariae a Lingenthal. Lipsiae 1856, გვ. 485—486.

კონსტანტინე პორფიროგენეტის მასალას უნდა ემყარებოდნენ თეოფანეს გამგრძელებელი და გიორგი კედრენე: უკანასკნელს უწერია:

...*καὶ διὰ καὶ τῶν ἐν Παννονίᾳ καὶ Βαλκμαίᾳ, καὶ τῶν ἐπίκειναι τοῦτων διαχειμῶνων Σκυθῶν, Χρωβῶτων φησὶ καὶ Σερβῶν καὶ Ζαχλοῦβων, Τερβουσιωτῶν τε καὶ Καναλιτῶν καὶ Διοκλητιανῶν καὶ Ῥεντιανῶν, τῆς ἀνέκαθεν Ῥωμαίων ἐπικρατίας ἀφῆρισσάντων καὶ εὐπορίμων καθεστηκότων* (Cedrenus, ed. Bonnæ II, 218, 21 შდდ.) — როდესაც პანონიასა და დალმატიაში მცხოვრებლებმა და ამათ გადაღმა მცხოვრებმა სკვითებმა, ხროვატებმა — ვამბობ შე — და სერბებმა და ხაზლუმებმა, ისევე როგორც ტერვუნიოტებმა და კანალიტებმა, დიოკლეთიანებმა და რენტანებმა, რომელნიც ძველითგან რომაელთა ქვეწევრდომები იყვნენ, გადაადგდნ რომაელთა უღელი და თვითთავადნი გაბდნენ...“.

ამგვარად, არ არის საეჭვო, რომ ნიკეტა ხონიატეს მიერ მოყვანილი ტიტული ბიზანტიის კეისრისა ემყარება მტკიცე წყაროს: სამართლის ძეგლში, 70-ე ნოველაში, მოთავსებული ტიტული მანუელ კეისრისა წარმოადგენს ოფიციალურ წყაროს და მას, როგორც დავინახეთ, მხარს უჭერს როგორც X საუკუნის (კონსტანტინე პორფიროგენეტი და თეოფანეს გამგრძელებელი), ისე XI საუკუნის (კედრენე — სკილიცა) თხზულებებში არსებული ცნობები. ამ თხზულებებში მოხსენებული არიან როგორც ბიზანტიისაგან გადამღდარნი:

## კონსტანტინე პორფ.

## კედრენესთან

დელმატია

პანონია

ხროვატები

დალმატია

სერბები

სკვითები

ხაზლუმები

ხროვატები

ტერვუნიოტები

სერბები

კანალიტები

ხაზლუმები

დიოკლეთიანები

ტერვუნიოტები

რენტანები

კანალიტები

პავანები

დიოკლეთიანები

რენტანები

არა მარტო შინაარსით, არამედ ჩამოთვლილ ხალხთა თანამიმდევრობითაც ეს ორი ცნობა ერთიმეორეს ფარავს, რაც გვაგულისხმევენებს, რომ ისინი ერთისა და იმავე წყაროდან მომდინარეობენ.

თუ კი ზემოთ მოყვანილი ტიტული ბიზანტიის კეისრის ოფიციალური ტიტული იყო იმ საუკუნეებისათვის, როდესაც ეს წყაროებია წარმოშობილი, რატომ არ იხსენიებიან აქ არც ლაზები და არც იბერები? ერთი შესუდვით, საფიქრებელია, რომ ისინი

ან: 1) არ გადამდგარან ბიზანტიისაგან, 2) ან არ ითვლებოდნენ ბიზანტიის ხელქვეითებად. კერძოდ, ლაზების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი:

1204 წელს, როგორც სწერია თამარ მეფის ისტორიაში, თამარი გაანრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიპონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კოტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თუსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილია<sup>1</sup>. როგორც აქედან ჩანს, ლაზეთი 1204 წლის წინა ხანებში ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა და, მაშასადამე, 1166 წლის ბიზანტიურ ნოველაში მისი მოხსენება გამართლებულია.

რაც შეეხება „იბერთა“ მოხსენებას ბიზანტიის კეისრის ტიტულში, ძნელია იმის თქმა, თუ როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი მათი ჩათვლა ბიზანტიის კეისრისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში. იქნებ ამის საბუთი მისცა ბიზანტიის კეისარს იმ გამწვავებულმა ურთიერთობამ. რომელიც 1023 წლის წინა ხანებში შეიქმნა ბასილ II კეისარსა და გიორგი I-ს შორის, როდესაც ბასილი მოვიდა ბასიანს, ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა და აღუთქმიდა ზავსა და მშვიდობასა (ქ. ცხ. I [1955], 287) და რის შედეგადაც „გაგარძელდა მათ შორის ბრძოლა, კულადცა მეოტ იქმნნეს სპანი ქართველთანი და წამოვიდეს მეოტად, მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახლისათა, და რომელნიმე ტყუე იქმნნეს და წარიღეს ავარი დიდძალი და განდი სამეფო, რომელი ჰქონდა თანა“ (ქ. ცხ. I [1955], 287-288).

### იბერია ჯვაროსანთა ომების დროს

Ἐξ δὲ καὶ κλήρουσ εὐλαίων  
καὶ χερῶν ἱερῶντο βάλλειν, ἦν  
ἰδέσθαι: καὶ ἰδέσθαι: ἦν: ἰδὲ πλείσ-  
του τοῦ θανάτου εὐβῶν τρυ-  
μαῶν μὴ ἔσμελλητῆν ἀπὸνοσιν.  
εἴτ' οὖν παρὰνοισιν εἰπεῖν οἰχαι-  
σῶν

როდესაც იმათ<sup>2</sup> დაიწყეს წი-  
ლის ყრა ქალაქებისა და ქვეყნე-  
ბის გასანაწილებლად, უნდა გე-  
ნახათ და გაგვიჩვენებოდათ ამ  
ბისტგადაკრულ კაცთა შეუდა-  
რებელი უგუნურება, უფრო შე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II (1959), გვ. 142; ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია II (1965), გვ. 272—273.

<sup>2</sup> ე. ი. ჯვაროსანებმა, რომელთაც 1204 წელს ბიზანტია აიღეს.

τερον. Ὡς γὰρ βασιλέων ἦδη βασιλεῖς καθιστῶτες καὶ τὸ περιγεῖον ἅπαν ἐν χερσὶν ἔχοντες. τοῖς μὲν Ῥωμαῖοῖς σχοινίσμασιν ἀπογραφεῖς ἐπέστησαν, γινῶναι πρότερον τὰς ἐπατεῖους ἀποφορὰς θέλοντες, εἴθ' οὕτω κατὰ πάλους αὐτὰ μερίσασθαι, τὰς δὲ παρ' ἄλλοις ἔθνεσι καὶ βασιλεῦσι καρπουμένας ἀρχὰς καὶ ἔξουσίαις ἐκ τῶν αὐτίκα διείλοντο. Ἡ τε οὖν ἐν πόλεσιν ἐνδοξίμων καὶ πρὸς τῇ Νεῖλῳ καιμένη, Ἀλεξάνδρεια τῇ τε κλήρῳ ὑπέκειτο καὶ Διβύη, καὶ Διβύης τὰ ἐς Νομάδας καὶ Γάδειρα παρατείνοντα, Πάρθαι τε καὶ Πέρσαι, ἐπὶ δὲ Ἰβήρες ἔθνη καὶ Ἀσσυρία γῆ καὶ Ἕρκυοί, καὶ ὄσα οἱ πρὸς ἕω μέγιστοι ποταμοῖ τοῖς ἑσασὶ διειλήφασαν (CB, p. 787, 10—788, 1).

კანელები და რაც კი აღმოსავლეთით უდიდესი მდინარეების წყლებით არის შემოსაზღვრული.

საფერისად რომ ვთქვათ, სიგიჟე, თითქოს უკვე მეფეთა-მეფეები გამხდარიყვნენ და მთელი დედამიწა ხელში ჰქონოდეთ, რომაელთა სამფლობელოების აღმწერლები დანიშნეს იმ სურვილით, რათა წინასწარ სკოდნოდათ რა ყოველწლიური გადასახადები შემოუვიდოდათ, და ამრიგად შემდეგ ისინი გაეყოთ ერთმანეთში წილისწიოთ, ხოლო სხვა ტომებსა და მეფეებთან არსებული მოხარკე სამფლობელოები და საკელოები მაშინვე გაინაწილეს; ასეთ ბედში მოხვდნენ: მდიდარი და ნილოსის გასწვრივ მდებარე ალექსანდრია და ლიბია, ლიბიიდან ნუმადიამდე და ლადირთამდე გადაჭიმული მხარეები, პართები და სპარსელები, შემდეგ აღმოსავლელი იბერიები და ასირიის ქვეყანა, ჰირ-

ნიკეტა ხონიატე აქ განასხვავებს ჯვაროსანთა პოლიტიკას 1) თვით ბიზანტიის მიმართ და 2) ბიზანტიისაგან დამოკიდებულებაში მყოფ ქვეყნების მიმართ. ამ ცნობით:

1) ჯვაროსნებმა 1204 წელს მათი გამარჯვების შემდეგ ბიზანტიის პროვინციებში მოხელეები დაგზავნეს, რათა აღეწერათ ეს მხარეები ყოველწლიური გადასახადების შეწერის მიზნით, ხოლო

2) ის მხარეები, რომლებიც ბიზანტიის იმპერიას კი არ ეკუთვნოდნენ, არამედ მის მოხარკე სამფლობელოებად (καρπουμένας ἀρχὰς καὶ ἔξουσίαις) ირიცხებოდნენ, მაშინვე გაინაწილეს. ამ უკანასკნელთა რიცხვში დასახელებულია აღმოსავლეთი იბერია (Ἰβήρες ἔθνη — აღმოსავლელი იბერიები).

თუ რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს, ძნელია ამის თქმა, რამდენადაც სხვა არც ერთი წყარო ამაზე არაფერს ლაპარაკობს. ჩვენ იმდენად ვაქცევთ ყურადღებას ამ ცნობას, რამდენადაც იქ მოხსენებულია იბერია, როგორც ერთგვარად დამოკიდებული ბიზანტიისაგან, და ამდენად შეიძლება ეს ცნობაც გამოვიყენოთ იმის გასაგებად, თუ რატომ არის იბერიაც მოხსენებული ბიზანტიის კეისრის ტიტულში (იხ. ზემოთ გვ. 134 — 136).

რაც შეეხება ფაქტიურ მდგომარეობას, თუ რამდენად სარწმუნოა, რომ ჯვაროსანთა მიერ ერთმანეთში განაწილებულ ქვეყნებს შორის იბერიაც იყო, ამის შესახებ ნებას მივცემთ ჩვენს თავს მოვიყვანოთ სარატოველი პროფესორის ნ. პ. სოკოლოვის აზრი; მკვლევარს მოჰყავს ნიკეტა ხონიატეს ჩვენ მიერ ზემოთ მოთავსებული ცნობა ჯვაროსანთა მიერ ბიზანტიის მოხარკე მხარეების ერთმანეთში განაწილების შესახებ და დაასკვნის: Нужно сказать, что во всем этом нет ни слова правды, ни одна из этих территорий в договоре<sup>1</sup> не упоминается<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იგულისხმება ის ხელშეკრულება, რომელიც დადეს ჯვაროსნებმა 1204 წლის მარტში, ე. წ. „განაწილების აქტი“.

<sup>2</sup> Н. П. Соколов, Образование Венецианской колониальной империи, Саратов 1963, გვ. 397.

## იოანე კინამოსი

იოანე კინამოსი (*Ἰωάννης Κίναμος*) დაიბადა 1143 წლის მახლობელ ხანებში. ამის შესახებ ის თვითონ წერს თავის საისტორიო შრომაში: ჩვენ გამოვაგლენთ ორი მეფის მოღვაწეობას, რომელთაგან ერთმა თავისი სიცოცხლე დაამთავრა, ვიდრე ჩვენ დავიბადებოდით, ხოლო მეორე ჩვენ დროს ყვაოდა და გარდაცვალების შემდეგ სამეფო დაუტოვა თავის მცირეწლოვან ვაჟს. ეს მეფეები არიან იოანე და მანუელ კომნენოსები». აქ მოხსენებულ მეფეთაგან იოანე II კომნენოსი გარდაიცვალა 1143 წელს (და, მაშასადამე, იოანე კინამოსი დაბადებულა 1143 წლის შემდეგ). ხოლო მანუელ I კომნენოსი 1143—1180 წლებში მეფობდა და 1180 წელს სამეფო ტახტი გადავიდა მცირეწლოვან ალექსი II კომნენოსის ხელში.

ამგვარად, იოანე კინამოსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მანუელ I კომნენოსის დროს (1143—1180). როგორც იოანე კინამოსის შრომის სათაურიდან ჩანს, იგი იყო „სამეფო მდივანი“ (*πρωτοβουλος*), და კეისრის მახლობელი ადამიანი. ის ახალგაზრდობაში მონაწილეობდა მანუილ კეისრის ლაშქრობებში. მისი შრომიდან ჩანს, რომ სამხედრო საქმეების საფუძვლიანი ცოდნა ჰქონია და, მაშასადამე, სამხედრო განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული.

არჩევანში იყო, რომელი ორთა-  
გან ეთხოვა: ღუქას მეუღლე,  
მეორედ დიოგენეზე გათხოვილი  
ევდოკია, თუ ახლახან მმეტობი  
მიხეილის მეუღლე მარიამ  
ალანელი.

გზავნის კაცებს რომ მოჰგვა-  
რონ ევდოკია: ისიც დიდი სიხა-  
რულით მოჰყვა მათ. ეს რომ  
შეიტყო მონაზონმა, რომელიც  
მაშინ თავისი სათნოებით სახელ-  
განთქმული იყო და რომელსაც  
ყოვლად-წმინდას ეძახდნენ, ყო-  
ველგვარი სხვა სახელის მაგიერ,  
მან ყოველნაირად სცადა დაებრ-  
კოლებინა ეს უმსგავსი საქციელი

და, აი, მეთეს მოჰყავს, ყოვ-  
ლად უსირცხვილოდ, მარიამი და  
ეულებდა მას წმინდა ქორწინე-  
ბით, და ის მღვდელი მაშინვე  
შერიხულ იქმნა, რადგან აშკარა  
მეძავობა დააკანონა.

ხოლო მიხეილი, პატრიარქის  
დადგენილებით, გაკრიჭეს და  
მიტროპოლიტად ხელთდასხმული  
ევდოსოს არქიელად დაინიშნა.  
მხოლოდ ერთხელ ჩავიდა იმ ქა-  
ლაქში (ე. ი. ეფესოში) და, უკან



τοῦ Μανουὴλ μονῆ, χερσὶν ἰδίας ἐργαζόμενος. Ἐπιμήθη δὲ διαπερόντως ὑπὸ τοῦ μετὰ ταῦτα βασιλεύσαντος Ἀλεξίου τοῦ Κομνηνοῦ, ἐφ' οὗ δὴ καὶ ἐκοιμήθη, τὴν ἑαυτοῦ σύζυγον Μαρίαν μετὰ τὴν τοῦ Βοτανειάτου καθάρσεισιν μοναχὴν γενομένην συμπαθείας τῶν εἰς αὐτὴν ἑπτασιμένων ἄξιώσας ἐκ τῆ τελευταῖ (CB II 738, 5 — 739, 4).

ლებით თანაგრძნობა დაიმსახურა

რომ დაბრუნდა, დარჩა მანუელის სახელობის მონასტერში და საკუთარი ხელებით მუშაობდა. მას განსაკუთრებულად სცემდა პატივს ალექსი კომნენოსი, რომელიც ამ ამბების შემდეგ მეფობდა და რომლიც დროსაც იგი გარდაიცვალა, ხოლო თავისი (ე. ი. მისი) მეუღლე მარიაში ბოტანიატეს ჩამოვადების შემდეგ მოლოზან-იქმნა და თავისი გარდაცვიმისათვის, რაც კი ჩაუდენია.

### მარიამის ვაჟი კონსტანტინე

Ἀποστείλας δὲ πρὸς τὸν τὴν Λογγυβαρδίαν κατέχοντα Φράγγον Ρουμπερτόν καλοῦμενον τὴν αὐτοῦ θυγατέρα τῇ σὺν Κωνσταντίνῳ γυναῖκα ἵγγάγετο, Ἐλένην μετονομάσας αὐτὴν (CB II, 720).

კიციები გაგზავნა (მიხეილმა) ლონგიბარდიის მფლობელ ფრანკთან, რომელსაც რობერტი ერქვა, და მოიყვანა თავისი ვაჟისთვის, კონსტანტინესთვის, ცოლად რობერტის ასული, რომელსაც სახელი შეუცვალეს და ელენე უწოდეს<sup>1</sup>.

### მიხეილ VII. მარიამი და კონსტანტინე

| დედაქალაქი კონსტანტინეპოლი, ყველა დიდებული, ვინც კი ქალაქებსა და დაბებში იყვნენ, აგრეთვე ეკლესიის მეთაურები შეიკრიბნენ აია სოფიის ტაძარში და ბოტანიატე გამოაცხადეს მეფედ;

<sup>1</sup> ნიკიფორე ვრიგენიოსის გადმოცემული აქვს თავის „ისტორიაში“ ის ეპიზოდი, რომელიც ეხება ნიკიფორე ბოტანიატეს და მარიამის ჯვრის წერას. ვრიგენიოსიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რამდენადაც მარიამის პირველი ქმარი მიხეილ VII ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, აგრეთვე ცოცხალი იყო ნიკიფორე ბოტანიატეს მეორე ცოლი, ამდენად ის მღვდელი ეტოდვას ჩაიდენდა შეძაობისა (μαυχέισαν) და სამეოლიანობის კურთხევით (იხ. გეორგიკა, ტ. V [1963], გვ. 311—312).

<sup>2</sup> ანა კომნენეს დაწვრილებით აქვს მოთხრობილი რობერტის ასულის, ელენეს, დანიშნის შესახებ კონსტანტინეზე. იხ. ზემოთ გვ. 39—42. კონსტანტინე 1074 წელს დაიბადა და, მაშასადამე, ის რომ მიხეილ VII-ის დროს (1071—1079 წ.წ.) დანიშნეს ელენეზე, მთლად ბავშვი იქნებოდა, ოთხი-ხუთი წლისა.

ამათ მეთაურობდნენ ანტიოქიის პატრიარქი ემილიანე და იკონიის მიტროპოლიტი.]

Συννέει: τε πᾶς ὁ κληρὸς αὐτοῖς καὶ ὁ σύγκλητος καὶ ἡ πόλις σχεδὸν ἅπασα.

Καὶ διαιρεθίντες κατὰ φαρίας<sup>1</sup> οἱ τῆς πολιτείας ἐπώνυμοι συνταγματάρχας τε προβάλλονται καὶ λόχους ἐπιφανεῖς συνεστήσαντο.

Κυριεύουσι δὲ καὶ τῶν ἀνακτόρων ἐξ ἐφόδου καὶ στρατιώτας ἐφιστῶσι, τοὺς τοῦ βασιλέως Μιχαὴλ ἐκδιώξαντες, πολέμῳ τὸ μισθοφορικὸν καταγωνισάμενοι.

Καθαιροῦσι δὲ καὶ τὸν βασιλεύοντα Μιχαὴλ φυγόντα εἰς τὰ ἐν Βλαχέρναις ἀνάκτορα σὺν τῇ Ἀθροῦσῃ Μαρίᾳ τῇ ἐξ Ἀλάγων καὶ τῇ τοῦτου παιδί Κωνσταντίνῳ τῷ Πορφυρογεννήτῳ, καὶ πρὸς τὸν μονήρη μεταλλάτουσι βίον, τῇ τοῦ Στουδίου μετ' εὐτελοῦς τοῦ ὑποζυγίου παρακμιψαντες μονῆ, μοναρχήσαντα χρόνους ἕξ, ἐν αὐτῷ τῷ Σαββάτῳ ἢ ἢ ἐπὶ Δαζάρῳ θάυματουργία παρὰ τῶν πιστῶν ἐορτάζεται (CB II, 784).

### ფარესმანე იბერი

Ὁ δὲ βασιλεὺς ἐπανελθὼν εἰς τὸν χάρακα μετὰ τῆν τῶν ἐχθρῶν ἀποσέβησιν ἔγνω τὴν ἀκρόπολιν τῆς Ἱεραπόλεως ἐνοικησαι. Κατα-

მათ შეუერთდა მთელი სამღვდელეობა და დირბაზის-ერი და თითქმის მთელი ქალაქი.

და ფრატრიებად დაიყვნენ სახელმწიფოს დიდებულნი, წამოაყენეს ერისმთავარნი და ბრწყინვალე სარდლები დააყენეს.

ერთბაშად დაეუფლნენ აგრეთვე სასახლეებს, ჯარისკაცები ჩააყენეს, მიხვილ შეფის კაცები გააძევეს და საბრძოლველად დაქირავებული ჯარი დაიმორჩილეს.

მეფე მიხვილი გადააყენეს და ის გაიქცა ვლახერხნის სასახლეში, მასთან ერთად მუდღე ავგუსტა ალანთავანი და მისი ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტი; და მარტომყოფ ცხოვრებად შეუცვალეს, ვაგზავნეს რა სტუდიელთა მონასტერში უბრალო სახეღარით, მის შემდეგ რაც იმეფა ექვსი წელი, იმავე შაბათს, როდესაც მორწმუნენი დღესასწაულობენ ლაზარეს საკვირველებას<sup>2</sup>.

ხოლო მეფე ბანაკში რომ დაბრუნდა მტრის უკუქცევის შემდეგ, ვადაწყვიტა აეგო იერაპოლის აკროპოლისი და, აი, მან

<sup>1</sup> გ. ი. ფარίας.

<sup>2</sup> სკილიცეს გამგრძელელების ეს ნაწევრი მთლიანად შესულია იოველის „ქრონოგრაფიამი“. იხ. ზემოთ გვ. 160.

στήσας οὖν τὸν Φαρσεμάγην  
 ἔκεινον βέστην τὸν Ἀποκάπης  
 ἐξ Ἰβήρων τὸ γένος ἔλκοντα,  
 χώραν δέδωκε τοῖς ἐναντίοις ἀνα-  
 καλέσασθαι τε τὴν ἡτταν καὶ  
 ἀντίπαλον φέρεσθαι. (CB II,  
 675, 21—676, 3).

დანიშნა ამ აკროპოლისის უფრო-  
 სად ის ფარესმანე, ვესტი  
 ამოკაბისა, ტომით იბერი და  
 მოწინააღმდეგეებს საშუალება  
 მისცა ზარალიც აენაზლაურები-  
 ნათ და საწინააღმდეგოსთვისაც  
 მიეღწიათ (ე. ი. გამარჯვებაც  
 აღედგინათ).

[სკილიცეს გამგროვლებელს\* ეს ცნობა ამოღებული აქვს მიხეილ ატალი-  
 ტეს „ისტორიიდან“, ხოლო ამ ტექსტი ცოტა განსხვავებულია „სკილიცეს გამ-  
 გროვებლის“ ტექსტისაგან].

Ἐπανελθὼν δ' ὁ βασιλεὺς εἰς  
 τὴν χάρακα μετὰ τὴν τῶν ἐχθρῶν  
 ἀποσόβησιν, ἔγνω τὴν ἀκρόπολιν  
 τῆς Ἱεραπόλεως ἐνοικίσει: καὶ  
 στρατηγὸν ἀποδείξει ταύτης, ἐφ'  
 ἣ κατὰ μικρὸν καὶ τὴν ἄλλην  
 πόλιν Ῥωμαίων γενέσθαι: καὶ  
 Ἀρμενίων κατοικητήριον.

ხოლო მეფე ბანაკში რომ და-  
 ბრუნდა მტრის უკუქცევის შემ-  
 დგ, ვადაწყვიტა აეგო იერაპო-  
 ლის აკროპოლისი და მისი სტრა-  
 ტეგოსიც დანიშნა, რათა მოკლე  
 ხანში ის რომაელთა მეორე ქი-  
 ლაქი ყოფილიყო და არმენიელთა  
 სადგომი.

Καὶ διὰ τοῦτο χρονίσας ἐκεί-  
 σε, καὶ προურάν, ὅση τις ἐδόξα:  
 πρὸς φυλακὴν αὐτάρκης, καὶ  
 στρατηγὸν ἐπιστήσας Φαρσα-  
 μάτιον ἔκεινον βέστην τὸν Ἀπο-  
 κάπην, ἐξ Ἀρμενίων τὸ γέ-  
 νος ἔλκοντα, χώραν δέδωκε τοῖς  
 ἐναντίοις ἀνακαλέσασθαι τε τὴν  
 ἡτταν καὶ ἀντίπαλα φέρεσθαι  
 (CB 116, 4—13).

და ამიტომ დააყოვნა მან ბქ,  
 და მეციხოვნენი, რამდენიც კი  
 მას საკმარისად მოაჩნდა დასაცა-  
 ვად, და სარდალი ფარასმა-  
 ტი ჩააყენა, ის ვესტი ამოკაბი,  
 წარმოშობით არმენიელთაგან,  
 რითაც საშუალება მისცა მტერს,  
 რათა ზარალი აენაზლაურები-  
 ნა და მდგომარეობა გაეთანაბრე-  
 ბინა.

ხეზომოყვანილ ნაწყვეტში გადმოცემულია 1068—1069 წლის  
 ამბები. კეისარმა რომანოზ დიოგენემ (1067—1071) ვადაწყვიტა  
 ელაშქრა მტრის წინააღმდეგ, რომელსაც დაეპყრა და გაენადგურე-  
 ბინა კელი-სიროა, კილიკია და თვით ანტიოქია. რომანოზმა ალყა

შემოართყა იერაპოლისს (მისი ძველი სახელია Βαμψάκη, არაბულად „მანბიჯ“, Μέμπεჯე) და 1068 წლის 20 ნოემბერს მტერი დაამარცხა. იერაპოლისს აღების შემდეგ მან ჩააყენა იქ გარნიზონი ფარსმანის მეთაურობით<sup>1</sup>.

ფარსმანი<sup>2</sup> მიხეილ ატალიატეს „ისტორიაში“ მოხსენებულია როგორც არმენიელი (ἐξ Ἀρμενίων τὸ γένος ἔλασται), ხოლო სკილიცეს გამგრძელებელი, რომელიც, როგორც ცნობილია, თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოიწერს ხოლმე მიხეილ ატალიატეს „ისტორიის“ ტექსტს, გარკვევით ამბობს ἐξ Ἰβήρων τὸ γένος ἔλασται. აქედან ჩანს, რომ სკილიცეს გამგრძელებელი ბრმად კი არ იწერდა ატალიატეს ტექსტს, არამედ მას ჰქონია აგრეთვე სხვა წყაროებიც, რომელთა მიხედვითაც ამოწმებდა მიხეილ ატალიატეს ცნობებს.

<sup>1</sup> E. Honigmann, Die Ostgrenze des Byzantinischen Reiches. Bruxelles 1935, გვ. 119.

<sup>2</sup> მისი სახელის ვარიანტებია: ა) მიხეილ ატალიატეს „ისტორიის“ ხელნაწერებში Φαρασμάσιον და Φαρασμέσιον; ბ) სკილიცეს გამგრძელებლის ტექსტში Φαρασμάσιον, ხოლო გ) მიხეილ ატალიატეს გამოცემულს (CB) უწერია Φαρασμέσιον. იხ. H. Thurn, Textgeschichtliches zu Michael Attalciates: BZ 57 (1964), გვ. 297.

## კონსტანტინე მანასე

კონსტანტინე მანასე (Κωνσταντίνος Μανασής) XII საუკუნის მოღვაწეა. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია შემდეგი ფაქტები: 1) იგი ნავბაქტის მიტროპოლიტი იყო და ამ თანამდებობაზე იყო, რომ 1187 წელს გარდაიცვალა. 2) მანუელ I კეისრის (1143—1180) რძლის (მისი ძმის სევასტოკრატ ანდრონიკეს ცოლის) ირინეს დავალებით დაუწერია თავისი „ქრონიკა“, რასაც მოწმობს ზოგიერთ ხელნაწერში არსებული ლეგმა-სათაური: 'Εξεφωνήθη δὲ πρὸς τὴν σεβαστοκρατορίσσαν Ἐιρήνην τὴν γάμψην τὸν βασιλέως κურῶν Μανουήλ σὺν τῷ ἀντιμέλει φη ἀπὸν κურῶν Ἀνδρονίκῳ.

კონსტანტინე მანასეს ეკუთვნის რამდენიმე საყურადღებო შრომა:

1. „ქრონიკა“, *Σύνοψις ἱστορίας*, რომელიც დაწერილია ე. წ. პოლიტიკური ლექსით, თ ხ უ თ მ ე ტ მ ა რ ც ე ლ ო ვ ა ნ ა თ ო ო, და მოიცავს ამბებს „დასაბამითგან ქვეყნისა“ ვიდრე ნიკიფორე ბოტანიატამდე, 1081 წლამდე, როგორც ზემოთ ითქვა. „ქრონიკა“ შეადგინა კონსტანტინე მანასემ მანუელის რძლის, ირინეს დავალებით. ზოგიერთ ხელნაწერში მისი სათაურია: *Τὸν κურῶν Κωνσταντίνου τὸν Μανασή, «Σύνοψις Χρονική, ἀρχομένη ἀπὸ κοσμοποιίας μέχρι τὸν κურῶν Νικηφόρου τὸν Βοτανειάτου. სხვა ხელნაწერებში კიდევ სწერია: Τὸν φιλοσφόρου κურῶν Κωνσταντίνου τὸν Μανασή «Σύνοψις χρονική» δὲ: σελῶν, ἀπὸ χτίσεως κόσμου τὴν ἀρχὴν ποιουμένη καὶ διήκουσα μέχρι τῆς βασιλείας κურῶν Νικηφόρου τὸν Βοτανειάτου (და შემდეგ მოსდევს ზემოთ მოყვანილი ლეგმა ირინეს შესახებ).*

2. რომანი „არისტანდრეს და კალითეს სიყვარულის ცხრა წიგნი“. ამ რომანის არც ერთი ხელნაწერი ჯერ აღმოჩენილი არაა; ცნობილია მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტი (საკმაოდ ვრცელი), რომლებიც შეუტანია XIV საუკუნის მწერალს მაკარი ხრიისოკეფალეს თავის კრებულში *Ῥομάναι* („ვარდის ბალი“, „ვარდფანჯები“); ამ რომანის რამდენიმე ფრაგმენტი მოიპოვება აგრეთვე უსახელოდ ვადმოკემულ ერთ „ანთოლოგიაში“ (იხ. R. Hercher-ის გამოცემაში: *Scriptores erotici graeci, vol. II. Leipzig, BT, 1859*). იმ დროს როდესაც XII საუკუნის სხვა რომანისტები ხმარობენ

ამბურ ტრიმეტრს, კონსტანტინე მანასეს ეს რომანი დაწერილი ჰქონია ხალხური საზომით, თხუთმეტმარცვლიანი ლექსით.

მოგვყავს ნიმუში ასეთი ლექსისა:

Τοῖς παροργισίς Ἐρωτος ἠπυρατεῖν τὸν οἶνον.

Ἐντενθεῖν οἶνος λέγετα: γάλα τῆς Ἀφροδίτης<sup>1</sup>.

„ღვინო ემსახურება ეროსის სააღვზნებო საქმეებს.

„ამიტომ ამბობენ, რომ ღვინო აფროდიტეს რძე არისო“.

3. სამგლოვიარო სიტყვა, წარმოთქმული 1173 წელს ნიკიფორე კომნენოსის გარდაცვალების გამო.

ნიკიფორე კომნენოსი იყო ანნა კომნენეს და კესაროს ნიკიფორე ვრიენიოსის შვილიშვილი. მას სჭერია თანამდებობა ἡ ἐπὶ τῶν ὀψήσων, რომლის მოვალეობას შეადგენდა მეფის სახელზე შემოსული განცხადებების მოვლა, აგრეთვე იმ განცხადებებისა, რომლებშიც უჩიოდნენ თანამდებობის პირებს<sup>2</sup>. ნიკიფორე კომნენოსი გარდაცვლილა ჯერ კიდევ ახალგაზრდა.

კონსტანტინე მანასეს ეს სიტყვა გამოსცა ე. კურცმა (Δόγαις ἐπιχώθειος τῶν ψλοισθῶν κερὶν Κωνσταντίνου τῶν Μανασσῆ παρὰ τὸν ἀποιχόμενον ἐπὶ τῶν ὀψήσων κερὶν Νικηφόρου τὸν Κομνηνὸν τὸν ἔαχονον τῶν καίσαρος — „ფილოსოფოს უფალ კონსტანტინე მანასეს სამგლოვიარო სიტყვა, შედგენილი თხოვნათა მიძღვბ მოხელის, კესაროს ვრიენიოსის შვილიშვილის ნიკიფორე კომნენოსის გარდაცვალების გამო“)<sup>3</sup>.

კონსტანტინე მანასეს ეკუთვნის რამდენიმე სხვა ნაშრომიც (სიტყვები, წერილები და სხვ.)<sup>4</sup>.

ლიტერატურა:

Constantini Manassis Breviarium historiae metricum. Recognovit Immanuel Bekkerus. Bonnæ 1837.

<sup>1</sup> იხ. *Erotici scriptores graeci. Recognovit Rudolphus Hercher. Tomus alter. Lipsiae 1859*, გვ. 567. ჰერხერის ამ გამოცემის 553—577 გვერდებზე დაბეჭდილია კონსტანტინე მანასეს რომანის მოღწეული ფრაგმენტები: *Ἐκ τῶν κατὰ Ἀρίσταρχου καὶ Καλλιθέαν ἐννεὰ λόγοι*. მოღწეულია პირველი წიგნის 68 ტაბი; II—95 ტაბი; III—72; IV—76; V—54; VI—65; VII—51; VIII—42; IX, 84.

<sup>2</sup> Н. Скабалянович, *Византийское государство и церковь в XI веке*. СПб 1884, გვ. 175.

<sup>3</sup> იხ. *Виз. Временник XVII (1911)*, გვ. 302.

<sup>4</sup> К. Krumphacher *GBL*<sup>3</sup>, 376—380; G. Moravcsik, *Byzantinoturcica II*<sup>2</sup>, 353—386.



Migne, Patrologia graeca, t. 127, 219—472.

R. H e r c h e r, Erotici scriptores graeci, tomus alter, L. 1859, 553—577.

Э. Курц, Евстафия Фессалоникского и Константина Манаassi монодии на кончину Никифора Комнина: В. Вр. 17 (1911), 283—322.

### ბარდას აჯანყება და იბერები

Καὶ Βάρδας μὲν ὑπέκλυσε τῆ τὸν κρατοῦντος ῥάβδῳ,	და ბარდა მოიდროცა ხელმწიფის ჯობის ქვეშ,
Καὶ πάντες ὑπεστάλησαν λάθρᾳ βασίλει:ωντες,	და ყველანი, ფარულად მეფობის მაძიებელნი, იოტნენ,
Ἐίχε δ' ἐνθὺς Βασίλειον Ἰβηρᾶν ἐπιναρχία	და არაბთა სამფლობელომ მაშინვე ბასილი მიიქუა,
Καὶ Φάσιδος τὲ πότμον Ἰβηρο- τρῶσον χεῖρσον	და ფაზისის იბერთ-მკვებავმა მტკნარმა მდინარებამ,
Καὶ γῆ Φοινίκων βλάβασα ταυτὲν ὥσσι πρηστῆρα.	და ფინიკიელთა ქვეყანამ, რომე- ლიც უყურებდა მის როგორც გრიგალს.
Ἐφριζαν τοῦτον Ἰβηρες, ἐπηξῆαν Ταυροσκάμαι.	იბერებს მისი შეეშინდათ, ტავ- რო-სკვითები შედრკნენ.
Ὁ γὰρ ῥος ἐδραπέτευεν ἐκείνος Ἰβηράρχης.	ის ამაცი იბერთ-მთავარი წავიდა.
Οὐτως ὄξείως ἀπασαν ἐπέδραμεν Ἀσίαν	ასე სწრაფად მთელი აზია და- ლაშქრა <sup>1</sup> . (ტ. 5962—5969)

<sup>1</sup> ამ ნაწივეტში, თითქოს, იმაზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომ ბარდა სკლია-როსის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ბასილ II-მ ნაკურ პოლიტიკას მიმართა, ყვე-ლანი, ფარულად მეფობის მაძიებელნი, იოტნენთა რომ ამბობს კონსტანტინე მანასე, იგულისხმებთან, ალბათ, ჯერ ბარდა სკლიაროსი და მერე ბარდა ფოკა. 987 წელს აჯანყებულ ბარდა ფოკას მიეშველა დავით კუროპალატი, რამაც გამო-იწვია ბასილის რისხვა (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, კ. ერის ისტორია II [1965], 128): «ამაცი იბერთ-მთავარი (Ἰβηράρχης)», საფიქრებელია ჰგულისხმობდეს დავით კუროპალატს. ბასილ კვისარს ავტორი ადარებს გრიგალს, რომელმაც «სწრაფად მთელი აზია დალაშქრა».

ამის შემდეგ კონსტანტინე მანასე ლაპარაკობს დანარჩენ მხარეებზედაც, სადაც ბასილ II-მ ილაშქრა.

## მიხეილ VII პარაპინაკი და მიხი მეუღლე მარიამი

Γράμματα γὰρ κατάπτερα πάντῃ  
περιεφοίτων

Πάσας ἀποτειχίζοντα τῷ Ῥωμανῷ  
τὰς πόλεις.

Ἐντεῦθεν ὁ ταλαίπωρος ἔρημος  
περιήει,

Ἄφιλος, ἀβροῦθητος, ἄλλος Βελ-  
λεροφόντης,

Τοῦ κράτους ἀποσφαιρισθεὶς ὡσπερ  
ἀπὸ Πηγᾶσου,

Ἔτεσι μόνοις ἐν τρισὶ τοῦ κράτους  
ἀπολάσας.

Ἄλλ' οὐδὲ πάλιν ἢ πυρὰ τοῦ  
φθίνου κατεσβέσθη.

Ὁ γὰρ τοὶ Δοῦκας Μιχαὴλ ὁ παῖς  
τοῦ Κωνσταντίνου

Πρὸς τὴν ἀκμὴν ἐπαναβὰς ἦδη  
τῶν νεανίσκων

Καὶ χνοῦν ἐπαγγελλόμενος ἰούλου  
τοῖς κροτάφοις,

Τῷ Καίσαρι χρησάμενος τῷ θεῷ  
συνερίθῃ

Καὶ τοῖς ὑπερισχύουσι καὶ τοῖς  
ἐν στραταρχίαις,

Ἐγκαθίζαναι μὲν εὐμύς τοῖς  
θρόνοις τοῖς πατρίοις,

წერილები იგზავნება სასწრაფოდ  
ყველგან,

რათა ყველა ქალაქი გაიმიჯნოს  
რომანოზისაგან<sup>1</sup>.

ამიტომ მოხდა. რომ საწყალი  
ყარობად დაიარება,

მეგობრებისგან მიტოვებული, და-  
ხმარებას მოკლებული, მეორე

ბელეროფონტი,  
ტახტიდან გადმოგდებული, ვი-

თარცა ის პეგასისაგან<sup>2</sup>,  
მხოლოდ სამ წელს ტახტის მგე-

მებელი,  
მაგრამ მოშურნეობის კოცონი

კვლავ არ ჩამქრალიყო:  
რამეთუ კონსტანტინეს შვილმა,

მიხეილ დუკამ,  
ქაბუკობის ასაკს უკვე მიღწეულმა

და ლაწვებზე ლინლით შემო-  
სილმა

ლეთის-სწორი კენისის თანამე-  
საყდრემ<sup>3</sup> ჩაიბარა რა

საქმეები მისი, და ხელისუფალთა  
და ჯარის-სარდალთა საქმეები,

მამისეულ ტახტზე დაჯდა მაშინვე,

<sup>1</sup> რომანოზ IV დიოკენე (1067—1071). მიხეილ დუკას დედის. ვედოკია მკრემბოლიტისას, მეორე ქმარი.

<sup>2</sup> ცნობილია მითი იმანზე, რომ ბელეროფონტმა მოიპოვა ჯადოქარი რაში (პეგასი); ბელეროფონტმა მოინდომა ერთბელ ზეცაში აფრენილიყო ამ რაშით, მაგრამ ჩამოვარდა.

<sup>3</sup> მიხეილ დუკა თანამოსაყდრედ იყო ჯერ კიდევ 1067 წელს. იხ. Fr. Dölgger Regesten... II, 16.

Καὶ τὴν τεκοῦσαν στέγουσαν πολλὰ καὶ γοωμένην	და მშობელი დედა <sup>1</sup> , დიდად მკვნესარი და მტირალი
Ἰὼν περιβόλων τῆς ἀρχῆς ἄκουσαν ἀπελάυνει	სახელისუფლო ბჭეთაგან ძალით გაიგდო
Καὶ τίθησι μοναστήριον...	და შეიმოლოვნა...
Μαθὼν δὲ καὶ τὸν Ῥωμανὸν πάλιν βασιλευῶντα,	როდესაც შეიტყო, რომ რომა- ნოზი კვლავ მეფობას აპირებდა,
Καὶ πάλιν ἤς ἐκπέπτωκεν ἀρχῆς ὀρεκτιῶντα...	და კვლავ ისწრაფოდა ტახტის- კენ, საიდანაც ჩამოვარდა...
Πέμπει: τοὺς πολεμήσοντα; καὶ τοὺς συλληφόμενους...	გავზავნა მიხეილმა მის წინააღმ- დეგ საომრად და შესაპყრობად <sup>2</sup> .
Ἀπαλλαγείς δὲ Μιχαὴλ τῶν πα- ρεστῶτων φόβων	როდესაც მიხეილი გადაურჩა ჩა- მოწოლილ საშინროებას
Ἀχείμαστον <sup>3</sup> τε τῆς ἀρχῆς παρα- λαβὼν τὸ σκάφος,	და ჩაიბარა სამეფოს უშიშარი ხომალდი,
Θορόβους μὲν ἀρείχους καὶ θωρα- κοφορίας	საომარ არევ-დარევას და აბ- ჯართ-ქლარუნს,
Καὶ θρόνον τὸν ἐνυάλιον καὶ μόχ- θους καὶ κινδύνους	მსახრავ ბრძოლებს, უბედურე- ბებს და ხიფათს
Ὅσδ' ὕναρ ἐφαντάζετο...	სიხმარშიც კი ვერ წარმოიდ- გენდა...
Εἰς δὲ τις μεγαλογενῆς καὶ τῶν ἐκ πρώτης ρίζης,	მაგრამ ერთი ვინმე დიდგვარიანი და პირველფეუძიანთაგანი,
Ἐραΐτερος μακρόβιος, Πύλιος ἄλλος Νέστωρ	საკმაოდ ხანდაზმული, მეორე პი- ლოსელი ნესტორი
(Βοτανειάτην ἔλεγον ἐκεῖνον Νικη- φόρον)...	(ასე ეძახდნენ ნიკიფორე ბოტა- ნიატეს)...
Καταλαμβάνει Νίκαιαν, πέμπει πρὸς τὸν κρατοῦντα	ხელთ იგდებს ნიკეას, უგზავნის ხელმწიფეს

<sup>1</sup> ვედოკია იყო მიხეილ დუკას მშობელი დედა და საკვირველია, რომ ჰ. გელცერის „მოკლე ისტორიაჰი“, რომელიც ე. კრუმბაბერის GBL-ს აქვს დართული, სწერია: Eudokia und ihr ältester Stiefsohn Michael Dukas (GBL, 1011; და რუსულ თარგმანრიც: Евдокия и ее старший пасынок — Бенемевия, Очерки I, 124). კონსტანტინე მანასეს (და სხვებსაც) გარკვევით უწერია: τὴν τεκοῦσαν „მშობელი დედა“.

<sup>2</sup> რომანოზი შეიპყრეს, თვალეზი დასთხარეს და პირქუშ კუნძულზე გადა-  
კარგეს.

<sup>3</sup> უფრო მოკლელდით: ἀχείμαστον ან ἀχείμαντον.

Γράμμα παραινετήριον ἔθηκεν,  
 αὐτὸν συμπεῖθον  
 Ἄναμωτί τῷ γέροντι: τῶν σκήπτρων ἠπακτῆναι,  
 Αὐτὸν δ' ὡς ἀπειρόμαχον ζῆς ἐν ἀπραγμοσύνη.  
 Καὶ τί πολλὰ καὶ περιττά; φθίνει τὴν βασιλείαν,  
 Καὶ πορφυρίδι μὲν αὐτὸς κοσμεῖται χρυσοπάστῳ,  
 Ὁ πρὶν δὲ κράτωρ Μιχαήλ γίνεται: μελαμφορός,  
 Ἔτεσιν ἕξ γευσάμενος τοῦ βασιλείου κράτους.  
 Ἄλλὰ γὰρ ἐκλαθόμενοι αὐτοῦ τε καὶ τοῦ γήρωος  
 Ὁ γέρον ὁ παλαιγενῆς οὗτος ὁ Νικηφόρος  
 Τῷ γαμετῷ τοῦ Μιχαήλ ζῆσύντα: νόμῳ γάμοι,  
 Καὶ ταῦτα γέρον τρυφερόν, πέμπτελος νεαζούσῃ.  
 Αὐτὸν δὲ βαρυνόμενον καὶ θυσανασχετοῦντα  
 Τῆς Ἐφεσίων πόλεως ποιμένα καμίστανει.

დამრიგებლობითს წერილს და ურჩევს მას სისხლის დაუღვრელად დაუთმოს მოხუცს სკიპტრა, თვითონ კი ბრძოლებისაგან თავისუფალ ცხოვრებას მიეცეს. ამაზე მეტი რა გავიხსენო? მოდის სამეფო ქალაქში ძოწეულით და ოქრომკედით შეკული, ხოლო წინანდელი ხელმწიფე მიხელი შავი ანათორით იმოსება, ექვს წელიწადს სამეფო ძალუფლების მკემებელი. მაგრამ თვითონ მას ავიწყდება თავისი სიბერე და მიხრწნილი ბებერი ნიკიფორე მიხილის მეუღლეს შეეუღლა კანონიერი ქორწინებით. და მიხრწნილი მოხუცი ამ ნაზ ახალგაზრდას დაეუფლა; თვით იგი კი დამწუხრებული და დაჯავრიანებული ეფესელთა ქალაქის მწყემსად დააყენა<sup>1</sup>. (ტ. 6613—6684)

<sup>1</sup> რომ მიხილ დეკა ეფესოს მწყემსად (მიტროპოლიტად) იქმნა დაყენებული, ამას სხვა მდისტორიონიც გადმოგვცემენ. იხ. ზემოთ გვ. 156, შენ. 2.

# იოანე ზონარა

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსაცემად დაამზადა  
და გამოცეღვევა დაურთო

მიხეიღ კახაძემ

იოანე ზონარას ციხეები საქართველოს შესახებ 1954-1955 წლებში დაამზადა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის წყაროთა პუბლიკაციის განყოფილების დაჯავშნული ამ განყოფილების უფროსმა მეცნ. თანამშრომელმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა და ჩვენში ყარაღდ ცნობილმა ბიზანტიანელმა მიხეილ ქაბახეშ. მან ამოკრიფა ხაწყვეტეები ბერძნული ტექსტის გამოცემაში, შეადარა სხვადასხვა გამოცემაში მოყვანილი ვარიანტები, ბერძნული ტექსტი თარგმნა ქართულად და შესავალი ნარკვევიც დაურთო. ამავე დროს თავისი შრომის ბელნაწერის ამოებზე საშენიშვნო მითითებები იყო მიწერილი და, რასაკვირველია, ამ მითითებების მიხედვით გაბრაბული ჰქონდა დაერთო შინაარსობლივი კომენტარები, რომლებიც ბერძნული ტექსტის ვაგებში უთუოდ ზოგელს შეიქნადა.

მ. კახაძე უდროოდ გარდაიცვალა 1959 წელს ნიძე აკადემიულობის შემდეგ და, ზოგიერთი მისი ნაშრომი, მათ შორის „იოანე ზონარა“ საბოლოოდ გამართული არ აღმოჩნდა. ჩვენ თავს დროზედაც დაგვიწილი გვჯობდა, რომ მ. კახაძის „იოანე ზონარა“ შევიდოდა ჩვენი „გეორგიკის“ სათანადო ტომში, ისევე როგორც დოკ. აღ. ვამბერელიის „ამინე მარცელიანე“ შევიდა „გეორგიკის“ I ტომში. და როდესაც ახლა „გეორგიკის“ VI ტომი იბეჭდებოდა, სადაც ქრონოლოგიურად „იოანე ზონარა“ უნდა შესულიყო, წინათ შედგენილი გეგმა არ შეეცვალა და ვთავსებთ აქ მ. კახაძის ნაშრომს.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ბერძნული ტექსტის სწორად ვაგები-სათვის აუცილებელია შინაარსობლივი კვლევა-ძიების ჩატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ზოგჯერ გაუგებრობა დაიბადოს.

მისი საილუსტრაციოებ შეგველო მოგვეყვანა შენდები შემთხვევა. თავისი „ისტორიის“ XV, I მ. იოანე ზონარა მოგვთავსობს ლეონ პათარზე, რომელსაც იუსტინიანე II გზავის აბაზგების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ზონარას აგობლება პროპაგანდისტული „ისტორიის“ ის თაქი, სადაც ლამარაია აბაზგებზე. თუ როგორ ასაქურისებდნენ ისინი ბავშვებს და ჰკლდხენ რომაელებზე აუარებელ ვერცხლად. თუ როგორ მოთაქონიერა იუსტინიანემ აბაზგები მათში ქრისტიანობის ვაერცელმით და სხვ. და ვვლადფერ ამის შემდეგ ისტორიისი განავრძობა: აქრტომ აბაზგების დასასყლად ცხვირმოჭრალმა იუსტინიანემ... გავზენა სპათარი ლეონიანო (იხ. გვ. 238—231). მკითხველს ეგონება, რომ აქ ერთსა და იმავე იუსტინიანეზეა საუბარი, იმ დროს როდესაც ამ მოთხრობის პირველ ნახევარში VI საუკუნის ამბებია ვადასოცმული (იუსტინიანე I), ხოლო მეორე ნახევარში — VII საუკუნის დასაწყისი იგულისხმება.

საწუხაროდ, მ. კახაძის არ დასცალდა საბოლოო რედაქცია ვაეკეთებინა თავისი იამრომისათვის და დაბეშვაებინა ის საყითხები, რომელთა შესახებაც თავისი დედის ამოებზე მითითებული ჰქონდა სათანადო წყაროები. ჩვენ, შეძლებინდა გვარად, შეეპოწმეთ მ. კახაძის მითითებების მხედველობაში მიღებით თარგმანის შინაარსობლივი მხარე და, სადაც ეს შეენიშნეთ უზუსტობა ან ხარვეზობა, შევესეთ და შევასწორეთ. შესაძლებელია ზოგი რამე ჩვენც გამოვტრა ნავრამ მკითხველს ვაერდში კენება ბერძნული ტექსტი, რომელიც ჩვენ დიდს ყურადღებით შევამოწმეთ.



## იოანე ზონარა

იოანე ზონარა ერისკაცობაში დიდი სახელმწიფო მოხელე ყოფილა: ბიზანტიის მეფის კარზე მას სპერია, ჩვენში მიღებული საზოხელეო ტერმინებით რომ ვთქვათ, ქეშიკთ-უხუცესისა (ყოჩიბა-ნის) და მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობანი (ἡγεῖς ἑπισκοπῆς; ἡγ. ἡγεῖς καὶ πατριάρχης)¹. ბოლოს, მოხუცებულობის დროს, ბერად აღკვეცილა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები წმინდა გლიკერიას კუნძულზე არსებულ მონასტერში გაუტარებია². მიზეზი მისი შემონახვებისა ყოფილა მისთვის ძვირფასი და საყვარელი ცოლშვილის ამოწყვეტა. უცხოვრია იოანე ზონარას XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის პირველ ნახევარში³. სამწერლო მოღვაწეობა, ალბათ, ბერობაში დაუწყია (ერობაში, როგორც მაღალი რანგის მოხელე, მწერლობისათვის დროს ვერ იშოვიდა).

იოანე ზონარას ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდიცაა და მრავალფეროვანიც: მის კალამს ეკუთვნის ეგზეგეტიკური თხზულებანი, ცხოვრებები, სიტყვები, მოსახსენებლები და „მსოფლიო ქრონიკა“ (ἡ παγκόσμια ἱστορία)⁴. სპეციალურ ლიტერატურაში დაეა იყო

¹ ასე ვადმოგვეცნოს ხემაღნიშნულ ზეიძულ სამთაფლო ტერმინებს კ. კ რ მ - მ ა ხ რ ი (იხ. Очерки по истории Византии, под редакцией и с предисловием В. Н. Бенешевича, вып. III, 113); მ. კ რ ა ს ნ ო ჟ ო ნ ის თარგმანით ი. ზ ო ნ ა რ ა ს გერია იმპერატორის ტრიბუნალის ვიცე-თაგმჯდომარისა და მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობანი (იხ. Красножен М., Толкователи канонического кодекса восточной церкви: Аристин, Зонара и Вальсамон. М. 1892 г. გვ. 89).

² წმ. გლიკერიას კუნძული, როგორც პ ა ე ლ ო ვ მ ა გამოატყვია, იყო ერთ-ერთი საუფლისწულო კუნძულთაგანი მარმარილოს ზღვაში (იხ. П. О. Каринский, Балканские войны Святослава в византийской литературе: Византийский Временник № 6, 1953 წ. გვ. 59).

³ იქვე.

⁴ პ ა ე ლ ო ვ ი ს ახრით „მსოფლიო ქრონიკა“ ზონარას პირველი თხზულებაა (იხ. А. Павлов, К вопросу о хронологическом отношении между Аристином и Зонарой, как писателями толкований на церковные правила) [ЖМНП. 1896, № 1, გვ. 173]. იოანე ზონარას მიეწერება აგრეთვე ლექსიკონი, რომელიც სპეციალისტთა ახრით არაფითარ შემთხვევაში მას არ ეკუთვნის (იხ. ტ ი ტ მ ა ნ ის გამოცემა Ioannis Zonarae Lexicon, Лпц, 180ი).

იმის შესახებ, რომ არის თუ არა ერთი და იგივე პიროვნება ეამთაილმწერელი იოანე ზონარა და საეკლესიო თხზულებათა ავტორი ასკრტი-ზონარა, მაგრამ ჯერჯერობით მათი იგივეობა თუ დამტკიცებული არაა, არც უარყოფილია მეცნიერულად. ამ სადავო საკითხს, ჩვენის აზრით, გადასწყვეტს საპირისპირო ტექსტთა სტილისტიკური და ენობრივი ანალიზი, რომლის გაკეთება ჯერ არც ერთ მხარეს არ უკისრია. ჩვენ ეს საკითხი სრულებით არ გვაინტერესებს და თუ ვახსენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ იოანე ზონარას ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ორიოდე სიტყვის თქმა აუცილებელ საპირობებად მიგვაჩნია.

იოანე ზონარას ისტორია დიდი მოცულობის თხზულებაა და შეიცავს ამბებს ქვეყნის დასაბამიდან ვიდრე 1118 წლამდე, იოანე II კომნენოსის (1118—1143) ტახტზე ასვლის დრომდე<sup>1</sup>. ამ უზარმაზარი წიგნის შედგენისას იოანე ზონარას ხელთ ჰქონია შემდეგი წყაროები: 1. იოსებ ფლავიოსის ა) იუდეელთა ომი და ბ) იუდეელთა სიძველენი. 2. ძველი აღთქმის წიგნები. 3. ევსებოსის „ქრონიკა“. 4. თეოდორიტეს „ეკლესიის ისტორია“. 5. ქსენოფონტის „კიროპედია“ (მთლიანად). 6. პლუტარქე. 7. პეროდოტე. 8. არიანე. 9. დიონ კასიოსი (რომის ისტორიისათვის). 10. თეოფანეს „ქრონოგრა“. 11. პროკოპი კესარიელი. 12. პატრიარქი ნიკიფორე. 13. კედრენე. 14. სიმეონ ლოგოთეტი და მავსტროსი (სიმონ მეტაფრასტი), 15. სკილიცე. 16. ფსელოსი. 17. იოანე ქსიფილინოსი, 18. პეტრე პატრიკიოსი, 19. ნიკიფორე მონაზონი. 20. სკილიცეს ვაგრძელება. 21. გიორგის ვაგრძელება და 22. თეოფანეს ვაგრძელება. (აქვე უნდა შევნიშნოთ: 1) რომ XIII წიგნიდან XVIII წიგნამდე ჯერჯერობით წყაროები მიკვლეული არაა და 2) I—XIII წიგნებშიაც კი გამოყენებული აქვს იოანე ზონარას, გარდა დასახელებული წყაროებისა, მრავალი უცნობი ავტორი).

იოანე ზონარას „მსოფლიო ქრონიკა“ ამ სახის ბიზანტიურ სხვა „ქრონიკებთან“ შედარებით მაღალი ღირსების თხზულებაა. ის სხვა ქრონიკებზე საფუძვლიანიცაა და გარდა ამისა შეიცავს მრავალ ჩვენამდე მოუღწეველ კარგ საისტორიო წყაროებს. მაშინ როცა

<sup>1</sup> მართალია იოანე ზონარას „ქრონიკაში“ გაბმული თხრობა 1118 წლამდე მოდის, მაგრამ კანტი-კუნტად ცნობები მას შემდეგდროინდელი წლების შესახებაც მოეპოვება. ეს გარემოება საშუალებას აძლევს მკვლევართ ივარაუდონ, რომ „ქრონიკა“ ზონარას დაუწერია იოანე II კომნენოსის მეფობაში (1118—1143), ხოლო დანარჩენი თხზულებები კი — მანუელის დროს (ე. ი. 1143—1180). (იბ. ა. პავლოვი Op. c. გვ. 174).

სხვა ჟამთააღმწერლები კმაყოფილდებოდნენ ძველი ბიზანტიური კრებულებით, როგორცაა, მაგალითად, იოანე ანტიოქიელისა, თეოფანე ჟამთააღმწერელისა და გიორგი ამარტოლის თხზულებები. იოანე ზონარა, პირიქით, პოულობს უფრო ვრცელ ძველ საისტორიო შრომებს და იქიდან ლებულობს ახალსა და საინტერესო მასალებს.

იოანე ზონარას „ისტორია“ არა მარტო მალალი ღირსების მასალათა სიუხვით სჯობია სხვა ჟამთააღმწერლებისას, არამედ გადმოცემის ფორმითაც, ენით. მაშინ როდესაც სხვა ავტორები თავს არ იწუხებენ მასალათა გადამუშავებაზე და პირდაპირ გადმოიწერენ ამათუ იმ წყაროს, იოანე ზონარა ასე როდი იქცევა: ის ცდილობს, რამდენადაც კი მოსახერხებელია, მოკლედ და თავისი ენით გადმოსცეს მის ხელთ არსებული წყარო<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იოანე ზონარა, ძალიან ხშირად, მისდა უნებურად წყაროს ვაველენის ქვეშ ექცევა და მის ისტორიაში ენისა და სტილის სიჭრელე იგრძნობა. ხშირად მის ისტორიაში შეხვდებით წინააღმდეგობებსაც, რასაც თვითონაც კარვად გრძნობს, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს<sup>2</sup>. რომ ეს ნაკლი თავიდან აეცილებინა, მაშინ ის ყველა წყაროს კრიტიკულად უნდა მიდგომოდა და თავიდან ბოლომდე ეს უზარმაზარი საისტორიო მასალა საკუთარი გონების ბრძმედში გაეტარებინა. ეს საქმე კი იმდენად ძნელია, რომ დაჩაჩანაკებული ბერის ენერჯიას, ალბათ, აღემატებოდა. ისტორიის ორიგინალურ ნაწილში იოანე ზონარას თხრობა არის ნარნარა, მწყობრი, რომელსაც არ აფერხებს არავითარი მოულოდნელობა ელფერით გამოწვეულია შენიშნავს კ. კ რ უ მ ბ ა ხ ე რ ი. (იხ. Очерки по истории Византии вып. III, 116). ასეთ ორიგინალურ ნაწილად ზონარას „ისტორიისა“ მიაჩნიათ ალექსი კომნენოსის მეფობის პერიოდი, ე. ი. ის ამბები, რომლებიც აღწერილია 1080—1118 წლების ქვეშ (იხ. Скавцовавич, Византийское государство и церковь в XI в.). მაგრამ საკითხი ისმის: განა ეს ნაწილი კი არის ორიგინალური? მთლიანად ზონარას წყაროები ხომ მიკვლეული არაა ჯერჯერობით? ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIII წიგნიდან XVIII წიგნამდე ზონარას წყაროების კვლევაზე

<sup>1</sup> ამის დასამტკიცებლად იხ. ქვემოთ ორი მაგალითი: 1) იაფეტის მოდგმა და 2) წათე I-ის გამეფება.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილი იოანე ზონარას მიხედვითა.

არავის უმუშავია და ალექსი კომნენოსის მეფობის ხანაც ხომ სწორედ ისტორიის ამ ნაწილშია?

ზემოჩამოთვლილი ღირსებების გარდა იოანე ზონარას „ისტორიის“ მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შემოგვინახა მრავალი ძვირფასი საისტორიო წყარო, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ასე, მაგალითად, ზონარამ და იოანე ქსიფილინოსმა აღუდგინეს ისტორიის დიონ კასიოსის 1—21 წიგნები, რომელთა დედნები დღემდე დაკარგულად ითვლება<sup>1</sup>. იოანე ქსიფილინოსისა და იოანე ზონარას „ისტორიები“ ერთად-ერთი წყაროა ამ ძვირფასი საისტორიო წიგნების აღსადგენად. ამას გარდა ზონარამ შემოგვინახა რომელიღაც უცნობი საუკეთესო წყარო, რომელშიაც მოცემულია ბიზანტიის ისტორია ლეონ I-დან იუსტინე II-დე (457—578 წლები) და სხვა.

მიუხედავად იმ განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომელიც იოანე ზონარას „ისტორიას“ აქვს, ის სათანადოდ არც შესწავლილია და არც გამოცემული. მთლიანი გამოცემა ზონარას ისტორიისა სამი არსებობს: Dindorfius BT (ლაიპციგი, 1868—1875 წლებში) ექვს ნაკვეთად (წიგნად), რომელთაგან I—IV-ში მოთავსებულია ისტორიის ტექსტი, ხოლო V—VI-ში ვარიანტები ორი ხელნაწერის მიხედვით. 2) PG 134, 135 ტომები და 3) ბარიზის კორპუსში გამოქვეყნებული 1715 წელს (I, II ტ.). არც ერთი ეს გამოცემა დღევანდელ მეცნიერული მოთხოვნილების სიმაღლეზე არ დგას. შედარებით ამ გამოცემებთან უფრო მაღლა დგას ბიუტნერ ფობსტის გამოცემა (ბონი, 1897), რომელშიაც გათვალისწინებულია მრავალი ხელნაწერი ზონარას „ისტორიისა“, მაგრამ ის მთლიანი გამოცემა არაა, მასში მხოლოდ XIII—XVIII წიგნებია გამოქვეყნებული.

რაც შეეხება იოანე ზონარას „ისტორიის“ თარგმანებს, არც აქაა სახარბიელო მდგომარეობა: არსებობს ზონარას „ისტორიის“ თარგმანები ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ და ახალბერძნულ ენებზე.

სლავურ ქვეყნებში ზონარას ბედმა არ გაუღიმა; სლავი ქრონოგრაფთოსები მხოლოდ კომპილაციებით დაკმაყოფილდნენ, ერთი ასეთი კომპილაცია დაბეჭდა პროფ. ბოდიანსკიმ 1847 წელს სათაურით „Парадисиома Зонары“. მეორე კომპილაცია იპოვა პ. ლავროვმა ათონის მთაზე არსებულ ზოგრაფის მონასტერში

<sup>1</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ დიონ კასიოსის „ისტორიიდან“ ჩვენამდე, ასე თუ ისე მთლიანი სახით, მოაღწია მხოლოდ 37—54 წიგნებმა.

1894 წელს და ცნობესი მისი ურთიერთობისა ზონარას ცნობილ რუსულ კომპილაციებთან<sup>1</sup> დაბეჭდა B. Вр. 1897 წ. № 4-ში.

პ. ლავროვის ცნობით რუმეანცევის მუზეუმის უნდოლსკის კრებულში მოიპოვება ზონარას ტექსტის სრული (არა კომპილირებული, არა შემოკლებული) ნუსხა. სხვათა შორის, იოანე ზონარას ისტორიის ნუსხათა სიმცირე სლავურ ენებზე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ის მაინცადამაინც მოწონებული ავტორი არ ყოფილა სლავთა საისტორიო მწერლობაში<sup>2</sup>.

დასასრულ, ერთი საკითხიც: არის თუ არა გამოყენებული იოანე ზონარას „ისტორია“ ქართულ ისტორიოგრაფიაში? ამ კითხვაზე შეიძლება მხოლოდ უარყოფითი პასუხის გაცემა: არც ერთ ქართველ ისტორიკოსს ზონარას ცნობებით არ უსარგებლნია<sup>3</sup>; მიზეზი ამისა ალბათ ისაა, რომ ჩვენი ისტორიკოსები კედრენე-სკილიცეთი სარგებლობდნენ და რადგანაც ამ ჯამთააღმწერლებს იმეორებს ზონარაც X—XI საუკუნეების საქართველოს შესახებ ცნობების გადმოცემისას, ამიტომ ჩვენმა ისტორიკოსებმა, სამართლიანად, პირველ წყაროს გამოყენება ამჯობინეს. მაგრამ ასეთი საქციელი ქართველი ისტორიკოსებისა სამართლიანი არაა: ზონარა, როგორც ზემოთ ითქვა, სიტყვა-სიტყვით არც ერთ წყაროს არ იმეორებს და, ამას გარდა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მას რომელიმე

<sup>1</sup> ა. პოპოვმა ბევრი იმუშავა რუსულ მატთანეთა შედგენილობის გამოკვლევაზე და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დიდი უმეტესობა რუსული მატთანეთებისა წარმოადგენს თბი ბიზანტიელი ჯამთააღმწერლის — იოანე მალალას, გიორგი ამარტოლის, კონსტანტინე მანასესა და იოანე ზონარას ქრონიკების კომპილაციას (იხ. Терновский Ф. А., Изучение византийской истории в древней Руси, вып. 1, Киев, 1875, გვ. 4).

<sup>2</sup> არსებობს ზონარას „ქრონიკის“ სრული რედაქციის ოთხიოდე ნუსხა სერბულ ენაზე, რომლებიც წარმოადგენენ ერთი დედნიდან მომდინარე პირებს (იხ. Потапов П. О., Судьба хроник Зонары в славяно-русской литературе) [ИОРЯС, т. XXII, 1917, кн. 2, გვ. 157]. რაც შეეხება მოკლე რედაქციას, ე. წ. „პარალიპომენს“ — ის ვრცელი რედაქციის მხოლოდ შეკანისურ შემოკლებას წარმოადგენს (იქვე, გვ. 161). პ. პოპოვმა უფლებებელ ჰეოფს მის მიერვე მოყვანილ ფაქტებს და მაინც ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ თითქოს ზონარა დიდი პოპულარობით სარგებლობდა სლავურ ქვეყნებში! (იხ. ს. გვ. 141). ამას გარდა მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ზონარას ტექსტი სერბულ ვრცელ რედაქციაში ბოლომდე, 11:8 წლამდე, კი არაა თარგმნილი, არამედ კონსტანტინე პორფიროგენეტის (913—969) დრომდე. ეს ფაქტიც, ჩვენი აზრით, იოანე ზონარას არაპოპულარობაზე უნდა მიუთითებდეს.

<sup>3</sup> მხედველობაში არაა მისაღები დ. ბაქრაძის მიერ ზონარას სახელის ლიტონი ხსენება კედრენესთან ერთად (იხ. ისტორია საქართველოსი I, 238).



უცნობ მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელია სხვა კონიექტურაჲ ჰქონდეს მოცემული. ზონარას ცნობების რაობა სხვა ეპითალომწერელთა ცნობებთან მიმართებით ჩვენ მომავალში უნდა შევიხილოთ, ხოლო ამჟამად კი, მისი ცნობების თარგმანით შემოვიფარგლებით. გავეცნოთ მისი ტექსტების ნიმუშებს ქართულ თარგმანში:

### 1. იოანე ზონარას დამოკიდებულება წყაროებისადმი

ბერძნული ბიბლია:

ბიბლიის ქართ. თარგ. ეულგატით:

შეს. 10,2: Ὑιοὶ Ἰάφεθ· Γαμέθ, καὶ Μαγώρ, καὶ Μεδού, καὶ Ἰάβαν, καὶ Ἑλισά, καὶ Θοβέλ, καὶ Μοσόχ, καὶ Θείρας. Καὶ υἱοὶ Γαμέθ· Ἀσχο-νάξ, καὶ Ριφάθ, καὶ Θεργαμά. Καὶ υἱοὶ Ἰάβαν· Ἑλισά, καὶ Θάροις...

Iosephi Ant. 1. 4-6.

ძენი იაფეთისნი, ლამერ და მაგოკ, და მადაიმ, და იოვან: და ელისა. და თობელ, და მოსოქ და თირის და ძენი ლამერისნი, ააქანახ, რიფათ და თორ-ლაშა, და ძენი იოვანისნი. ელისა და თარშის...

### ი ა ფ ე ტ ი ს მ ო დ გ მ ა

იოსებ ფლავიოსი

(იოანე პეტრიწის თარგმანი)

იოანე ზონარა 1, 5

ხოლო იაფეთოას უკუშ ნოხო ს ყ რ მ ი ს ა იყვნეს ძენი შუდნი. და მკადრ არიან ისინი ტავროას და ამანოას მთათაგან დამწყებელნი და შთამოვლენ ასიად ვიდრე მდინარეჲმდე ტანასა. ხოლო ევროპეს შინა ვიდრე ლადირთადმდე მიწვენილნი. ქუყყანასა, რომელი დაემთხვა და არა ვიეთისა მკადრობისათჳს წარმართნი სახელითა მათითა უწოდნეს, რამეთუ აწ ელლინთა მიერ ლალატად წოდებულნი. ხოლო ღომარად სახელდებულნი მადოგნი და ამკადრანა. ხოლო სკვთას მის მიერ სახელდებულნი და ი ა ფ ე ტ ო ა ს უ კ უ შ ყ რ მ ა თ ა გ ა ნ იოჯანოასა და მადოასა, მადოას ვიდრემე მიერ მადელნი იქმნებიან წარმართნი, რომელნიცა ელლინთა მიერ მიდად იწოდებიან. ხოლო იოჯანოასგან იონაჲ და ყოველნი ელლინნი იქმნებიან. დაამკადრებს უკუშ თოვილოსცა — თოვილოსა, რომელნი აწ ივირად იწოდებიან. ხოლო მესქინნი მესხიოას მიერ აღშენებულნი

იაფეტს ჰყავდა შვიდი ძე, რომელნიც ტავროსა და ამანის მთებიდან გამოვიდნენ და [დასახლდნენ] — აზიასი ტანაისის მდინარემდე, ხოლო ევროპაში — ლადირთა [ქვეყანამდე]; მათი სახელების მიხედვით წოდებულ იქმნენ ხალხები: გომარისაგან — გომარელნი, რომლებიც აწ გალატელებად იწოდებიან; მაგოგისაგან — მაგოგელნი, ამჟამად სკვითებად წოდებულნი, იონასაგან — იონები და ყველა ელლინი არიან სახელდებულნი, მადოისგან — მადელნი, რომელთაც ახლა მიდიელები ჰქვიათ. თობელისაგან — თობელნი დაერქვათ, ესენი იბერები არიან. მოსოხისაგან წარმოიშვა მესხინთა ტომი, ესენი აწ კაპადოკიელებად სახელდებიან; თირასაგან — თირელნი, ბოლოს თრაკიელებად შეეცვალათ მათ სახელი. იაფეტის ძის ასხანაქსისაგან — ასხანაქსები, ამჟამად რეგენები რომ იწოდებათ, წარმოიშვნენ, ხოლო რიფათელთა ტომს რიფათისაგან მომდინარეჲდ ვარაუდობენ, წინათ მათ პაფლაგონიელებს



აწ კაპადოკიად იწოდებიან და რამეთუ დასაბამით განისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იწოდებოდა. რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და აწცა მახარება ცხადმყოფელი გულისხმების ყოფად შემძლებელთა ძესრეთ დადესმე სახელისა დებასა ყოველისა ნათესავისასა. ხოლო თირას — თირად ეწოდა, რომელთა ემთავრა, ხოლო ელლინთა — თრაკად გარდასახულენეს იგინი. და ესოდენი ვიდრემე ნათესავნი იაფეთოას ყრმათაგან დაემკადრებიან. ხოლო დომაროესგან სამთა ძეთა ქმნილთა ასბნახოს ვიდრემე ასბანანი დაამკადრნა, რომელნი აწ რიგინად ელლინთა მიერ იწოდებიან, ხოლო რიფათის — რიფათელნი, პაფლალონად სახელდებულნი; და თორდანოს უკუშ თორლამელნი, რომელნი თნებისაგან ელლინთა მასა ფრუკიად იწოდნეს. [ხოლო] იოჯანოესგან იაფეთოესა მის მიერცა სამთა ყრმათა ქმნილთა მასა, ელისას ვიდრემე ელისელ, რომელთა ემთავრა, ხოლო აწ ეოლნი არიან. ხოლო თარსოს — თარსთა, რამეთუ ესრეთ იწოდებოდა ძუშლად კილიკია [და] მომასწავებელ უკუშ ესე, რამეთუ თარსოდ მათ მიერ ქალაქთა უპატოსნესი იწოდების დედა-ქალაქად [მყოფი] გარდამღებელთაგან ტარისათა წოდებისა მიმართ თანისა<sup>1</sup>:

<sup>1</sup> „პასქალური ქრონიკის“ ავტორი (VII ს.) და გიორგი სინგლოზი (VIII—IX ს.ს.) სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენენ იაფეტის მოდგმის სურათს:

### პასქალური ქრონიკა

ნოეს მესამე ვაჟის, იაფეთის, შვილები თოთხმეტია, ამდენივეა მათი მოდგმა: გამბრი, რომლისაგანაც წარმოშობილნი არიან კელტები. მაგოგი, რომლისაგანაც არიან აკირტანები. ზოგიერთები ამბობენ, რომ მაგოგისაგან არიან წარმოშობილი გუთები, სარმატები და სკვითები, მადაი, რომლისაგანაც

### გიორგი სინგლოზი

ნოეს მესამე ვაჟისაგან, იაფეთისაგან წარმოდგა თხუთმეტი ასეთი ტომი: ნოეს მესამე ვაჟის, იაფეთის, ვაჟები: ა) გამბერი, რომლისაგან წარმოშობილნი არიან კაპადოკიელები. ბ) მაგოგი, რომლისაგანაც არიან კელტები ანუ გალატელები. გ) მადაი, რომლისაგანაც არიან მადიელები. დ) იოჯამი, რომლისაგანაც

ეძახდნენ; თორგამელნი თავიანთ თავს თვლიან თორგამის შემკვიდრებდად, რომელთაც შემდეგ ფრიგიელები ეწოდათ; ელისელნი — რომლებსაც მთავრობდა ელისე, ამგვამდ ეოლიელნი არიან; თარსისაგან თარსელთ მიიკუთვნეს სახელი, ძველად კილიკიელები იწოდებოდნენ თარსელებად, [მაგრამ ეინაიდა] მათ ჰქვეყანაში არსებულ ყველაზე უპატოსნეს ქალაქს ტარსოსი ერქვა, მ შესცვალებს რ-თი (Χιουσ-→Ταρσος).



οντος. και φιλοθνης τον Τζαθιον, ως και αυτου προβαλλομενον αυτον βασιλεα, των Λαζων, ηλθε προς Ιουστινον εις το Βυζαντιον, και παρεκάλει τον βασιλεα γενεσθαι αυτον χριστιανον και επ' αυτου αναγορευθηαι βασιλεα των Λαζων. ο δε βασιλες μετα χαρης αυτον δεξαιμενος εφωμιον αυτον, και υιόν ανηγορευσε. εγημ δε και γυναικα Ρωμαιαν, την εγγονην Νομον του παιρικιον και αποκουροπαλατου, Οθαλιανην τινα, και εις την ιδιαν χωραν ελαβεν, προχειρισθεις παρα Ιουστινον βασιλες των Λαζων, φορεσας στεφανον και χλανιδα βασιλικην ασπρην ιχουσαν ιαβλις χρουσων. εν ψ εκ κεντησθ εντεκεχρακιο η εικων του βασιλεως Ιουστινου, και συχαρεν ασπρον εχον πλουμια χρουσα, και ειποναι του βασιλεως. Τα γαρ τζαγρια αυτου εομοια ησαν εχοντα μαργαριτας Περσικω σχηματι. ομοιως και η ζωνη αυτου ην χρουση δια μαργαριτων. ελαβη δε παρα του βασιλεως δωρα πολλα, και μετα χαρης ανηλθεν εις την ιδιαν...

Τῷ δ' αὐτῷ ἔτεϊ ὁ βασιλεὺς Περσῶν ἐπολέμησεν τῷ Λαζῷ Τζαθίῳ, ὡς προσρῶνεν τῷ Ρωμαίῳ...

ამ დროს ლაზთა მეფე წათი გადაუდგა სპარსელთა სამეფოს, რომელსაც იქ მეფობდა კავადი, რომელსაც წათი იმდენად უყვარდა, რომ ის ლაზთა მეფედ დააყენა. წათი მივიდა ბიზანტიონში იუსტინესთან და სთხოვა მეფეს, რათა მას გაეჭრისტიანებინა ის და მასვე ეკურთხებინა ის ლაზთა მეფედ. მეფემ სიხარულით მიიღო ის, მონათლა და შვილად გამოაცხადა. წათიმ შვირთო რომაელი ქალი, პატრიკიოს და აპოკუროპალატ ნომოსის შვილი-შვილი, სახელად ვალერიანე, რომელიც წაიყვანა თავის საყუთარ ქვეყანაში, როდესაც იუსტინეს მიერ ლაზთა მეფედ იქნა ნაკურთხი. მას ემოსა გვირგვინი

τε του βασιλεως ονομασθεις, και βασιλες Λαζων αναγορευθεις γυναικι τε συζευχθεις ενος των συγκλητικων θυγατρι, εις την αυτου χωραν επανεληλυθη. Τοθιο αειον αθθης μαχης Ρωμαιοις και Περσαις εγενετο, ως του βασιλεως Ρωμαιων τοδς αθθεις εαικοντας ορετρεζομενον.

ლაზების მთავარი წათე სპარსელებს გადაუდგა და იუსტინეს (ვ. ი. რომაელებს) მიემხრო, ის [ბიზანტიონში, იუსტინეს სასახლეში ყოფნისას] მონათლა, მეფის ძედ იწოდა, ლაზთა მეფედ იქნა გამოცადებული საჯაროდ, ერთი სენატორის (სენეკლიტიკოსის) ქალი შვირთო ცოლად და თავის ქვეყანაში დაბრუნდა; ეს შეიქმნა მიზეზი იმისა, რომელიც კვლავ დაიწყო რომაელებსა და სპარსელებს შორის. [თუმცა] რომაელთა მეფე [წათეს მონათულაში] თავის მონაწილეობას უარყოფთა.

და თეთრი სამეფო ქლანიდი, რომელსაც ჰქონდა ჩაღლებული ოქროს ზოლი, სადაც იუსტინე მეფის სურათი იყო ამოჭარბული; აგრეთვე თეთრი სტიქარი ოქრომკვდით ნაქსოვი და მეფის სურათით. მისი წაღები წითელი იყო და მარგალიტებით შემკული სპარსულ ყაიდაზე. ამგვარადვე მისი სარტყელიც ოქროსი იყო და მარგალიტებით შემკული. მეფისაგან ბევრი საჩუქრები მიიღო მან და დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა თავის ქვეყანაში...

ამავე წელს სპარსელთა მეფემ ოში დაუწყო ლაზთა მეფეს წათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა...

(ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა IV. 1. 77—79).

თეოფანე ეამთაალმწერლის ტექსტი ზონარასთან ძალზე შემოკლებულია: იოანე ზონარა წათეს მეუღლის ვინაობა გამოტოვებული აქვს, გამოტოვებული აქვს ტექსტის მოზრდილი ნაწილი, სადაც წათეს ჩაცმულობაზეა საუბარი თეოფანესთან, ელჩების გაგზავნა ორივე მოპირდაპირე მხარეთაგან—სპარსეთის მეფის კავადის ბრალდება და ბიზანტიის მეფის დიპლომატიური თავისმართლება წათეს მონათვლისა გამო და სხვა.

როგორც ზემოთ ითქვა იოანე ზონარა სიტყვა-სიტყვით კი არ იწერს წყაროდან ტექსტს, არამედ მას საკუთარი ენით გადმოსცემს. რომ ეს ნამდვილად ასეა, ამაში იმავე წათე I-ის გამეფების პარალელური ტექსტების ლექსიკური მასალის შედარება ცხადყოფს:

### 3. იოანე ზონარას მიერ წყაროს ენის გათავისებურება

#### ლექსიკური მასალა

თეოფანე ეამთაალმწერელი:

იოანე ზონარა:

βασιλευς მეფე

ἄρχηγός მთავარი

ἔλθε (ზნნიდან ἔρχομαι) მივიდა

ἔρρισεβέρση (ზნნიდან ἔρρισεβ) მიემბრო

ἐφάτισε (ზნნიდან φάτιζω) მონათლა

βαπτισμαίς (ზნნიდან βαπτίζω) მონათლა

ἀναγορεύσει (ἀναγορεύω) გამოცხადება

ἀνομασμελς (ზნნიდან ἀνομάζω) წოდება

*ἵψυα* (ზმნიდან *γυμνά*) შეერთო,  
 ექორწინა

*εἰς τὴν ἰδίαν* თავის

*συνεχθίει* (ზმნიდან *συνεγύμα*) შე-  
 ერთო, resp. შეეულა.

*εἰς τὴν ἑαυτοῦ* თავის.

ამ მცირე საილუსტრაციო მასალიდან კარგად ჩანს იოანე ზონარას რედაქტორული მუშაობა საისტორიო წყაროზე. მას, ამ შემთხვევაში, თეოფანე ქამთაალმწერლის უულგარული ენა არ მოსწონს და ცდილობს შეარჩიოს უფრო ლიტერატურული სიტყვები და ამის შედეგად იძლევა დედნისაგან განსხვავებულ, სტილისტიკურად და ენობრივად შეცვლილ ახალ რედაქციას.

დასასრულ, ზონარას მასალათა გაცნობის მიზნით მოვიყვანოთ ორი ადგილი მისი ტექსტიდან:

#### 4. იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილი ზონარას მიხედვით

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ იოანე ოქროპირი მისი პირადი მტრების დაბეზლებითა, და კერძოდ, ევდოქსიას და ენებიით მოთხოვნით თეოდოსი დიდმა გადაასახლა სომხეთის მიყრუებულ პროვინციაში, კუკუსოში. სამი წელიწადი იცხოვრა დიდ სიღიწროვესა და გაჭირვებაში აქ იოანემ და შემდეგ მისმა მტრებმა განიზრახეს მისი კიდევ უფრო შორს გადაკარგვა: აფხაზეთის განაპირა კუთხეში, ბიკვინთაში. სამი თვის განმავლობაში საშინელ პირობებში მოგზაურობის შემდეგ, არაქათ გამოცლილი იოანე გარდაიცვალა კომანაში და იქვე დაასაფლავეს.

ეს ამბავი იოანე ზონარას ასე აქვს გადმოცემული: (XIII, 20) «დედოფალმა ევდოქსიამ თავისი უსამართლო და შეურაცხყოფელი ენით [იოანე ოქროპირის მიმართ] გადაიბირა ხალხი მის გაძევებაზე (ნამუსიც ასეთი ცუდი პქონდა მას), და ხალხის გულისწყრომა ალაგზნო [ამ] დიდი მამის წინააღმდეგ. მიიზიდა რა ქმარი ისე, როგორც ავშარით [შიითრევენ ხოლმე ცხენს], კვლავ მიიმხრო იგი წმიდა მამის ექსორიაზე. ხოლო ეკლესიიდან განიღვენა იოანე ოქროპირი ტირანულად და გაიგზავნა ძლიერ შორს, განაპირას მდებარე ადგილზე სახიფათო გზით; აი, აუტანელ გზებზე მან განიცადა მრავალი ტანჯვა, რაც ოქროპირს მოთხრობილი აქვს თავისი ოქროს ენით წერილებში, რომელთა მოსმენა ძლიერ საჭიროა. მიაღწიეს რა კუკუსომდე, აქედან გაემართნენ ბიკვინთისაკენ; კომანაში რომ მივიდნენ (დაბაა ეს ადგილი), იქ გარდაიცვალა 52 წლის ასაკში იოანე ოქროპირი, რომელიც სამეფო ქალაქში

მღვდელთმთავრობდა (ე. ი. ეპისკოპოსობდა)  $5\frac{1}{2}$  წელიწადს<sup>1</sup> (ზონარა XIII, 20). და მეორე ცნობაც ამავე ოქროპირზე:

... XIII, 22: ითხოვა სამღვდელოებამ [გადაწყვიტა] ოქროპირის ნეშტის ბიკვინთიდან გადმოსვენება და არდატოვება განაპირა ადგილას წმინდანის ცხედრისა. მეფემ ეს მოსაზრება გაიზიარა და გადმოსვენებულ იქმნა ამ წმინდანის ნეშტი დიდის პატივით და დაფლულ იქმნა წმინდა მოციქულის სახელობის ტაძრის საკურთხევლის შუა ადგილას<sup>2</sup> (ზონარა XIII, 22).

როგორც ვხედავთ ეს ორი ცნობა ერთმანეთის საპირისპიროა: პირველი ცნობის მიხედვით იოანე ოქროპირი დაასაფლავეს კომაენაში (ეს ტრადიციული ცნობაა), ხოლო მეორით — იოანე ოქროპირი დაუსაფლავებიათ ბიკვინთაში (ოქროპირის ნეშტის ბიკვინთიდან გადმოსვენებაზე საუბარი). ყოველად შეუძლებელია ბერად აღკვეცილ იოანე ზონარას ზეპირად დაეწერა ეს ცნობა, მას ხელთ ექნებოდა ალბათ სხვა მასალა, რომლის მიხედვითაც იოანე ოქროპირის დასაფლავების ადგილად ბიკვინთა იყო დასახელებული. საინტერესო დეტალია და ეგების სარწმუნოც იყოს. იოანე ზონარას „ისტორიაში“ ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები ბევრია: „შე რომ ეს წინააღმდეგობანი მომესპო, ხელახლა უნდა დამეწერა მთელი ისტორიაო“, შენიშნავს ის წინასიტყვაობაში.

## ბ. ზონარა იბერების ხიმამაცის შესახებ

X, 4: «პომპეუსმა აფრანიოსი დატოვა არმენიის ციხის მეთვალყურედ და თვითონ კავკასიის [მთებში] მცხოვრებ ტომთა გავლით მითრიდატესკენ გაემართა. ყველაზე დიდი ამ ტომებს შორის არიან ალბანელები, რომლებიც აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე არიან დასახლებულნი, და იბერები, რომლებიც მესხეთის მთასა და პონტოში ბინადრობენ. თავდაპირველად ალბანელებმა პომპეუსის თხოვნა [შეიწყნარეს] და გზა მისცეს, ხოლო შემდეგ, იყვნენ რა არა ნაკლებ ორმოცი ათასისა, მას თავს დაესხნენ, მაგრამ [დამარცხდნენ], გაიქცნენ და ბევრიც ამოწყდა. მაშინ მათმა მეფემ პომპეუსს გაუგზავნა უხუცესნი [მოსალაპარაკებლად] და დაზავების შემდეგ პომპეუსი გაემართა იბერთა წინააღმდეგ. იბერები ალბანელებზე უფრო კარგი მებრძოლები არიან; ისინი არც მიდიელებსა და არც

<sup>1</sup> იოანე ოქროპირი გარდაიცვალა 407 წელს, ბიზანტიის იმპერატორის არკადის (395—408) დროს.

<sup>2</sup> ოქროპირის ნეშტის გადმოსვენება მოხდა 438 წელს, თეოდოსი II-ის (408—450) მეფობაში.



სპარსელებს არ დამორჩილებიან და მხოლოდ მაკედონელთა ძლიერებას [ვერ გაუშაგრდნენ], გაექცნენ. ალექსანდრე მაკედონელმა ვირკანიის (ე. ი. კასპიის) ზღვიდან მოულოდნელი დარტყმით დასცა იბერიელები. მაშინაც არ გაქცეულან იბერები უბრძოლველად, დიდი ბრძოლა [გაუმართეს], ბევრი მათგანი ამოწყდა და ბევრიც ტყვედ ჩაიგდო ხელში მაკედონელმა.

ზონარას ეს ცნობა, სხვათაშორის, იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ აქ საუბარია ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ყოფნის შესახებ, რასაც მხარს უჭერს კვინტი კურციუსი (II ს. ად. წ. აღ.), ლეონტი მროველი, სომხური „ალექსანდრეს ცხოვრება“, გ. წერეთელი და მარი ბროსე, საწინააღმდეგო აზრისა არიან ამ საკითხზე ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია. (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I<sup>2</sup>, 147 და ს. ჯანაშია „შრომები“ II, 10).

#### 6. ზონარა ამაზონების შესახებ

X, 4: აომპეუსი თავს დაესხა მათ (ე. ი. ალბანელებს), და თვით მეფის ძმები, ჯარს რომ მხედართმთავრობდნენ, დაამარცხა: აომპეუსი მეფის ძმებს პირადად დაესხა თავს, შეებრძოლა და დახოცა. ამბობენ, რომ ალბანელებს ამაზონებიც ემპარებოდნენო [ამ ბრძოლაში], მაგრამ როგორც ცხედართა გაჩხრეკის შედეგად გამოიჩვენა ბრძოლის დამთავრების შემდეგ, რომაელებმა ამაზონური ფარები და ჩექმები კი ნახეს, ხოლო დედაკაცთა გვამები არ შეხვედრიათ, ამაზონებს ვირკანიის ზღვის მახლობლად მცხოვრებთაგან (ე. ი. ალბანელებისაგან) ყოფს კავკასიის მთა....

ამ ტექსტიდან აშკარად ჩანს იოანე ზონარას სკეპტიკური დამოკიდებულება ამ ლეგენდარულ ხალხისადმი და ვყიქრობთ, აქ იგი პროკოპი კესარიელის გავლენის ქვეშ უნდა იყოს; პროკოპი კესარიელი De bello Gothico-ში კატეგორიულად ამბობს: «დღესდღეობით კავკასიონის მთის გარშემო მდებარე ადგილებში არსად არაერთარი ხსოვნა ან სახელი ამაზონთა არაა დაკული, თუმცა სტრაბონისა და ზოგიერთი სხვა მწერლის მიერ მათ შესახებ ბევრი თქმულა. მაგრამ მე ვფიქრობ ამაზონების შესახებ ყველაზე უფრო ახლოს არიან ჰეშმარიტებასთან ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ არასდროს არ არსებულა ვაჟკაცური ქალების გვარი და მხოლოდ კავკასიონის მთაში აღამიანთა ბუნება ვერ უკუაგდებდა საკუთარ კანონებს, არამედ რომ ბარბაროსებმა გამოილაშქრეს ამ

ადგილებიდან აზიაზე დიდძალი ჯარითა და თავიანთი ცოლებითურთ და, დაიბანაკეს რა მდინარე თერმოდონტის ირგვლივ. დასტოვეს იქ ცოლები, ხოლო თვითონ მთელ აზიას შეესივნენ; (გეორგიკა II, 101—102). პროკოპი კესარიელის აზრით, ქმრები ბრძოლებში ამოწყდნენ და ცოლებთან არც ერთი არ დაბრუნებულა. ამის შემდეგ ცოლები იძულებული შეიქნენ თვით აეღოთ თავიანთი ქმრების იარაღი და დაეცვათ თავი. ამ ბრძოლებში ქალებიც (ცოლები) ისე ამოწყდნენ, რომ ცოცხალი არც ერთი მათგანი არ დარჩენილა. ასე გაჩნდა პროკოპი კესარიელის აზრით ლეგენდა ამაზონების შესახებ. ანალოგიურ ამბად პროკოპი ასახელებს პუნების ლაშქრობას რომაელთა წინააღმდეგ: დაღუპული პუნების გვამებში დედაკაცთა გვამებიც კი ნახეს რომაელებმაო — ამბობს ის,

ეს სკეპსისი პროკოპი კესარიელისა ამაზონების ლეგენდის მიმართ ჩვენ საღი, კრიტიკული აზროვნების გამოვლენად მიგვაჩნია: „ამაზონები“ ჩვენის აზრით, ეთნიკურ ერთეულზე არ უნდა მიუთითებდეს. იოანე ზონარაც ამ საკითხში პროკოპი კესარიელის პოზიციასე დგას.

#### დასკვნები

1. იოანე ზონარა ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ არავის გამოუყენებია; როგორც ირკვევა, მისი ცნობები საქართველოს შესახებ შეიცავს საკმაო რაოდენობით საინტერესო მასალას.
2. იოანე ზონარა წყაროებში ამოკლებს ტექსტის მოცულობას, სკვლის ენასა და სტილს ისე, რომ ფაქტიურ მასალას ხელუხლებლად სტოვებს (აქედანაა მისი ცნობებში წინააღმდეგობანი).
3. იოანე ზონარას ცნობების საბოლოო დამუშავებისათვის ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მისი ტექსტის შეპირისპირება წყაროებთან და ამ ნიადაგზე იოანეს ტექსტის ყველა თავისებურების გამორკვევა.
4. იოანე ზონარას ცნობებს საქართველოს შესახებ, ჩვენის აზრით, აქვს გარდამავალი ღირებულება; ე. ი. როდესაც ამ ჟამთააღმწერლის ყველა წყარო ცალ-ცალკე ითარგმნება ქართულად, მაშინ იოანე ზონარას ცნობათა მნიშვნელობა საკმაოდ შემცირდება.
5. ვინაიდან ჯერჯერობით არ არსებობს იოანე ზონარას „ისტორიის“ სრული კრიტიკულად დადგენილი ტექსტი წყაროების გათვალისწინებით, ამიტომ მისი ცნობების ქართულ თარგმანსაც არ შეიძლება პქონდეს საბოლოოდ მეცნიერულად დადგენილი ტექსტის პრეტენზია.

იაფეტის მოღვა

